

480  
1940/4.



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР  
FILIALE GEORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS

აკად. ნ. მარის სახელობის მნის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

VIII

თბილისი

1940



FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS

---

BULLETIN  
DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE  
ET DE CULTURE MATÉRIELLE

VIII

---

ÉDITION DE LA FILIALE GÉORGIENNE DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE L'URSS

Тбилиси

1940

Tbilissi



აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ  
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

VIII

3731



დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის  
საქართველოს ფილიალის განკარგულებით  
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

ბედაქვთია პრინტ. ს. ჯანაშია

БИБЛИОТЕКА  
Академии Наук  
УРСР

2186819



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. გ. ჩიტაია. ქვის კუბო ქვემო-ალმედან . . . . .	1
2. შ. ჩხეტია. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801—1840 წწ.) . . . . .	11
3. ილია აბულაძე. ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები. III. მარტვლობად თეკლასი . . . . .	71
4. ს. ჯანაშია. აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების საკითხისათვის . . . . .	137

С О Д Е Р Ж А Н И Е

1. Г. Читая. Каменный гроб из Квемо-Алме . . . . .	1
2. Ш. Чхетиа. Система русского управления в Грузии . . . . .	11
3. И. Абуладзе. Грузино-армянские филологические штудии. III. Мученичество Теклы . . . . .	71
4. С. Джанашиа. О времени и условиях возникновения абхазского царства . . . . .	137

## 8. ჩიბაია

### ჰინს კუზო ჰენმო-ალმედან

ინტერესი თემისადმი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, ეთნოგრაფიულია, თუმცა კვლევის ობიექტი არქეოლოგიურია.

ჩვენი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებამ დაბეჭდა მორიგი ტომი „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“ თემაზე: მიცვალებულის კულტის გარდმონაშთები ხევისურებსა და მეგრელებში (მას. საქ. ეთნოგრ., ტ. III).

განყოფილების მიერ ამ თემაზე დაგროვილი მასალა იმდენად თავისებურ და ორიგინალურ ელემენტებს შეიცავს, რომ ინდოევროპეისტების მტკიცება, თითქოს წინაპრის კულტი ძველი ინდოევროპელების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს<sup>1</sup>, ადვილად ირღვევა. იმ თავისებურებებიდან, რომლებიც ამ კულტს ჩვენში ახლდა, აღსანიშნავია: ხევისურული „ხმით ნატირალები“ და სვანური „ლიფანალი“.

ჩვენს ადრინდელ ნაშრომში<sup>2</sup> აღნიშნული იყო „ლიფანალის“ ზოგიერთი თავისებურება, ამიტომ მას აქ არ ვეხებით, ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას „ხმით ნატირალების“ შესახებ.

ხევისურულ მიცვალებულის კულტში დატირება რთული სახის მოქმედებას წარმოადგენს. ხევისურები მიცვალებულს დაიტირებდნენ როგორც „მუნჯად“ ისე ხმით. დატირება ხმით სამეგარი იყო—„მოთვლით“, „ძახილით“ და „ვმით“.

„მოთვლა“ უბრალო სახის ტირილია. ძახილით ტირილი ყველას შეეძლო, უკეთეს დატირების წესი ამათუიმ პირს ამ სახით დატირების ნებას რთავდა.

ვმით დატირების შემძლე კი მთელს სოფელში უკეთეს შემთხვევაში სულ ერთი ან ორი პირი იყო. ძახილის დროს სიტყვებს იძახდნენ ხოლმე, ხოლო ვმით ტირილის დროს ჰანგი და რითმა გამოჰყავდათ. ძახილი და საერთოდ ტირილი ხევისურეთში ყველას ყველაზე არ შეეძლო—წესი უკრძალავდა. მაგალითად, ცოლი ქმარს ვერ დაიტირებდა, ქმარი—ცოლს, ვერც მამა და დედა—შვილს, სანამ არ მოხუცდებოდნენ. რაც შეეხება ვმით დატირებას, ამ წესით ყოველ ქალს შეეძლო დაეტირა ყოველი მიცვალებული, ნათესაობისა და მოყვრობის მიუხედავად.

ვმით ტირილი შეიძლება უმათერესად მიცვალებულის „ტალავარზე“. როგორც კი დაჯდება ტალავართან ხმით მატირალი, მაშინვე სთხოვენ იტიროს ვმით. იგიც აიღებს ხანჯალს, თუ ვაჟკაცის ტალავარია, და იწყებს ხმით ტირილს.

<sup>1</sup> W. Koopers, Die Indogermanenfrage im Lichte der historischen Völkerkunde, Anthropos 1936, Bd. I, S. 14.

<sup>2</sup> ვ. ჩიბაია, ცხოვრების ხე ლაზურ ორნამენტში (იბეჭდება ვნიმკ-ის მთარგმნით, ტ. X).

ხმით მატირალმა ტირილის დროს შეიძლება აქოს მიცვალბული, შეიძლება იქ მყოფნი გამოაჯავროს კიდევ, ანუ როგორც ხევესტრები იტყვიან „გასენოს“<sup>1</sup>. ხშირად ხმით მატირალი ხმით მატირალს შეეჯიბრებოდა ხოლმე.

ხმით მატირალი ტირილის დროს თხზავს „ლექსებს“ და მათ ტირილის მსგავსად მღერის. ამიტომ ხმით ნატირალების დახსოვება ძნელია. მიუხედავად ამისა საუკეთესო ხმით ნატირალები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ხალხის მესხიერება მათ ინახავდა, როგორც წინაპართ მოსაგონარ ცხოველმყოფელ წყაროს.

ხმით ტირილის „ატეხა“, ე. ი. ვმით ატირება ხდებოდა ტირილის პროცესში (და—ძმაზე, დობილი—ძმობილზე ან სხვა მოკეთე—მოკეთეზე). „ტირიან ყინჩად“ ასე, რომ „მიცვალბულიც მოინდომებს“ ატირებას. ხმით მატირალი ცდილობს ატიროს ყველა საკუთარი შემოქმედებით.

სხვათა შორის, ვმით ტირილი მიღებული იყო მკვდრის გახსენების დროს, „თიბვის შამშაბათს“. ეს დღე იყო სოფლის პირველად გასვლის დღე სათიბად. მიცვალბულის ქირისუფალი მთელ სოფელს დაჰპატიებდა, ტაბლებს დაამზადებდა, ტალავართ გაშლიდა, ხმით მოტირალნი იტირებდნენ და სულის ხუცესი „სახელს დასდებდა“. ქირისუფალი „თიბვის შამშაბათს“ რომ გადაიხდიდა, შემდეგ სოფელს ნება ჰქონდა „ცელი ბალახში შეეტანა“. სოფელთან ერთად ქირისუფალიც მოსთიბავდა<sup>2</sup>.

აქვე უნდა ითქვას, რომ ვმით ნატირალებს მღერიან თიბვის დროს, რასაც „გვრინი“<sup>3</sup> ეწოდება<sup>4</sup>.

შრომის პროცესში ამ სახით მიცვალბულის მოგონების წესი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში უნიკალურია და დღემდე უცნობი.

მოვიყვანთ ხმით ნატირალების ერთ-ორ მაგალითს.

### შარმანაულზე ნატირალი

შარმანაულო შავარდნო,  
მთიბელნი გიხარინაეო;  
მთიბელ-მამკლისა სანაყროდაო,  
დუშას ზისცვარში ხარშავლაეო.  
ბევრაის ჯიჯვის გამგორესაო,  
თოფსა ვირიმსა ზიდავლაეო;  
მტრისა ბევრაის გამჯავრესაო,  
წელზე ფრანგულსა იბამლაეო;  
სტუმრის ბევრაის მასახურსაო,

<sup>1</sup> გასენვა—გამოჯავრება, გამოშორება. „სასენო“—გასაჯავრებელი, საწყენი, გამოსაშორებელი. ლექსის ეს ჟანრი ხევესტრეთში მდიდრადაა წარმოდგენილი.

<sup>2</sup> იხ. ენიმკის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში ნ. მაკალათიას და მ. ბაღიაურის მასალა: „მიცვალბულის კულტი არხოტში“.

<sup>3</sup> საბას განმარტებით: „გვრინი საგლოელი კმაჲ, გვრინვა“. ასპირანტ ნ. რეხვიანშვილის ცნობით რაჭაში „გვრინის“ შესატყვისად იხმარება—„ზრუნია“.

<sup>4</sup> იხ. ენიმკის ეთნოგრაფიის არქივში ლ. ბაღიაურის ხელნაწერი: „ხევესტრული ხმით ნატირალი“.

ტყავსა ქემხითა ხკერავლაეო,  
ბევრაის მტრისა გამრიგესაო,  
ენასა ბქეჩი ზიდავლაეო.

### მზექალასგან ნატირალი მამუკაზე

ათათა ბიჭო ბალახაიო,  
გამკვირებხარ სამუკაიო,  
იმიტ კი უფრო გამიტრედლიო,  
სკლატის ცმა არა იცოდლიო.  
ლეგა ჩოვაი ჩაიციედიო,  
გვერდზედა ქული გაიგდიო.  
ალაღებულსა ღვეანი წყალსაო,  
ვერ გასავალსა ცხენისასაო.  
პირ-გამართულსა ღვეანი თოფსაო,  
ვმაძალიანსა სიათასაო.  
დაფხაებულსა ღვეანი ვმალსაო,  
ფრანგულსა სისხლჩი დაჩეულსაო.

მაგრამ ქართველი ხალხის მიცვალებულის კულტის შემადგენელი კომპონენტები საყურადღებოა არა მარტო „ლიფანალით“ და „გვრინით“, არამედ სხვა ელემენტებითაც. ამ ელემენტებიდან ყურადღებას იპყრობს, სხვათა შორის, მიცვალებულის დამარხვის ფორმებიც. მიცვალებულის დამარხვის ერთ-ერთ საყურადღებო სახეს ქვემო-ალმეს ქვის კუბო წარმოადგენს.

\* \* \*

ქვის კუბო, რომელიც აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ღირექტორის ამხ. ხუსეინ კირისილოლის ინიციატივით იქნა გადმოტანილი ს. ქვემო-ალმედან<sup>1</sup> აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში 1938 წლის ნოემბერში და ამჟამად ამავე მუზეუმშია დაცული, — წარმოადგენს მთლიანი ტუფის ყუთს, რომლის სიგრძე 192 სმ, სიგანე უდიდესი 51 სმ, უმცირესი 45 სმ, სიმაღლე 27,5 სმ.


კუბოს ძირში თავთან აქვს ამაღლებული ადგილი სასთუმლად, სიგანით 17 სმ, ხოლო სიმაღლით ძირიდან 7,5 სმ. ამას გარდა, კუბოს ძირშივე შუაში გამოკოლავე ნაჩერეტი აქვს,  $d=6$  სმ. კუბოს ნაპირი ამორანდულია იმ მიზნით, რომ მასზე ხუფი კარგად მოვიდეს. ამორანდულის სიგანე—5 სმ.

ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ კუბოს გვერდებზე ძირთან ორწყებად სამი ნაჩერეტი აქვს, სულ ექვსი, რომლებიც დამზადებული უნდა იყოს არა კუბოს გაკეთების დროს, არამედ შემდეგში, როდესაც კუბო გამოუყენებიათ წყლის ქურჭლად აბღესისათვის (სურ. 1).


<sup>1</sup> ქვემო-ალმე ზემო აჭარაში, ხულოს მახლობლად.



კუბოს აქვს ორი ნაწილისაგან შემდგარი ბრეკჩიის ხუფი<sup>1</sup>. პირველი ნაწილის სიგრძე 173 სმ, ხოლო სიგანე 60 სმ; მეორე ნაწილის სიგრძე—32 სმ, სიგანე—59 სმ. ხუფი მთლიანად თაღისებურია. მისი ნაპირები შიგნიდან ამორანდულია იმ მიზნით, რომ კარგად მოერგოს კუბოს (სურ. 2—4).



სურ. 1



სურ. 2

ხუფის მეორე ნაწილი პირველთან შედარებით სიგრძით პატარაა. ირკვევა, რომ ხუფისათვის კუბოს სიგრძის მთლიანი ქვა ვერ უშოვიათ, ამიტომ ხუფის

<sup>1</sup> როგორც კუბოს ხუფის, ისე კუბოს ყუთის ქვის ჯიშის გაარკვია ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ გეოლოგმა დ. მამფორიამ. მანვე აღნიშნა, რომ ეს ჯიშები მოიპოვება ადგილობრივ, ამ ცნობების მოწოდებისათვის გეოლოგ დ. მამფორიას მადლობას მოვახსენებთ.

პირველი ნაწილისათვის მეორე პატარა ნაწილი მიურგიათ. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება. ხუფის მეორე ნაწილად გამოუყენებიათ ნახშიარი ქვა რომელიღაც ნაგებობიდან. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხუფის ამ ნაწილს შიგნიდან ისრისებრი თალი აქვს (იხ. ჩანახატი 5<sup>1</sup>). შეიძლება ეს ქვა ძველად ამათუიმ ნაგებობის ფანჯრის ან ნიშის ცად იყო გამოყენებული.

ამ დეტალთან ერთად საყურადღებოა, რომ ხუფის პირველი ნაწილის ზედაპირზე მის სიგრძე-სიგანეზე არშიაა ამოკვეთილი. არშიის სიგანე— 15 სმ; არშიებით შექმნილ არა თანაბარ განაყოფებში, ცალცალკე თითოეულში, ამოკვეთილია ცხოველები, ჯეირნები. დიდ განაყოფებში მოცემული



სურ. 3

ჯეირნები ზომით დიდია, შედარებით იმ ცხოველებთან, აგრეთვე ჯეირნებთან, რომლებიც მომცრო განაყოფებშია ამოკვეთილი. ცხოველები, ისევე როგორც არშიები, ამობურცვის ტექნიკითაა შესრულებული.

აქ მოცემული ცხოველები ჯეირნების სახისაა, განსაკუთრებით მათი თავისა და რქების მიხედვით. ამავე ცხოველების უკანა ნაწილი ცხვრის შთაბეჭდილებას სტოვებს.

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ ხუფის პირველ ნაწილს თავზე რგოლში ჩასმული, თანაბარ ტოტებიანი ჯვარი აქვს ამოკვეთილი. ეს სახე, თუმცაღა მკრთალად, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანს.

როგორც ირკვევა<sup>2</sup> ეს კუბო ას წელზე მეტია, რაც ქვემო-ალმელებს

<sup>1</sup> ჩანახატები შესრულებულია მხატვარ დურსულ იმნაიშვილის მიერ.

<sup>2</sup> ცნობები მომავლად აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკმა, ანდრია ღლონტმა, რისთვისაც მას მადლობას მოვალეხდებით.

მიწაში უპოვნიათ სოფ. ქვემო-ალმეს იმ უბანში, რომელსაც „ნახუცარი“ ეწოდება. ამავე სოფელში შემდეგი უბნებია: „ნამარნივი“, „რიყვაძეები“ და „ციხის-ძირი“. „ნახუცარიში“ ეკლესია მდგარა, რომლის ნანგრევები ბოლო ხანამდე ყოფილა შემონახული.

პოვნისთანავე კუბო თავისი ხუფით ჯამეს ეზოში გადაუტანიათ და წყლის აუზად გამოუყენებიათ. კუბოს გაუკეთდა გვერდის ნაჩრეტები სათანადო მილებით. ამ აუზიდან მლოცველები მუსლიმანური რიტუალის მიხედვით აბდესს იღებდნენ. აქარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ენერგიული მოქმედების გამო ეს შესანიშნავი ძეგლი ამჟამად მუზეუმშია დაცული.

\* \* \*

ზემოთაღწერილი ძეგლის შემდეგი ანალოგები მოგვეპოვება: ა) საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში დაცულია ქვის კუბო, რომელიც ამავე განყოფილების საკატალოგო დავთარში აღწერილია ასე: „№ 1—27/1.“



სურ. 4

ქვის კუბო მოურგებელი სახურავით. სახურავი შუაზე გატეხილია. ზედ ჯვარისებრი ფორმის სალტა აქვს ამოკრილი. კუბოს ქვედა ნაწილს ერთი კუთხე მოტეხილი აქვს. ეს კუბო გადმოტანილია სიონის ტაძრის ეზოდან და კუთვნილება საეკლესიო მუზეუმს, ჩამოტანილი ყოფილა კათალიკოს კირიონის მიერ ურბნისიდან“.

ამავე ძეგლის შესახებ ე. საეკლესიო მუზეუმის ნაბეჭდ კატალოგში სწერია: „2. Гроб из цельного булыжного камня с разбитой каменной же крышкой, из Карталинии“, М. Джанашвили, Каталог предметам Церковного музея грузинского духовенства. Тифлис 1914, გვ. 60.

უნდა აღინიშნოს, რომ არც საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების და არც ყ. საეკლესიო მუზეუმის აღწერილობა ზუსტი არ არის. საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების დავითის აღწერილობის მიხედვით ხუფი არ უნდა ეკუთვნოდეს ქვის კუბოს, სინამდვილეში კი ხუფი მორგებულია კუბოზე, კიდევ მეტი, როგორც ხუფის, ისე კუბოს ნაპირები ამორანდულია ერთი ვარედან, ხოლო მეორე შიგნიდან იმ მიზნით, რომ ისინი ერთიმეორეზე კარგად მოვიდნენ. ამასთანავე უნდა ისიც ითქვას, რომ გატეხილია როგორც ხუფი, ისე თვით კუბოს ყუთი. კუბოს ხუფს ისევე აქვს გადავლებული სიგრძე-სიგანეზე არშია, როგორც ქვემო-ალმეს კუბოს ხუფს. ამ შემთხვევაში ანალოგი სრულია. აგრეთვე საყურადღებოა, რომ ორივე ხუფი თალისებრია. განსხვავებით ქვემო-ალმეს კუბოს ხუფისგან, ურბნისის ქვის კუბოს ხუფს არავითარი სამკაული არა აქვს, გარდა ზემომოხსენებული არშიებისა. ორივე კუბო ზომითაც დაახლოებით ერთი და იგივეა.

ბ) ბორჯომის ხეივანში დგმული ქვის კუბო (იხ. სურ. 6). ეს კუბო, როგორც სურათიდან ჩანს, შესდგება ქვის ყუთისა და ქვისავე ხუფისაგან. თავისი ფორმით როგორც ერთი, ისე მეორე მსგავსია ქვემო-ალმეს ქვის კუბოსი. კიდევ მეტი, აქაც, ბორჯომის ქვის კუბოს ხუფს მთელს სიგრძე-სიგანეზე არშიები ჩასდევს. ეს კუბო XX საუკუნის დასაწყისში გადმოქუტანიათ სადგერიდან და სხვა ძეგლებთან ერთად მოუთავსებიათ ბორჯომის ხეივანში. 1922 წელს დიდ ნიაღვარს, როგორც ეს კუბო, ისე სხვა ძეგლებიც, წაუღვია. ამჟამად ამ ძეგლის მხოლოდ ფოტო-სურათია დარჩენილი.

გ) ქვის კუბო დილოში. ამ კუბოს მხოლოდ ყუთია დაცული. მოთავსებულია სოფლის შუაგულში წყაროსთან. ჩამოტანილია სოფლის მახლობელ მთიდან. კუბოს ჰქონია ხუფი, მაგრამ ის გაუტეხიათ გადმოქუტანისა თუ მიწიდან ამოღების დროს. ხუფის მცირე ნაწილი სოფელში გდია ქუჩის პირად<sup>1</sup>. ამ კუბოს ყუთი ფორმითა და ზომით ქვემო-ალმეს, საქ. მუზეუმისა და ბორჯომის კუბოების ყუთის მსგავსია.



\* სურ. 5

საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ქვის კუბო მოიპოება აგრეთვე ქუთაისის მუზეუმში. ეს კუბო აღმოჩენილია არქიელის გორაკზე. მას ხუფი არა აქვს. ფორმით იგი განსხვავდება ჩვენ მიერ ზემოთაღწერილ ქვის კუბოებიდან. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელთა მსგავსი კუბოები დადასტურებულია დალისტანში და სომხეთში.

<sup>1</sup> ცნობები გადმომცა მეტეხის მუზეუმის სწავლულმა მდივანმა, დიდად პატივცემულმა ი. სონდულაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვხსენებთ.

დაღისტანში სოფ. ყალა-კორეიშას ნეკროპოლის ერთერთი კუბოს ხუფი იმავე სახისა თავისი ფორმით, როგორც ქვემო-ალმეს კუბოს ხუფი. ყალა-კორეიშას კუბოს ხუფი თაღისებრია. იგი ორნამენტებითაა შემკული. ორნამენტები ხუფს აქვს არა მარტო ზედაპირზე, არამედ თავზედაც. აქ გამოხატულია ცხოვრების ხის გვერდით ლომები და ფრინველები, არწივი და მის გვერდებზე ლომები<sup>1</sup>. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყალა-კორეიშას კუბოს ხუფს აქვს ორნამენტი ისევე, როგორც ქვემო-ალმეს ქვის კუბოს ხუფს. მეტად საყურადღებოა, რომ ყალა-კორეიშას კუბოს ხუფზე მოცემული ცხოვრების ხის მოტივს ქვემო-ალმეს კუბოს ხუფზე წრეში ჩასმული ჯვარი სცვლის. ეს ძველი დაღისტნის სხვა ძეგლებთან ერთად დაახლოებით X—XII საუკუნეებით თარიღდება.



სურ. 6

მაგრამ ანალოგები ამით არ განისაზღვრება. მეტად საგულისხმოა, რომ ქვემო-ალმეს ქვის კუბოს ანალოგები მოეპოება სომხეთის ტერიტორიაზედაც: არბა-ჩაის აუზში კოხურ-ვანქის და ჯანის სასაფლაოებზე მრავლად მოიპოება ლუსკუმები, რომლებიც ალმეს ქვის კუბოს ფორმისანი არიან და ასევე შემკული ორნამენტებით<sup>2</sup>. ეს საფლავის ქვები თარიღდება XV საუკუნის დასაწყისით.

<sup>1</sup> А. Башкиров, Искусство Дагестана, Москва 1931, таб. 32, 39, 40. ბაშკიროვი პირველ კომპოზიციაში მოცემულ ხეს უბრალო ხედ აღნიშნავს. არსებითად ეს ხე ცხოვრების ხეა, რამდენადაც იგი ლომებისა და ფრინველების კომპოზიციაში შედის. ეს მოტივი ცნობილია უძველეს ხნიდან (იხ. ამის შესახებ გ. ჩიტაია, ლაზური ორნამენტი).

<sup>2</sup> МАК, ნაკ. XIII, გვ. 96 და 97, სურ. 38 და 42.

ამ სახის საფლავის ქვებიდან საყურადღებოა იმავე არბა-ჩაის აუზში მდებარე გიდე-ვანქის ანუ გიდა-ვანქის<sup>1</sup> ქამატუნის მიხლობლად დაცული ლუსკუმა. ამ ლუსკუმის ერთ გვერდზე გამოკვეთილია ნადირობის სცენა. ნადირობის კომპლექსში, სხვათა შორის, მოცემულია ჯეირანიც, რომელიც რქების მოხაზულობით ქვემო-ალმეს ქვის კუბოს ჯეირანის რქებს მოგვაგონებს. გიდე-ვანქის ლუსკუმას მასზე მოცემული წარწერა ათარილებს XV საუკუნით (1441).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვის კუბოების (ლუსკუმა, სარკოფაგი) გამოყენება უძველესი ხანიდან მომდინარეობს. იგი მოიპოება უძველეს ხანის ეგვიპტესა და წინა აზიაში, კერძოდ პალესტინასა<sup>2</sup> და მცირე აზიაში<sup>3</sup>. ამ ძეგლებზე უმეტეს შემთხვევებში სიმბოლური ხასიათის სახეები ამოკვეთილი: ცხოვრების ხე, მნათობები და სხვა სიუჟეტები. ამას ადგილი აქვს, როგორც დავინახეთ, დალისტინისა და სომხეთის ლუსკუმებზეც. ამასვე ვხედავთ ჩვენ იმერეთის საფლავის ქვებზე, რომელთა შესახებ მასალები შეაგროვა ენიმკი-ს ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ 1937 წ.

ამიტომ გამოირიცხული არ არის, რომ ქვემო-ალმეს ქვის კუბოს ხეფზე ამოკვეთილი სახეები სიმბოლური. დანიშნულებისა იყოს. კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯვარედინად გადავლებული არშია ცხოვრების ხის დეგრადირებული გამოსახულება იყოს, რომლის გვერდებზე ცხოველებია წარმოდგენილი, როგორც ამას აქვს ადგილი სხვა შემთხვევაში მიცვალებულის კულტთან დაკავშირებით. ამის მაგალითს იძლევა სვანური სიმბოლური გამოსახულებები ლაქუნდირებზე<sup>4</sup>, სვანები ლიფანალის<sup>5</sup> დროს რომ ხატავდნენ. საყურადღებოა, რომ სვანურ ლაქუნდირზე მოცემულ ცხოვრების ხესა და ცხოველებს თან ახლავს, როგორც მზის, ისე მთვარისა და ჯვრის გამოსახულებები.

ამიტომ სრულიად გასაგებია, რომ ჩვენ ქვემო-ალმეს ქვის კუბოს ხეფზე აგრეთვე ჯვარიც გვაქვს გამოსახული. რომ აქ ჩვენ უდავოდ ჯვარი გვაქვს მოცემული, ამას მხარს უჭერს ბორჯომის ხეივანში მდგარი მეორე ქვის კუბო, რომლის თავზე ამჟვარად ჩანს წრეში ჩასმული ჯვარი. როგორც ცნობილია, ჯვრის სახე თავისი წარმოშობით მზის სიმბოლოა<sup>6</sup>, რომელსაც შემდეგში ქრისტიანობა იყენებდა თავისი მიზნებისათვის.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, რომ ქვის კუბოების (ლუსკუმა, ტაგრუცი) ტრადიცია ძველია, თუმცა წინაისტორიული ხანის ქვის კუბოები ჩვენში დღემდე აღმოჩენილი არ არის. წინაისტორიული ხანის სამარხები საქართველოში ამ-

<sup>1</sup> MAK, ნაკ. XIII, გვ. 151, სურ. 85; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, АКАК V, VI 2.

<sup>2</sup> G. Contenau, Les antiquités orientales, Monuments Hittites etc. Paris 1932, ტაბ. 30 (Sarcophages Palestines. Début norte ere).

<sup>3</sup> R. Leonard, Paphlagonia; A. Baumeister, Denkmäler des klassischen Altertums, ტ. III; Perrot et Chipiez, Histoire de l'art dans l'Antiquité I-IV.

<sup>4</sup> ლაქუნდირი—ტიხრი, რომელიც გამოყოფს სახლის საცხოვრებელ ნაწილს ცხოველების სადგომიდან.

<sup>5</sup> მიცვალებულთათვის განკუთვნილი ხანიერი დღეობა.

<sup>6</sup> გ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ხეცსურული ორნამენტი, გვ. 11—12.



ქამად შემდეგი სახეებითაა ცნობილი: თალიანი ქვის ნაგებობა, ქვის ყუთები, ქვევრები და აგურისა და კრამიტის ნაგებობა<sup>1</sup>. გარდა ამისა, აგრეთვე დამოწმებულია თიხის კუბოები (იხ. საქართველოს მუზეუმის, ზუგდიდისა და ფოთის მუზეუმების კოლექციები).

საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ქვის კუბოები დათარიღებული არ არის.

სამწუხაროდ, ყველა ქვის კუბო შემთხვევითაა ნაპოვნი. ამის გამო არ არის ცნობა მათი ინვენტარის შესახებ, არ არის დადგენილი მათი ადგილმდებარეობა და გარემოცვა. ეს გარემოება მეტად აძნელებს მათ დათარიღებას. ურბნისის, სადგერის და ქვემო-ალმეს ქვის კუბოების შესახებ შეიძლება გარკვევით ერთი რამ ითქვას, სახელდობრ ის, რომ ისინი ქრისტიანული ეკლესიების გალავანში არის აღმოჩენილი. ეს გარემოება თავისთავად სათანადო მათითებას იძლევა ამ სახის ძეგლების ეპოქის დასადგენად. ის ფაქტი, რომ ერთი სახის ქვის კუბოები (ფორმით, ორნამენტით—წრეში ჩასმული ჯვარი, არშია) დადასტურებულია დიდიმდინარე დარეჯანის, ურბნის-სადგერზე გავლით, ქვემო-ალმემდე—უთუოდ ამ ძეგლებისათვის გარკვეულ ეპოქას გულისხმობს. ეს ეპოქა ამ მხარეების საქრისტიანო ერთობის დროის იმ მონაკვეთზე უნდა მოდიოდეს, როდესაც მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა მესხეთი და ზემო-აჭარა. როგორც ცნობილია, მცხეთის საკათალიკოსოს უფლებები ზემო-აჭარაში დონდალოს ხიდის ხაზით ისაზღვრებოდა<sup>2</sup>. ეს ეპოქა თარიღდება დაახლოებით X—XIV საუკუნეებით. ვარაუდით ამავე საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს ქვემო-ალმეს ქვის კუბოც.

ამ თარიღს მხარს უჭერს შემდეგი გარემოება. ერთი მხრით ამავე სახის ქვის კუბოებს ჩვენ ვადასტურებთ როგორც დალისტანში (თარიღდება X—XII საუკუნეებით), ისევე სომხეთში (XV საუკ.). აღსანიშნავია, რომ სომხეთის ერთ-ერთ დათარიღებულ (1441 წ.) ლუსკუმაზე გამოკვეთილი ჯეირანი სტილით ქვემო-ალმეს ქვის კუბოს ჯეირანის მსგავსია.

მეორე მხრით უნდა ითქვას, რომ სადგერის ქვის კუბო დადასტურებულია იმ არეში, რომელსაც ეკუთვნის ცხვისისა და ცხენის სახის საულავის ქვები. ამ სახის საულავის ქვების გავრცელების დღემდე ცნობილი არეალია ქართლის ნაწილი, წალკა, ჯავახეთი, მესხეთი და სომხეთის ნაწილი. საულავის ქვების ამ სახის ერთი ნაწილი შეიძლება დათარიღდეს XIII—XVI საუკუნეებით<sup>3</sup>. არაპირდაპირად ეს მონაცემიც გამოდგება ქვის კუბოს დათარიღებისათვის.

ზემოთ ჩვენ მიერ მოცემული თარიღი პირობითია, რამდენადაც ამჟამად მეტად მცირე მონაცემები გვაქვს ზუსტი თარიღის დასადგენად. იმ მიზნით, რომ გაირკვეს ქვემო-ალმეს ქვის კუბოს თარიღი, საჭიროა პირველ რიგში შესწავლილ იქნას ქვემო-ალმეს ქვის კუბოსთან დაკავშირებული კომპლექსი („ნახუცარის“ არქეოლოგიური ვახხრა) და ახლადაღმოჩენილი ამ სახის ძეგლები გამოკვლეული იქნას მეცნიერული სიზუსტითა და არქეოლოგიური ვახხრების მოთხოვნილებების დაცვით.

<sup>1</sup> ივ. ჯავახი შვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 7—8.  
<sup>2</sup> Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб. 1878.  
<sup>3</sup> შტრ. გ. ჩიტიია, გუდარეხისა და პიტარეთის საულავის ქვები, საქართველოს მუზეუმის შიამზე, ტ. II, გვ. 111.

შ. ჩხებიძე

რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში<sup>1</sup>  
(1801—1840 წწ.)<sup>2</sup>

1

საქართველო XIX საუკუნის დასაწყისისათვის, როგორც ცნობილია, მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმს არ წარმოადგენდა. ის შესდგებოდა ორი სამეფოსა (ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები) და ოთხი სამთავროსაგან (აფხაზეთის, საშეგრელოს, გურიისა და სვანეთის სამთავროები). ამასთანავე ბოლო საუკუნეებში საქართველო დროგამოშვებით მეზობელ მუსლიმანურ სახელმწიფოების ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა: აღმოსავლეთი საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთი საქართველო—თურქეთის დამოკიდებულებაში.

თვითეული დასახელებული ერთეული საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ ნომინალურად იგულისხმებოდა, ფაქტიურად კი ყოველი მათგანი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს (სამეფოს ან სამთავროს) წარმოადგენდა და თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი აპარატისა და მმართველობის მქონე იყო<sup>3</sup>. ეს სახელმწიფოებრივი აპარატი და მართვა-გამგეობის წესი თვითეულ მათგანში იმ სპეციფიკურ და თავისებურ პირობებზე ემყარებოდა, რომლებიც

<sup>1</sup> თავი გამოუქვეყნებელ შრომიდან: „რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში XIX საუკუნეში“.

<sup>2</sup> მმართველობის ცნება ფართო გაგებით ჰგულისხმობს სახელმწიფოებრივ მშენებლობის სხვადასხვა დარგის წარსამართავად განკუთვნილ იურიდიულ ნორმათა და პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლივობას, ვიწრო და სპეციფიკური გაგებით კი მმართველობის ცნების ქვეშ იგულისხმება გარკვეულ მიზნისა და პრინციპების საფუძველზე მოწყობილი, ადმინისტრაციული აპარატი, რომლის დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველყოფა მის შიგნით. ორივე შემთხვევაში მმართველობა კლასობრივ ხასიათს ატარებს და იმ კლასის ინტერესებს ემსახურება, რომელიც სახელმწიფოშია გაბატონებული და რომელიც, მაშასადამე, ძალა-უფლების საჭეთმპყრობელია.

ეს ჩვენი წერილი (და მისი გაგრძელება) წარმოადგენს მეფის რუსეთის მიერ საქართველოში შემოღებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო) მმართველობის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას უკანასკნელი გაგებით და განკუთვნილია ჩვენი შრომის „საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე“-ს შესავალად.

<sup>3</sup> 1790 წელს საქართველოს მეფე-მთავრებს შორის დადებული შეთანხმება, რომელზედაც ხელი მოწერილი ჰქონდათ ერეკლე II, სოლომონ II, გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურიელს, მდგომარეობას ფაქტიურად არ ცვლიდა.



ადგილობრივად არსებობდა, მაგრამ მმართველობის სისტემა თავისი არსებითი მხარეებით საერთოდ მთელს საქართველოში ძირითადად ერთიდაიგივე იყო იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ მთელს საქართველოში ამ დროს ერთიდაიგივე სოციალ-ეკონომიური წესწყობილება არსებობდა<sup>1</sup>: საქართველოში ამ დროს არსებული ფეოდალურ-ბატონყმური წესწყობილება თავისდა-თავად ჰგულისხმობდა ამ წესწყობილებასთან შეფარდებულ მმართველობის ერთიან სისტემას, რათქმაუნდა, იმ გავლენის ნიშნებით, რომელიც უნდა გავრცედა ამ სისტემას ძალაუფლებურად საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდის მანძილზე სიუზერენულ მუსლიმანურ სახელმწიფოთა მმართველობისაგან: აღმოსავლეთ საქართველოში—ირანისაგან, ხოლო დასავლეთ საქართველოში—თურქეთისაგან<sup>2</sup>.

სახელმწიფოებრივი აპარატი, მმართველობის წესი და საერთოდ ხელისუფლება ფეოდალურ საქართველოში, ზოგადად რომ ვთქვათ, თავისი სოციალური შინაარსითა და პრინციპული თვისებებით, არსებითად ისეთივე ხასიათისა უნდა ყოფილიყო და იყო კიდევც, როგორც საერთოდ ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში. საქართველო წარმოადგენდა ამ დროს საერო და სასულიერო სენიორთა ლენურ სახელმწიფოს, რომლის სათავეში ფეოდალი მეფე (ანუ მთავარი—სამთავროში) და ეკლესია იდგა. თვითელი ასეთი სენიორი (თავადი)<sup>3</sup> თავის სამფლობელოში სრული ბატონ-პატრონი და დამოუკიდებელი მმართველი იყო. ზოგჯერ ის თვით წარმოადგენდა სამართლის გამჩენსაც და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. მეფისადმი (ან მთავრისადმი) დამოკიდებულება ფეოდალისა თვითეულ სახელმწიფოებრივ ერთეულის ფარგლებში დამყარებული იყო იმაზე, თუ რას წარმოადგენდა თავისი მდგომარეობით ესა თუ ის ფეოდალი: რამდენად უფრო ძლიერი და შეძლებული იყო ფეოდალი, იმდენად მეტი შესაძლებლობა ჰქონდა მას მეფეს არ დამორჩილებოდა, და ბირიქით, რამდენად სუსტი და უძლური იყო ის, იმდენად უფრო იძულებული იყო ის მეფის სუვერენული უფლება ეცნო და მისი ნების ამსრულებელი ყოფილიყო<sup>4</sup>.

მაგრამ, რათქმაუნდა, მეფის ხელისუფლება და მისი სუვერენული უფლება ამის გარეშეც არ იყო სავსებით ნიადაგს მოკლებული: ის ემყარებოდა, მრავალსაუკუნოვან ტრადიციის გარდა, ერთის მხრივ იმაზე, რომ მეფე (რომელიც თვით ფეოდალი იყო) თანასწორთა შორის, ე. ი. სხვა ფეოდალთა შორის,

<sup>1</sup> ამას გარდა საქართველო ამ დროს, ისევე როგორც მანამდე, გარემოცვის და გარეშე სამყაროს მიმართ ერთ კულტურულ მთელს წარმოადგენდა.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქვს უმთავრესად ირანის გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე და თურქეთის გავლენა დასავლეთ საქართველოზე, თორემ ირანს ნაწილობრივი გავლენა ჰქონდა დასავლეთ საქართველოზედაც და თურქეთს—აღმოსავლეთ საქართველოზედაც.

<sup>3</sup> ქართლ-კახეთის სამეფოში 1783 წელს ითვლებოდა 62 თავადის გვარი (24 კახეთში და 38 ქართლში) და 317 აზნაურის გვარი (B. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, გვ. 6, 7).

<sup>4</sup> ამ საკითხის (ფეოდალურ ურთიერთობის საკითხის) ოდნავ ვრცლად განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. მსურველს მივუთითებთ ნ. ბერძენიშვილის ახლახან გამოსულ საყურადღებო ნაშრომზე: „მიმოხილვა ფეოდალურ ურთიერთობის განვითარების ისტორიიდან საქართველოში“ (რუსულ ენაზე), თბილისი 1938 წ.

სწორედ როგორც ფეოდალი, უფრო ძლიერი იყო, ხოლო მეორე მხრივ კი იმაზე, რომ დანარჩენი ფეოდალები, ურთიერთშორის ერთიანობისა და თანხმობის უქონლობის გამო, მეფეს გაერთიანებულად ვერ უპირისპირდებოდნენ.

ამას გარდა მეფეს (ან მთავარს), სხვა ფეოდალთაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ძლიერი შეიარაღებული ძალა და ადმინისტრაციული აპარატიც გააჩნდა, ვიდრე თვითეულ მთავარს, და ამ აპარატის საშუალებით მეფე თავის უფლებას ასე თუ ისე მთელს სახელმწიფოზე ავრცელებდა. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ იმ ხანის მდგომარეობას ავიღებთ სანიშნოდ, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით, ე. ი. XVIII ს. დასასრულს, — გიორგი მეფეს, რომელიც უფრო უძლური მეფის განსახიერებას წარმოადგენდა, ვიდრე სხვა რომელიმე მისი წინამორბედი მეფე საქართველოში, დაქირავებულ ჯარის გარდა<sup>1</sup>, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა მთელი შტატი ჰყავდა თავის კართან. ასევე იყო საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროშიც.

სახელმწიფო აპარატისა და კარის მოხელეთა საკითხი XVIII საუკუნის საქართველოში ჯერ შესწავლილი არ არის<sup>2</sup> და ამ საკითხის<sup>3</sup> ოდნავ ვრცლად განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არც შეადგენს, მაგრამ მაშინდელი მდგომარეობა, ჩვენს თემასთან დაკავშირებით ზოგადად რომ მოვიგონოთ აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ<sup>4</sup>.

სახელმწიფოებრივი მმართველობა საქართველოში დანაწილებული იყო ასე თუ ისე ცალკე დარგებად<sup>5</sup> და თვითეულ დარგს მიჩენილი ჰყავდა სპეციალური მოხელე. უზენაესი ხელისუფლება სახელმწიფოში ეკუთვნოდა მეფეს, რომელიც „განუსაზღვრელი“ უფლებით იყო აღჭურვილი. მეფის შემდეგ უმაღლეს თანამდებობად სახლთუხუცესის თანამდებობა ითვლებოდა<sup>6</sup>; სახლთუხუცესი ამ დროს მმართველს ნიშნავდა; ქართლ-კახეთის სამეფოში სულ ორი სახლთუხუცესი ითვლებოდა (ქართლისა და კახეთისა). სამხედრო საქმეს სახელმწიფოში საერთოდ მეფე განაგებდა, მაგრამ ამ საქმის უშუალო

<sup>1</sup> გიორგის თავის კართან ჰყავდა ლეკთაგან შემდგარი ჯარი 1200 კაცამდე, რომელთაც 30 მან. ეძლეოდათ თევში (თითოს), ხოლო ვრეკლეს დროს დაქირავებულ ლეკთა ჯარის რიცხვი კიდევ უფრო მეტი იყო (Н. Дубровин, История войны, I, 2, გვ. 212).

<sup>2</sup> ამ საკითხზე, ამჟამად, რამდენადაც ვიცით, ნაყოფიერად მუშაობს პროფ. ნ. ბერძენიშვილი.

<sup>3</sup> საკითხის გაცნობისას (ცალკეულ შემთხვევაში) ჩვენ ვსარგებლობდით აკად. ივ. ჯავახიშვილის კონსულტაციითა და მითითებით, რისთვისაც მცოვან მეცნიერს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

<sup>4</sup> ჩვენ აქ ვასახელებთ მხოლოდ უმთავრეს კარის მოხელეებს, რომელნიც ამავე დროს სახელმწიფო მოხელეებიც იყვნენ. უფრო დაწვრილებით ამ მოხელეების, მათი უფლება-მოვალეობისა და სარგოს შესახებ — დასტურლამალი (პ. უშიკაშვილის რედაქტორობით. 1885 წ., ტფილისი) და აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია, II, ტფილისი (განსაკუთრებით გვ. 73 და შმდ.).

<sup>5</sup> სახელმწიფოებრივი მმართველობის დიფერენციალი დარგებად ამ დროს, რათქაუნდა, არ იყო ისე დახუსტებული, როგორც ეს ამჟამად წარმოიდგინება, ან როგორც ეს ძველად იყო (XII—XIII) საქართველოში (იხ. ქვემოთ).

<sup>6</sup> დასტურლამალი, გვ. 76; Акты, II, გვ. 40.

გამძღოლად სარდალი ანუ სარდარი ითვლებოდა; მას ჰყავდა თანაშემწე, რომელსაც სარქარდარი, ან სარქარ-ბაში ეწოდებოდა<sup>1</sup>; ქართლ-კახეთში სულ ხუთი სარდალი ითვლებოდა: 1. მეწინავე, 2. მემარჯვენე, 3. მემარცხენე, 4. მეფის დროშისა და 5. ქიზიყის მოურავი<sup>2</sup>; სარდლისა და სარქარდარის ხელქვეითნი იყვნენ: მიმბაში, ან მინბაში—ათასის თავი<sup>3</sup>, პუნსედ-ბაში—ხუთასის თავი<sup>4</sup>, იუზბაში ან უზბაში—ასის თავი<sup>5</sup>, დაღბაში ან დღღბაში—ათასთავი<sup>6</sup> და ფანჯაბაში—ხუთის თავი<sup>7</sup>; დაქირავებულ ჯარის უფროსად ყულარ-ალასი ითვლებოდა<sup>8</sup>, ხოლო მეფის მცველთა (ქეშიკთა) უფროსად—ქეშიკჩი-ბაში<sup>9</sup>; მანდატურთუხუცესის<sup>10</sup> თანამდებობის ამსრულებელს ეშიკ-ალა-ბაში ეწოდებოდა<sup>11</sup>, ხოლო იასაულთა<sup>12</sup> უფროსს—ყორ-იასაულ-ბაში<sup>13</sup>; წესრიგის საქმე და ნასაყების უფროსობა ნასაყჩი-ბაშს ჰქონდა დაკისრებული<sup>14</sup>, ხოლო მსაჯულთა უფროსობა—მდივანბეგს<sup>15</sup>; დასასრულ, საბოქაულო საქმე და ბოქაულთა უფროსობა ბოქაულთუხუცესს ჰქონდა დაკისრებული<sup>16</sup>.

მეფის კართან როგორც სასახლისა და ამავე დროს სახელმწიფოს მოხელენი ითვლებოდნენ: სასახლის მმართველი სახლთუხუცესი<sup>17</sup>, მეფის

<sup>1</sup> პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, ტფილისი 1895 წ., გვ. 336; *Акты, Кавк, I*, გვ. 194; ვახტანგ VI, დასტურლამალი, ტფილისი 1886 წ., გვ. 69, 182 (პ. უშიაკაშვილის რედაქტორობით).

<sup>2</sup> *Акты, II*, 39; შდრ. В. Иваненко, *Гражданское управление*, გვ. 11; Н. Дубровин, *История войны*, I, 2, გვ. 207.

<sup>3</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194; II, გვ. 39; დასტურლამალი 178.

<sup>4</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194.

<sup>5</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194; II, გვ. 42; დასტურლამალი, გვ. 48 და 184.

<sup>6</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194.

<sup>7</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194.

<sup>8</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194; დასტურლამ. 34, 188.

<sup>9</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194; II, გვ. 42.

<sup>10</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1928 წ. გვ. 157—160.

<sup>11</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, 194; II, გვ. 42; დასტურლამალი, გვ. 14, 169.

<sup>12</sup> ვახტანგის სამართლის მიხედვით (მუხ. 4) იასაული ორგვარი იყო: 1. განაჩენის ამსრულებელი და 2. გამოძიებელი, გამოძიებელი. (ვახტანგის კანონები, რუსულ ენაზე, ბაქრაძის რედაქტორობით, 1887, გვ. 4).

<sup>13</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194; II, გვ. 41; დასტურლამალი, გვ. 42.

<sup>14</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194; შდრ. *Акты, II*, გვ. 42.

<sup>15</sup> დასტურლამალი, გვ. 56—58.

<sup>16</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; *Акты, I*, გვ. 194, დასტურლამალი, გვ. 14, 16; შდრ. *Акты, II*, გვ. 43.

<sup>17</sup> პ. იოსელიანსა და *Акты*-ს სახლთუხუცესი კარის მოხელეთა შორის ჰყავთ დასახლებული (პ. იოსელიანი, გვ. 336; *Акты, I*, 194), ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით კი სახლთუხუცესი XVIII საუკუნეში მმართველს მნიშვნავდა და, როგორც ვთქვით, ამ დროს ორი სახლთუხუცესი ითვლებოდა მეფის კართან: 1. ქართლის სახლთუხუცესი და 2. კახეთის სახლთუხუცესი. ამ დროს სახლთუხუცესი, როგორც ჩანს, ითავსებდა პროვინციის მმართველსა და ხელმწიფის კარის მმართველის ფუნქციებს და ამიტომაც ვასახლებობთ აქ ამ თანამდებობას მეორეჯერ (იხ. ზემოთ).

მრჩეველი—ვეზირი<sup>1</sup>, „უსტართმწერალი“ (ს. ორბელიანი)—მდივანი<sup>2</sup>, (მდივნები ჰყავდათ სარდალს, სახლთხუცესს, ყულარაოასს, მდივან-ბეგს და სხ.)<sup>3</sup>, ძღვენას (ფეშქაშის) აღმწერი—ფეშქაშევისი ან ფეშქაშევისი<sup>4</sup>, ანგარიშის მწარმოებელი მოხელე—მუსტაფა ანუ მუსტაფა<sup>5</sup>, მოლარეების უფროსი—მოლარეთხუცესი<sup>6</sup>, სახელმწიფო ბეჭდის მცველი—ნაზირი<sup>7</sup>, მეჭურჭლე (მნე)—მოლარე<sup>8</sup>, სალაროს მწერალი—სალაროს მჭურბი<sup>9</sup>, მწერალი—მუშრები<sup>10</sup>, სურსათის მიმცემი მოხელე—თუშმალი<sup>11</sup> და იარაღის კეთების ზედამხედველი—სალაროს ნაზირი<sup>12</sup>.

მეფის კარს და უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ, როგორც სახელმწიფო დაწესებულებები, თავიანთი შტატით: 1. თოფხანა—სამხედრო საქურველთა და იარაღთა სახლი<sup>13</sup>, 2. ზარაფხანა—ფულის მოსაჭრელი სახლი<sup>14</sup>, 3. დავთარხანა—წიგნთ და არქივთსაცავი<sup>15</sup>, 4. სტამბა, 5. ნალარხანა—მომღერალთა და მუსიკალურ ინსტრუმენტთა სახლი<sup>16</sup> და სხვა.

ადმინისტრაციული დანაწილების მხრივ ქართლ-კახეთის სამეფო დაყოფილი იყო სამოურაოდ. სულ ქართლ-კახეთში 12 მთავარი სამოურაო ითვლებოდა: 1. ტფილისისა, 2. ქიზიყისა, 3. თუშეთისა, 4. ხევსურეთისა, 5. ფშავისა, 6. შამშადილისა, 7. ბორჩალოსი, 8. ბამბაკისა, 9. გორისა, 10. თელავისა, 11. საგარეჯოსი და 12. სურამისა<sup>17</sup>; მაგრამ ამათ გარდა თვითეული სამოურაო თავის მხრივ უფრო წვრილ სამოურაოდ იყოფოდა. სულ ქართლში 38, ხოლო კახეთში 32 ასეთი სამოურაო ითვლებოდა<sup>18</sup>. სამოურაოს სათავეში მოურავები იდგნენ. მოურავობა, ისევე როგორც საერთოდ ყოველგვარი სახელმწიფო მოხელეობა, უმეტეს შემთხვევაში მემკვიდრეობითი იყო, ყოველ

<sup>1</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; АКТЫ, I, გვ. 194; დასტურლამალი, გვ. 32.

<sup>2</sup> პ. იოსელიანი, იქვე, გვ. 336; АКТЫ, I, გვ. 194; დასტურლამალი, 49—50.

<sup>3</sup> დასტურლამალი, გვ. 176.

<sup>4</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 84.

<sup>5</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 63—64, 178.

<sup>6</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 59, 179.

<sup>7</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 60 (ვახტანგს მოლარეების შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი).

<sup>8</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 80.

<sup>9</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 179.

<sup>10</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, გვ. 194; დასტურლამალი, გვ. 34.

<sup>11</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194; დასტურლამალი, გვ. 43, 64, 65.

<sup>12</sup> პ. იოსელიანი, გვ. 305; მეთოფეთა შესახებ იხ. დასტურლამალი, გვ. 62.

<sup>13</sup> პ. იოსელიანი, გვ. 307; დასტურლამალი, გვ. 33.

<sup>14</sup> დასტურლამალი, გვ. 24, 68 (დასტურლამალში ლაპარაკია მხოლოდ დავთარხანის სასულის სარგოს გარიგების შესახებ).

<sup>15</sup> პ. იოსელიანი, გვ. 305; დასტურლამალი, გვ. 66.

<sup>16</sup> პ. იოსელიანი, გვ. 336; АКТЫ, I, 194.

<sup>17</sup> პ. იოსელიანი, გვ. 330—333; АКТЫ, I, 194.

შემთხვევაში გარკვეულ გვარებსა და სახლებზე იყო დამტკიცებული, მაგრამ მეფის იურისდიქციის ექვემდებარებოდა<sup>1</sup>.

მოურავებივე ედგნენ სათავეში ქალაქებს. მოურავის მეორე პირად ქალაქში მამასახლისი ითვლებოდა, მაგრამ XVIII ს. დასასრულისათვის ეს თანამდებობა თითქმის საესებით გაუქმებული ჩანს. ის ამ დროს უკვე შერთებული იყო მეორე საქალაქო თანამდებობასთან—მელიქთან<sup>2</sup>; ხოლო მელიქი ქალაქის თავად ითვლებოდა და ის ქალაქში უმთავრესად ვაჭრობისა და ხელოსნობის (ამქრობის) საქმეს განაგებდა. ქალაქის „პოლიციის“ სათავეში ნაცვალ იდგა, მაგრამ ის ამავე დროს „ხორაგეულობის ვაჭრობისა და ბაზრის ზედამხედველ მოხელე“-დაც ითვლებოდა. მას ექვემდებარებოდნენ ქალაქის იასაულები, ასასები, ქეთხუდები, გზირები და სხვა წვრილი მოხელენი<sup>3</sup>.

ყველა ზემოთდასახლებულ სახელოთა და მოხელეთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი განისაზღვრებოდნენ ნაწილობრივ ვახტანგ VI კანონთა კრებულებით და მისივე დასტურლამალით, ნაწილობრივ და უმთავრესად კი ზნე-ჩვეულებებითა და ადათ-წესებით<sup>4</sup>. განსაკუთრებით ეს ითქმის დიდ თანამდებობის პირთა და კარის მოხელეთა შესახებ. ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნის დასასრულის საქართველოს მეფის კარის გარიგების შემცველ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. ხოლო რაც შეეხება ვახტანგის დასტურლამალს<sup>5</sup>—ის, მართალია, სისხლის სამართლის ნორმებთან ერთად, სამოქალაქო სამართლის ნორმებსაც შეიცავდა და მოხელეთა უფლება-მოვალეობასაც განსაზღვრავდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ვახტანგის დასტურლამალი უკანასკნელი თვალსაზრისით (ე. ი. მოხელეების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის თვალსაზრისით)

<sup>1</sup> კარის მოხელეები ჰყავდათ აგრეთვე: ა) საქართველოს დედოფალს, ბ) საქართველოს კათალიკოსს და გ) დიდ ფეოდალებსაც; ამ მოხელეთა სახელწოდება, სარგო და გარიგების წესი მეფის კარის წაბაძით იყო დადგენილი (АРМЫ, II, გვ. 38—43).

<sup>2</sup> დასტურლამალშიც მელიქი და მამასახლისი ერთ (გაერთიანებულ) თანამდებობად ჩანს (დასტურლამალი, გვ. 124); ამის მიზეზით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი თანამდებობა გაერთიანებული იყო ჯერ კიდევ XVIII ს. დასაწყისშიც; თუმცა მეორე შემთხვევაში დასტურლამალი მამასახლისის ცალკე იხსენიებს და მელიქს კიდევ ცალკე (გვ. 85). ამის მიხედვით კი გამოდის, რომ ამ დროს (XVIII ს. დასაწყისში) მამასახლისის თანამდებობა ჯერ კიდევ გაუქმებული არ ყოფილა.

<sup>3</sup> საქალაქო დაწესებულებათა და მოხელეთა შესახებ იხ. „საქართველოს სიძველენი“, II, გვ. 522—531. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII, გვ. 336; დასტურლამალი გვ. 23, 33, 85, 86, 91, 124 და სხვ.; АРМЫ, I, გვ. 194; II, გვ. 43.

<sup>4</sup> არსებობს ცნობები, რომ საქართველოში ცალკეულ მოხელეთა და სახელოსათვის (მაგალითად, პოლიციისათვის, მოსამართლეთათვის, მოურავებისათვის) ცალკე დებულებები და წესები იყო შემუშავებული, მაგრამ მრავალ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია.

<sup>5</sup> ვახტანგის დასტურლამალი შედგენილია მაშინ, როდესაც ვახტანგი გიორგი XI ირანში გაწვევის გამო ქართლის მმართველი იყო, 1704—1711 წწ. (დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქტორობით, გვ. IV; აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ტფილისი 1928, გვ. 73).

უმთავრესად ქართლს ჰგულისხმობდა<sup>1</sup>. მეორეც, ეს დასტურლამალი ფაქტიურად საგაღმდებლოდ არ ითვლებოდა, ყოველ შემთხვევაში ხშირად არ სრულდებოდა.

ასე ითქმის ვახტანგის კანონთა კრებულის (კოდექსის) შესახებაც, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში დასტურლამალის შევსებასა და განვითარებას წარმოადგენს: ვახტანგის კანონებიც ფაქტიურად ყოველთვის არ სრულდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ვახტანგის კოდექსი, მიუხედავად თავის მაღალირსებისა და (იმ დროისათვის) ჰუმანურ პრინციპებისა, ზოგჯერ წინააღმდეგობის შემცველი იყო: იმის გარდა, რომ ის ქართულ იურიდიკულ ნორმებთან ერთად სხვა ქვეყნების ასეთივე ნორმებსაც შეიცავდა<sup>2</sup> და ეს ნორმები ერთიმეორეს ხშირად არ უდგებოდნენ, თვით ცალკე აღიღებულ ქართულ კანონებში და სხვა ქვეყნების კანონებშიც ცალკეულ დებულებებს შორის წინააღმდეგობა არაიშვიათი იყო. ეს გარემოება, თავისთავად იგულისხმება, ვახტანგის კანონების ზუსტად დაცვის შემთხვევაში, ფართო შესაძლებლობას სტოვებდა ამ კანონების თავისებურად გაგებისათვის და აგრეთვე თვითნებობისა თუ ბოროტმოქმედებისათვისაც მოხელეთა მხრივ, მით უფრო, რომ საქმის გარჩევა და სასამართლო პროცესი საქართველოში ამ დროს ხშირად ზეპირად წარმოებდა<sup>3</sup>.

ასეთი იყო ზოგადად ის მართვა-გამგეობის წესი და ადმინისტრაციული აპარატი, რომლის საშუალებით წარმომართებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება XVIII საუკუნის დასასრულისათვის. ასეთივე მდგომარეობა იყო, მცირე და უმნიშვნელო მეტ-ნაკლებობით, საქართველოს შემადგენლობაში ჩვენ მიერ ნაგულისხმევ სხვა სახელმწიფოებრივ ერთეულებშიც<sup>4</sup>.

როგორც ვხედავთ, ეს აპარატი ძალიან შორს იყო იმისაგან, რომ ის თავის დროისათვისაც კი სრულქმნილ და რაციონალურად მოწყობილ სახელმწიფო მმართველობის აპარატად ჩათვლილიყო<sup>5</sup>. მისი უარყოფითი თვისებები და უფარვისობა, რათქმაუნდა, იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ის საბოლოო ანგარიშში მემამულეთა კლასის (თავად-აზნაურობის) ინტერესთა უზრუნველყოფისა და მწარმოებელთა კლასის (გლეხობის) მაქსიმალურად გაყვლეფის აპა-

<sup>1</sup> ნ. დიდიანის („დიდ ნიკო“-დ წოდებულის) მიერ, ვახტანგ VI „დასტურლამალის“ მიბაძვით, შედგენილი „დასტურლამაც“ მხოლოდ სამეგრელოს სამთავროს ჰგულისხმობდა.

<sup>2</sup> ვახტანგის კოდექსი შეიცავდა: 1. თვით ვახტანგის კანონებს, 2. გიორგი მეფის კანონებს, 3. ბექა და ალბულას კანონებს, 4. კათალიკოსთა კანონებს, 5. მოსეს კანონებს, 6. ბერძნულ კანონებს და 7. სომხურ კანონებს.

<sup>3</sup> ვახტანგის კანონების მიხედვით მსაჯული თუ მოსამართლე (მდივანი, მდივანბეგი) ვალდებული იყო საქმის გარჩევა და სასამართლო პროცესი წერილობით ეწარმოებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საქმე დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, Тифлис 1887 г., стр. 4).

<sup>4</sup> ამ საერთო წესებიდან უფრო შორს იდგა აფხაზეთი, სადაც უფრო მომეტებული მართვა-გამგეობაში თურქული წესი იყო გაბატონებული.

<sup>5</sup> ფეოდალურ საქართველოს წარსულში (თუნდაც, XI—XIV სს.) უმეველად მმართველობის უფრო რაციონალური და სრულქმნილი სისტემა ჰქონდა.

2. ენიმკის მთაბე, ტ. VIII.

3731.



რატი იყო,—ეს თავისთავად ასე იგულისხმება და სხვანაირად საქმის ვითარების წარმოდგენა ისტორიულ პერსპექტივის დამახინჯება იქნებოდა<sup>1</sup>, არამედ ერთის მხრივ იმაში, რომ ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფო მმართველობის დარგები ყოველთვის ზუსტად ერთიმეორისაგან გამიჯნული და განცალკევებული არ იყო, პირიქით, უმეტეს შემთხვევაში ეს დარგები ერთიმეორეში არეული და ერთი მხელის თუ თანამდებობის პირის ხელში იყო მოქცეული<sup>2</sup>, ხოლო მეორე მხრივ კი იმაში, რომ მიეღი ეს სახელმწიფოებრივი მმართველობა უმაღლეს ხელისუფლებაში ინტეგრირებული და ცენტრალიზებული არ იყო: საქართველოში ცენტრალისტურ პრინციპზე მოწყობილი სახელმწიფო აპარატი ამ დროს, შეიძლება ითქვას, ფაქტიურად არ არსებობდა, არამცთუ სრულიად საქართველოს მასშტაბით, არამედ იმ ცალკეულ ერთეულების ფარგლებშიც, რომლებიც ნომინალურად საქართველოს შემადგენლობაში (პოლიტიკური გაგებით) იგულისხმებოდნენ.

ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ საქართველო XVIII საუკუნეში, შედარებით, მაგ., XII—XIII ს-თან, ფეოდალურ განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა და რომ ფეოდალიზმი ამ დროს გადაგარებისა და გადაშენების გზაზე იდგა, ხრწნისა და დაშლის პროცესს განიცდიდა. ხოლო ასეთ პირობებში, ისტორიულად ცნობილია, სახელმწიფოში მაგარი და მტკიცე ცენტრალისტური ხელისუფლება ვერ შეიქმნებოდა, რადგან ამ დროს ცენტრალიზებული ძალების ხვედრითი წონა ერთობ ღიდა<sup>3</sup>.

ამის მიზეზების გამოჩვენება ახლა ჩვენთვის საჭირო არ არის. ჩვენთვის საკმარისია მხოლოდ ამ ფაქტის დადასტურება. ხოლო ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში XVIII ს-ნის დასასრულისათვის არსებული სახელმწიფოებრივ მმართველობის სისტემა შედარებით მარტივი, ხოლო ამ სისტემაზე მოწყობილი სახელმწიფო აპარატიც ერთობ სუსტი იყო.

მაგრამ მეორე მხრივ საქართველოში არსებულ მმართველობის სისტემას თავისი დადებითი მხარეებიც ჰქონდა. თუნდაც ის გარემოება, რომ ეს სისტემა მარტივი იყო, ერთნაირად მის დადებით მხარეზე მიუთითებს იმ მხრივ, რომ სწორედ ამ სიმარტივის გამო სახელმწიფო აპარატი მოსახლეობისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი იყო: მოქალაქეს უფლება ჰქონდა, და ეს ხშირად ასეც ხდებოდა, მიემართა უშუალოდ ქვეყნის უზენაეს ხელისუფლებისათვის, თვით მეფისათვის, და იქ სიმართალი ეძია. ეს ხელისუფლებაც თავის მხრივ

<sup>1</sup> კლასობრივი საზოგადოება თავისთავად ჰგულისხმობს ამ საზოგადოების ერთი ნაწილის გაბატონებას მეორე ნაწილზე და ასეთ საზოგადოებაში არსებული სახელმწიფო მმართველობის აპარატი მოსახლეობის გაბატონებულ ნაწილის ინტერესებს ემსახურება.

<sup>2</sup> ასე იყო, განსაკუთრებით, ადგილებზე, სადაც რომელიმე თანამდებობის პირი (ან უბრალო მემამულეც), როგორც გამბობდით, თვით იყო მსაჯულიც, აღმასრულებელიც და საერთოდ თავისი სამფლობელოს ბატონ-პატრონი; მაგრამ ასეთივე მდგომარეობა იყო არსებითად ცენტრშიც.

<sup>3</sup> ცნობილი ამბავია, რომ სახელმწიფოსათვის, უარყოფითი გარეშე ფაქტორების მოქმედებისა და საშიშ გარემოცვის პირობებში, ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, თავდაცვის საქმეში, უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ შემთხვევაში დასახელებულ ფაქტის აღნიშვნა ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს მმართველობის სისტემისათვის დამახასიათებელი გარემოებაა.

შოვალე იყო მიზოგენლისათვის მოესმინა და მისთვის სამართალი მიეცა<sup>1</sup>. თვით ის გარემოებაც, რომ სამართალი უმთავრესად ადათზე იყო დამყარებული, მაშინდელ პირობებში ერთგვარ დადებით მომენტს ჰგულისხმობდა იმ მხრივ, რომ ამ ადათით დადგენილი წესები მტკიცედ ტარდებოდა და თვითნებობას, მაშასადამე, გასავალი ნაკლებად ჰქონდა: იურისპრუდენციისა და სამართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ წერილობით კანონებს უფრო ხშირად კანონმდებელნი არღვევენ ხოლმე, ვიდრე ისინი, ვისთვისაც ეს კანონებია დაწერილი, ხოლო ადათზე და ჩვეულებაზე დამყარებულ კანონების დარღვევა უფრო ძნელი და იშვიათია<sup>2</sup>. საქმის გარჩევაც სიტყვიერად და, მაშასადამე, სწრაფად, ყოველგვარ გაჭიანურების გარეშე, იმ პირობებში, საზიანოს არაფერს შეიცავდა: დაბალი წოდება, რომელიც შეიძლებოდა დაუსამართლებულიყო, წერილობითი კანონების დარღვევით, წერა-კითხვისა და მდივანმწიგნობრობის მკოდნე შინც არ იყო და ამიტომ მას სჭირდებოდა სწორედ სიტყვიერი და სწრაფი სამართალი. ყოველ შემთხვევაში, ამ გარემოების დადებითი მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ ბიუროკრატიულ-კანცელარული წესი სასამართლოსა და საქმის წარმოებაში სავესებით გამოირიცხული იყო.

დასასრულ, რაც რუსულ მმართველობასთან იმ დროის ქართული მმართველობის შედარების თვალსაზრისით მთავარია, საქართველოში მთელი სახელმწიფო აპარატი ნაციონალური იყო და სახელმწიფო დაწესებულებები საქმის გარჩევას ქართულ ენაზე აწარმოებდნენ, რასაც მოსახლეობისათვის, თავისთავად ცხადია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოში მმართველობის მხრივ რუსების შემოსვლამდე.

გადავიდეთ ახლა ჩვენს საკითხზე და განვიხილოთ თანდათანობით, თუ როგორ შეიცვალა არსებული მდგომარეობა და როგორ დამყარდა ახალი წესი მმართველობისა XIX ს. დასაწყისიდან, საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და რუსული ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით.

2

უპირველესად ყოვლისა, რომ უფრო გასაგები იყოს ჩვენთვის მეფის რუსეთის მიერ საქართველოში შემოღებულ მმართველობის შინა-ბუნება, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ის მთავარი მიზანი, რომელსაც ეს ხელისუფლება აქ ისახავდა.

საკოველთაოდ ცნობილი და განმტკიცებული აზრია, რომ მეფის რუსეთი საქართველოს, მისი დაპყრობის შემდეგ, უქურება და, როგორც თავის კოლონიას და

<sup>1</sup> სულ სხვა საკითხია, რატომუნდა, თუ როგორი იქნებოდა ეს სამართალი: მისთვის სასარგებლო, თუ პირიქით.

<sup>2</sup> ლაპარაკია, რატომუნდა, ისეთ მდგომარეობაზე, როდესაც საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრება თავისთავად მარტივია.



კოლონიალურ ექსპლოატაციის ობიექტს<sup>1</sup>. ეს მართალია: რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოს ხარჯზე თავისი ხაზინა გაემდიდრებინა, საქართველოს სახით რუსულ კაპიტალისათვის ახალი ბაზარი მოეპოვებინა და საქართველოს ბუნებრივი რესურსებით თუ ნედლეულით რუსული წარმოება უზრუნველყო<sup>2</sup>. ეს რუსული ხელისუფლების ერთერთი მთავარი მიზანი იყო და ეს მიზანი წარმართავდა კიდევაც, ერთის მხრივ, მის პოლიტიკას საქართველოში მმართველობის სისტემის შემოღების დროს: სავაჭრო და კომერციულ დაწესებულებების მოწყობა, რუს ვაჭართათვის მფარველობის გაწევა და ხელისშეწყობა საქართველოში, უცხოეთის იმპორტის შეზღუდვისა და შემცირების მიზნით მფარველობითი საბაჟო ტარიფის შემოღება, მოსახლეობაზე გადასახადის დაწესება და სხვა ეკონომიური ღონისძიებანი, რომელთაც რუსული მთავრობა ფართოდ ატარებდა აქ დღიდან მოსვლისა, განკუთვნილი იყვნენ სწორედ ამ მიზნისათვის<sup>3</sup>.

მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობა ამით არ კმაყოფილდებოდა. მეფის რუსეთის აგრესიული მიზნები საქართველოს მიმართ უფრო შორს მიდიოდა. რუსეთს, სახელდობრ, უნდოდა საქართველო საერთოდ მოესპო არა მარტო როგორც სახელმწიფო ორგანიზაცია, არამედ როგორც ერი, როგორც ეთნოგრაფიული და კულტურული ერთეული. მოესპო მისი ენა, კულტურა, ზნეჩვეულება, საუკუნოვანი ტრადიციები და ადამ-წესები, ე. ი. ყველაფერი ის, რითაც საქართველოს წარსულში თავისი სახელი და არსებობა შეუნარჩუნებია და რითაც მას მომავალში, ხელსაყრელ პირობებში, შეეძლო დაკარგული თავისუფლება აღედგინა და დაებრუნებინა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მეფის რუსეთის მთავრობას უნდოდა საქართველო გაერუსებინა და მცირეერიცხოვანი ქართველი ერი მრავალმილიონიან რუსულ ერში გაეთქვიფა, მისი სრული ასიმილაცია მოეხდინა. ამ მიზნით იყო, წინააღმდეგ 1783 წლის ტრაქტატისა, საქართველოს სამეფო ტახტი გაუქმებული და რუსული მმართველობა დამყარებული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოსპობილი და საქართველოს სკოლებიდან თუ დაწესებულებებიდან ქართული ენა გაძევებული, ხოლო მის ნაცვლად რუსული ენა შემოღებული; ამ მიზნითვე აწარმოებდა რუსეთის მთავრობა საქართველოში კოლონიზაციას და რუსულ ელემენტების გამრავლებას

<sup>1</sup> 1827 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრი გრაფი კანკინი იმპერატორ ნიკოლოზ I-ს მოახსენებდა: „ამიერ-კავკასიის პროვინციები სრულიად საფუძვლიანად შეიძლება ჩვენ კოლონიად ჩაითვალოს“-ო (Обозрение российских владений на Кавказом, СПб. 1836 г., I, стр. 37).

<sup>2</sup> რუსეთის ეკონომიური და კოლონიური მიზნების შესახებ საქართველოში იხ., მაგალითად, П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, СПб. 1869, II, стр. 463—664; М. Полиевктон, Экономические и политические разведки московского государства в XVII ст. 1932 г.; Н. Дубровин, История войны, I, кн. 2; III. Чхетия, История горной промышленности в документах, Тбилиси 1936 г. და სხვა.

<sup>3</sup> რათქმუნდა, რუსეთს საქართველოში სამხედრო და იმპერიალისტური მიზნებიც ჰქონდა: რუსეთის ვარაუდით საქართველო უნდა გამხდარიყო, აღმოსავლეთის დაპყრობის დროს, რუსეთის ჯარებისა და შეიარაღებულ ძალების პლაცდარმი. მაგრამ ეს სხვა საკითხია და ამ საკითხს უშუალო კავშირი არააქვს მმართველობის სისტემასთან იმ ვიწრო გზებით, როგორც ეს აქამად ჩვენ გვაქვს აღვხუთი.

სოფლად თუ ქალაქად, მათთვის პრივილეგიური და ხელსაყრელი პირობების შექმნით, სამოხელეო შტატის რუსულ ელემენტებისაგან დაკომპლექტებას<sup>1</sup> და სხვა.

სულ სხვა საკითხია, რატომუნდა, შესძლო თუ არა მეფის რუსეთმა თავისი მიზნების ამ მხრივ განაღდება. ჩვენ ვიცი, რომ რუსეთმა ეს სავესტით ვერ შესძლო—საქართველოს გარუსება არ მოხდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართული კულტურა და ქართული ეროვნული პოტენცია უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მეფის რუსეთის ჩეკმის ქუსლი. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ რუსის ხალხი თავის მთავრობას გვერდში არ ედგა და საქართველოს განადგურების საქმეში მას ზურგს არ უმაგრებდა. პირიქით, რუსის ხალხი და მისი მოწინავე ელემენტები, როგორც ვიცი, მეფის მთავრობის ვერაგობით აღშფოთებულნი, საქართველოს თანაუგრძობდნენ და მასთან ერთად ამ მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდნენ<sup>2</sup>.

მაგრამ, რაც ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, მეფის რუსეთი დღიდან საქართველოში შემოსვლისა, მიუხედავად იმისა, ახერხებდა თუ არა ის თავის ზრახვების განაღდებას, მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული მიზნით ხელმძღვანელობდა, თავის ღონისძიებებს ამ მიზანს უქვემდებარებდა და თანდათანობით (ხან კიდევ ერთი ხელის მოქნევით), სისტემატურად და განუხრელად ისეთ ხაზს ატარებდა მმართველობაში, რომელიც მას ამ მიზანს უახლოვებდა<sup>3</sup>.

მართალია, რუსეთის მთავრობას ამ დროს ხშირად უხდებოდა დათმობებზე წასვლა, კომპრომისების გაკეთება და ნაბიჯის მრავალ ყოყმანის შემდეგ გადაღმა, უკან დახევაც; მაგრამ ეს არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ინტერესებისადმი პატივისცემითა და მთავრობის მიერ ერთხელ დასახული მიზნების უარყოფით გამოწვეული. ეს იყო გამოწვეული, ერთის მხრივ, იმ გარემოებით, რომ თვით მეფის თვითმპყრობელობას, მის შედარებით დაბალ კულტურულ დონესთან დაკავშირებით, საკმაოდ უხვიოდა და უვარგისი აპარატი მოეპოებოდა თვით რუსეთში იმისათვის, რომ აქ, საქართველოში, მოქნილი, ელასტიური და სრულქმნილი მმართველობის სისტემა შემოეღო თავის მიზნების განსახორციელებლად, რასაც ადგილობრივად რუს მოხელეთა უეცობაც ემატებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ დაბრკოლებათა და წინააღ-

<sup>1</sup> საქართველოს ანექსიის პირველ დღიდანვე აქ დაარსებულ დაწესებულებათა შტატის შესასებად რუსეთიდან გამოწერილი იყვნენ რუსი მოხელეები. ამ მოხელეების გამოწერა გრძელდებოდა შემდეგშიც; ვიდრე მეფის თვითმპყრობელობა არ დაეცა. რუს მოხელეებისათვის საქართველოში მთავრობის კანონით შექმნილი იყო განსაკუთრებული შეღავათები იმისათვის, რომ აქ მოეზიდათ რაც შეიძლება მეტი რუსული ელემენტი (KK, 1868, 112).

<sup>2</sup> ქართველი რევოლუციონერები და რუსი რევოლუციონერები თუ მოწინავე ელემენტები, როგორც ცნობილია, იმ თავითვე ერთად იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

<sup>3</sup> ახასიათებდა რა რუსულ მმართველობის სისტემას, კ. მარქსი წერდა: „...Но развее русская правительственная система повсюду, где она связана с феодальными учреждениями, не тоже самое, что военная оккупация, в которой гражданская власть и юридическая иерархия организованы на военных началах и которую народ должен оплачивать?“ (Маркс и Энгельс, соч. IX, стр. 397).

დეგობებით, რომელსაც საქართველო უჭმნიდა რუსულ ხელისუფლებას დასახლებულ ლონისძიებების გატარების დროს.

ეს წინააღმდეგობა, როგორც ცნობილია, ხშირად შეიარაღებულ გამოსვლამდე და მასობრივ აჯანყებამდე მიდიოდა. საქართველოში კარგად ცნობილი გლეხური აჯანყებების (1803—4 წ. მთაში, 1809 წ.—ქსნის ხეობაში, 1811—12 წ.—კახეთში, 1819—20 წ.—იმერეთში, 1841 წ.—გურიაში, 1858 წ.—სამეგრელოში და სხვა) მიზეზი მდგომარეობდა არა მარტო სოციალურ უსამართლობაში, რომელსაც განიცდიდა საქართველოს გლეხობა გაბატონებულ წოდებისაგან—თავადაზნაურობისაგან, არამედ იმ საყოველთაო უკმაყოფილებაშიც, რომელიც გამოწვეული იყო რუსული მმართველობის სისტემით და რუს მოხელეთა ბოროტმოქმედებითა თუ უზნეობით: გლეხური მოძრაობის გასაოცარი მასობრივი და სისტემატური ხასიათი საქართველოში სწორედ რუსულ მმართველობის პერიოდში სხვანაირად გაუგებარია<sup>1</sup>: გლეხთა ეს აჯანყებები იმავე დროს ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობის იერსაც ატარებდნენ.

ხოლო ყველა აღნიშნულ მიზეზის გამო<sup>2</sup> რუსეთის მთავრობა იძულებული იყო მთელ იმ ხნის განმავლობაში (1801—1840), რომელსაც ჩვენ ახლა ვიხილავთ (და შემდეგშიც), მმართველობის წესი ხშირად გამოეცვალა: ერთხელ შემოღებული და დაკანონებული სამართალი ზოგჯერ ცხოვრებაში გატარებამდე უარეყო და მის ნაცვლად სხვა სამართალი შემოიღო; ერთხელ დაარსებული დაწესებულება დაარსების უმალ ან ცოტა ხნის შემდეგ გაუქმებინა და მის ნაცვლად აგრეთვე ახალი ინსტიტუტი დაეარსებინა; დადგენილი თანამდებობა ან მოხელე სხვა თანამდებობითა და სხვა პირით შეეცვალა და ა. შ.

კიდევ უფრო ხშირ ცვალებადობას განიცდიდა ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწილება: ზოგჯერ კავკასია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა და კავკასიის ოლქად (Кавказская область) იწოდებოდა, ზოგჯერ კი ის ორ ან რამდენიმე გუბერნიად გაიყოფოდა; საქართველოც ერთხანს საქართველოს გუბერნიად იწოდებოდა და მასში ქართლ-კახეთის გარდა განჯის (ელისავეტპოლის) გუბერნიაც შედიოდა; მეორე შემთხვევაში კი საქართველო საქართველო-იმერეთის გუბერნიად იყო მონათლული და მასში აღმოსავლეთ-საქართველოსა და იმერეთის გარდა გურიაც, ხოლო ნომინალურად სამეგრელოც შედიოდა და ა. შ.<sup>3</sup>

ეს ცვალებადობა და მერყეობა იმდენად ხშირი იყო, რომ ამას ყურადღებას აქცევდნენ<sup>4</sup> თვით ზოგიერთი მაშინდელი რუსი მოხელეებიც. ასე, მაგა-

<sup>1</sup> ჩვენ ვიცით, რომ გლეხთა აჯანყებები საქართველოში წინათაც<sup>5</sup> ხდებოდა, მაგრამ ასეთი ხშირი და მასობრივი ხასიათი მათ არასოდეს არ ჰქონიათ.

<sup>2</sup> ზოგჯერ მმართველობის წესების გამოცვლა ამ მიზეზის გარეშეც ხდებოდა იმისდამიხედვით, თუ როგორ მოესურვებოდა ამა თუ იმ დიდ რუს მოხელეს: ხშირად მთავარმმართველები და მეფის ნაცვლები („ნამესტნიკები“) მმართველობას საქართველოში თავის პირად გემოზე აწყობდნენ.

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

<sup>4</sup> რუსი მოხელეები ამას ყურადღებას აქცევდნენ ჩვეულებრივად მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ მმართველობიდან ჩამოშორებული იყვნენ და მათი შემცველების განქიქება იყო ხოლმე საჭირო მეფის წინ პირადი მოსაზრებებით.

ლითად, ერთი იმდროინდელი რუსი მოხელე, ახასიათებდა რა რუსულ მმართველობას XIX ს. პირველ ნახევარში, წერდა: წლები გადიოდა მერყეობაში. ცდებში, მოსაზრებებსა და განზრახვებში, ხოლო როდესაც ზომები ამოიწურებოდა და ყველაფერი თითქოს გადაწყვეტილად და დამთავრებულად ითვლებოდა, საქმე ისევ ძველს მდგომარეობას უბრუნდებოდა, ე. ი. იმ რწმენას, რომ აუცილებელია უარყოფილ და უკუგდებულ იქნას ყველაფერი უკვე გაკეთებული და დაიწყოს ხელახლა—სხვა მოსაზრებათა წამოყენება, რომელნიც თავის მხრივ იმავე შედეგით თავდებოდნენ; კანონი, რომელსაც ვერ მოესწრო არამცთუ განმტკიცება ხალხის შიგნით, არამედ ვერ მოესწრო საერთოდ ცნობილი გამხდარიყო, ადვილს უთმობდა ახალ კანონს, რომელსაც იგივე ბედი მოელოდა; მმართველები იცვლებოდნენ ერთიმეორეზე მიყოლებით; ნიავებოდა უამრავი თანხა მრავალ კომიტეტისა, კომისიისა, ექსპედიციისა, მოხელისა და სხვათა შესანახად; რიგდებოდა, დასასრულ, უხვი ჯილდო, და ყველაფერი ეს, ცოტად თუ ბევრად, მხოლოდ პირად სარგებლობად იქცეოდა... ამ მერყეობათა, ან ასე ვთქვათ, ნიადაგის მოსინჯვათა ისტორია, იმ პირთა ისტორიასთან ერთად, რომელნიც მასში მონაწილეობას იღებდნენ და რომელნიც მისი მსხვერპლი ხდებოდნენ, შეიცავს მრავალ საყურადღებო წვრილმანს, რომელთაგან თავისი ხასიათის გამო არა ყველა შეიძლებოდა შენახულიყო ოფიციალურ საბუთებში<sup>1</sup>.

რატქმაუნდა, მოტანილ აზრის ავტორს, როგორც მეფის მოხელეს, სხვა დარღები ჰქონდა და რუსულ მმართველობის ნაკლი მას სხვა მხრივ აინტერესებდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, საქმის ვითარების ფაქტიურ მხარეს ის სწორად გადმოგვცემს. მართლაც, გასაოცარია ის მერყეობა და მუდმივი ცვალებადობა, რომელსაც მთელ ამ ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საქართველოში; გასაოცარია იმ ექსპერიმენტების დაუსრულებლობა, რომელთაც მთავრობა ახდენდა მმართველობის დარგში; მაგრამ როდესაც ადამიანი ეცნობა რუსულ მმართველობის სისტემას და მის განვითარების ისტორიას საქართველოში, მასში გოცებას იწვევს არა მარტო ის ვარემოება, რომ ყველაფერი ეს მერყეობისა, უვიციობისა და უთავბოლოობის ბეჭედს ატარებდა, არამედ ისიც, თუ როგორ გაუძლო ქვეყანამ ამდენ დაუსრულებელ ცდებსა და ექსპერიმენტებს, ამდენ ჯიჯგანსა და წვალებას. ხომ ყველა ამ მერყეობისა და უვიციობის შედეგი ქართველ ხალხს უშუალოდ თავის ზურგზე უნდა გამოეცადა<sup>2</sup>.

ამასთანავე, როდესაც ჩვენ ცვლილებებზე ვლაპარაკობთ მმართველობაში, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ ეს ცვლილებები არასოდეს პრინციპულ ხასიათს არ ატარებდნენ და რომ ეს ცვლილებები არასოდეს მმართველობის საფუძველს არ შეეხებოდნენ<sup>3</sup>. ზევით ჩვენ უკვე ვამბობდით იმ მი-

<sup>1</sup> Русская старина, 1900, т. 101; ციტატა მოგვყავს ს. ესაძის წიგნის მიხედვით—Историческая записка об управлении Кавказом, Тифлис 1907, стр. 82—83.

<sup>2</sup> საბოლოო ანგარიში კანონი ქალაქზე რჩებოდა და მოსახლეობის ბედი რუსი მოხელის კაპრიზობასა და ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული უმეტეს შემთხვევაში.

<sup>3</sup> ბოლოს და ბოლოს ყოველგვარი ცვლილებები მმართველობაში მით იყო გამოწვეული, რომ მთავრობის მიერ დასახულ კოლონიალურ და დიდმპყრობელურ მიზნის მიღწევისთვის უკეთესი საშუალება ყოფილიყო გამოიხატული.

ზეზების შესახებ, რომლებიც აიძულებდნენ მეფის მთავრობას დათმობესა და კომპრომისებზე წასულიყო, ზოგჯერ ადგილობრივ პირობებისათვისაც ანგარიში გაეწია, მმართველობაში ცვლილებები შეეტანა და სხვა. ამ მიზეზებიდან კი ცხადი უნდა იყოს ისიც, თუ რა ხასიათის შეიძლება ყოფილიყო ეს ცვლილებები: რაკი, როგორც ვთქვით, მთავრობის დათმობები არასოდეს საქართველოს ინტერესებისადმი პაცივისცემითა და მთავრობის მიერ ერთხელ დასახულ მიზნის უარყოფით არ იყვნენ გამოწვეული, ცხადია, ყოველგვარი ცვლილებები, რომელთაც მთავრობა იძულებით ახდენდა მმართველობის დარღვევის, თავისი შინაარსით, მიზანდასახულობით და არსებითი მხარეებით პრინციპული ხასიათისა ვერ იქნებოდნენ; ყველა ამ ცვლილების დროს მმართველობის საფუძვლები და მათი დანიშნულება უცვლელი რჩებოდნენ იმიტომ, რომ ამ საფუძვლების დასაყრდენი ფეოდალურ-ბატონყმური წესწყობილება იყო, ხოლო მათი დამცველი რუსეთის თვითმპყრობელობა: რუსეთი ცდილობდა მმართველობის ძველი წესების ნაცვლად ახალი შემოეღო ისე, რომ ფეოდალური წესწყობილება უზრუნველი ყოფილიყო და ქვეყნის გარუსებისათვის დასახული მიზნებიც მიღწეული<sup>1</sup>.

ამავე დროს მთავრობა ცდილობდა ყველაფერი ეს ისეთ ფორმებში ჩამოეყალიბებინა და თავისი მოქმედებაც ისეთ სამოსელში გაეხვია, რომ მოსახლეობაში საწინააღმდეგო შთაბეჭდილება შეექმნა, სახელდობრ, ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთავრობა ყველაფერს ამას თითქოს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ აკეთებდა<sup>2</sup>. თვით საქართველოს სამეფოს გაუქმება, საიდანაც იწყება ჩვენში რუსული მმართველობის ისტორია, რუსეთის მთავრობის მიერ ვერაგული თვალთმაქცობით ისე იყო ახსნილი, რომ თითქოს ეს საქართველოს სასარგებლოდ და რუსეთის მიერ კაცთმოყვარული მოვალეობის შესრულების მიზნით ყოფილიყოს ჩადენილი<sup>3</sup>.

ასე რომ, ქვემოთ, როდესაც ჩვენ რუსულ მმართველობის სისტემასა და მის ისტორიას შევხებით, მხედველობაში უნდა გვქონდეს: 1. ერთი ის, რომ რუსეთი საქართველოში მარტო ეკონომიური მიზნებით არ კმაყოფილდებოდა, ე. ი. რომ მას ქვეყნის მარტო ეკონომიური ექსპლოატაცია და ამ ქვეყნის თავის კოლონიად გადაქცევა არ აკმაყოფილებდა, არამედ მას უნდოდა საქარ-

<sup>1</sup> რამდენად უფრო გამოცდილი და მოქნილი ადმინისტრატორი იყო ესა თუ ის რუსი მთხელე, რომელსაც ამ ხალხს გატარება ჰქონდა დავალებული, იმდენად ის უკეთ ახერხებდა მეფის თვითმპყრობელობის ნამდვილ (აგრესიულ) განზრახვების დაფარვას და მოსახლეობაში საწინააღმდეგო შთაბეჭდილების შექმნას (ასეთი იყო, მაგალითად, ვორონცოვი).

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობა ასეთ შთაბეჭდილების შექმნაზედაც ჰყოჩაობდა მხოლოდ პირველ ხანებში, როდესაც მას საქართველოში ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაო მტკიცედ ფეხი მოკიდებული. ხოლო შემდგომში, როდესაც რუსეთი აქ მოშინაურდა, მთავრობა თავის მიზნებს ანხორციელებდა სავსებით ნიღაბჩამოხდილად და აშკარად.

<sup>3</sup> რათქაუნდა, რუსეთის მთავრობის საქციელი ისეთი გამჭვირვალე იყო და მისი თვალთმაქცობა ისე აშკარა, რომ ვინმეს მოტყუებას ის ნაკლებად ახერხებდა, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესოა მხოლოდ თვით ფაქტის დადასტურება, სახელდობრ, იმის დადასტურება, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მთავრობას და რა საშუალებით ცდილობდა ის ამ მიზნის მიღწევას.

თველო გაერუსებინა და რუსეთის სხვა გუბერნიებთან მისი სრული უნიფიცირება მოეხდინა; 2. მეორე ის, რომ ყველა ლონისძიება, რომელსაც მეფის რუსეთი აქ ატარებდა, დაქვემდებარებული იყო უმთავრესად დასახელებულ მიზნისათვის და ამ მიზნიდან გამომდინარეობდა; 3. მესამე ის, რომ რუსეთის მთავრობა ადგილობრივი პირობების გამო<sup>1</sup> ხშირად იძულებული იყო დათმობაზე და კომპრომისებზე წასულიყო, უკანაც დაეხია და ამის გამო მმართველობაში ხშირი ცვლილებები მოეხდინა, მაგრამ არც ერთი ეს ცვლილება საქართველოს ინტერესებისადმი პატივისცემით არ იყო ნაკარნახევი და, 4. დასასრულ, მეოთხეც ის, რომ ყველა რეფორმა და ცვლილება, რომელსაც მთავრობა იძულებით ახდენდა საქართველოში მთელ ამ ხნის განმავლობაში, მმართველობის პოინტიპსა და საფუძვლებს არსებითად არ შეეხებოდა—მთავრობა მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ თავის ერთხელ დასახულ მიზნის მისაღწევად, რაც შეიძლება, უფრო მოქნილი და ელასტიკური აპარატი შეექმნა.

3

რუსული მმართველობის ისტორია XIX საუკუნეში (1801—1900) შეიძლება გაიყოს ოთხ მთავარ პერიოდად: 1. რუსულ მმართველობის შემოღებიდან 1840-იან წლებამდე, 2. 1840-იან წლებიდან 1865 წლებამდე, 3. 1865-იან წლებიდან 1880-იან წლებამდე და 4. 1880-იან წლებიდან XIX ს. დასასრულამდე. ჩვენ აქ ამჟამად მხოლოდ პირველ პერიოდს შევხებით.

ეს პირველი პერიოდი მმართველობის სისტემის თვალსაზრისით ხასიათდება იმით, რომ ამ პერიოდში მთელი მართვა-გამგეობის საქმე უმთავრესად სამხედრო უწყებისა და შეიარაღებულ რუსის ჯარის ხელშია<sup>2</sup>. მმართველობას არსებითად სამხედრო ხასიათი აქვს და მმართველობის თითქმის მთელი აპარატი გასამხედროებულია. ამ პერიოდშივე ხდება ადგილობრივი ელემენტების (პრივილეგიურ წოდებიდან) ჩაბმა მმართველობაში იმ მიზნით, რომ რუსული მმართველობისათვის დასაყრდენი შეიქმნას ადგილობრივად, მაგრამ ამ ელემენტებს მართვა-გამგეობაში ერთობ მცირე მნიშვნელობა აქვთ და ისინი მმართველობის სისტემაზე, შეიძლება ითქვას, არსებით გავლენას ვერ ახდენენ<sup>3</sup>. ამიტომ ამ პერიოდს შეიძლება რუსული სამხედრო დიქტატურის პერიოდი ეწოდოს.

<sup>1</sup> ზეთით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ (არა იშვიათად) ეს ცვლილებები მოხელეთა პირადი სურვილითა და კაპრიზობითაც იყო ხოლმე გამოწვეული.

<sup>2</sup> პირველი პერიოდი თავის მხრივ შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად: 1. 1801 წლიდან 1825-იან წლებამდე, როდესაც საქართველო არსებითად სამხედრო ბანაკს წარმოადგენს და მმართველობა უშუალოდ თითქმის მთლიანად ჯარის ხელშია და 2. 1825-იან წლებიდან 1840-იან წლებამდე, როდესაც ჯარისა და სამხედრო უწყების გვერდით მთავრობა ცდილობს სამოქალაქო აპარატი შექმნას და მმართველობაში უფრო სხვანაირი წესი შეიტანოს (მაგრამ უნაყოფოდ). ეს უკანასკნელი პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს მოსამზადებელ პერიოდად მომდევნო პერიოდისათვის, როდესაც იწყება და მთავრდება კიდევაც საქართველოში სამოქალაქო მმართველობის შემოღება პირდაპირი გაგებით.

<sup>3</sup> ამ ადგილობრივ ელემენტებს მთავრობა იყენებდა თავის მიზნისათვის: ისინი მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რაც მთავრობას სურდა.

რუსული მმართველობის ტერიტორიალური გავრცელების თვალსაზრისით პირველი პერიოდი ჰგულისხმობს ფაქტიურად მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოს ნაწილს, სახელდობრ, იმერეთსა და გურიას; ხოლო რაც შეეხება აფხაზეთს, სამეგრელოსა და სვანეთს, აქ (სამურზაყანოს გამოკლებით) ამ პერიოდში რუსული მმართველობა მხოლოდ ჯარის შეყვანითა და მეთვალყურეობა-კონტროლით განისაზღვრება. შიგნით კი ყველა ამ სამთავროებში აღებულ პერიოდის განმავლობაში ძირითადად ჯერ კიდევ ძველებური მართვა-გამგეობა და წესია დატოვებული. ამ წესების შეცვლა აქ ხდება შემდეგში, უკვე მეორე პერიოდში: სვანეთსა და სამეგრელოში—1857 წლიდან, ხოლო აფხაზეთში—1864 წლიდან.

\* \* \*

რუსეთმა პირველად, როგორც ცნობილია, შეიერთა ქართლ-კახეთის სამეფო და აქედანვე დაიწყო პირველად რუსული მმართველობის შემოღება საქართველოში, რუსული მმართველობის სისტემის დახასიათებას ჩვენც აქედან დავიწყებთ.

რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტს ხელი მოაწერა 1800 წლის 18 დეკემბერს, ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოს მეფე გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო<sup>1</sup>. ხოლო ერთი თვით ამაზე ადრე რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში ნაბრძანები ჰქონდა გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლის ნება არავისთვის მიეცა<sup>2</sup>. პავლე პირველს იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველო ერთბაშად რუსეთის ორგანულ ნაწილად და ჩვეულებრივ გუბერნიად გადაქცევა<sup>3</sup>. 1801 წლის იანვრის 20-ს ის გენერალ კნორინგს სწერდა: „მე მინდა რომ საქართველო იყოს გუბერნია და ამიტომ ახლავე დაუქმდებარეთ ის სენატს, ხოლო სასულიერო ნაწილში სინოდს“<sup>4</sup>.

იმპერატორ პავლე I სურვილის თანახმად საქართველო<sup>5</sup>, რომელიც ამიერიდან საქართველოს გუბერნიად იწოდებოდა, უნდა დანაწილებულიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: 1. ქართლის პროვინციად, რომლის მთავარი ქალაქი თბილისი უნდა ყოფილიყო და 2. კახეთის პროვინციად, რომლის მთავარ ქალაქად თელავი უნდა გამხდარიყო. საქართველოს

<sup>1</sup> გიორგი გარდაიცვალა 1800 წლის 22 დეკემბერს.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბილისი 1919 წ., გვ. 60.

<sup>3</sup> Кавказский 'календарь'-ში საქართველოს სამეფოს გაუქმება და გუბერნიად გადაქცევა ასეა აღნიშნული: „1801 г. марта 5, указом, правительствующему сенату данным, Грузия преобразована в российскую губернию“ (КК, 1868 г. 104).

<sup>4</sup> Акты, т. I, გვ. 413.

<sup>5</sup> ლაპარაკია აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ.

გუბერნიის საგუბერნიო ქალაქად და, მაშასადამე, ორივე პროვინციის მთავარ ქალაქად თბილისი იგულისხმებოდა. საქართველოს გუბერნიის მმართველად გენერალ-გუბერნატორი უნდა ყოფილიყო, ხოლო პროვინციის სათავეში გუბერნატორი უნდა დაეყენებინათ. გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციად თბილისი იქნებოდა და თბილისშივე უნდა დაარსებულყო საგუბერნიო სამმართველო, რომელსაც დაექვემდებარებოდნენ პროვინციების (ქართლისა და კახეთის) კანცელარიები, რომელთაგან ერთი აგრეთვე თბილისში უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე—თელავში.

პროვინციების კანცელარიათა შემადგენლობაში ორი დეპარტამენტი იყონაგულისხმევი: 1. სასამართლო დეპარტამენტი<sup>1</sup> და 2. კამერალური ან სახაზინო საქმეთა დეპარტამენტი<sup>2</sup>; დასასრულ, სამაზრო ქალაქებში უნდა დაარსებულყო: 1. სამაზრო სასამართლოები და 2. საერაობო პოლიციები<sup>3</sup>, რომლებიც სათანადო პროვინციის კანცელარიას დაუქვემდებარდებოდნენ<sup>4</sup>.

მაგრამ პავლე I-მა<sup>5</sup> ვერც კი მოასწრო საქართველოში მმართველობის ახალი სისტემის პროექტის დამტკიცება, რომ ის, როგორც ვიცით, კარის შეთქმულების მსხვერპლი გახდა და წუთისოდველს მოულოდნელად გამოესალმა<sup>6</sup>.

მის მიგვიერ რუსეთის სამეფო ტახტზე ასულმა, უფრო მოქნილმა და კვიანამა, ვიდრე მისი ნახევრად ჩერჩეტი მამა იყო, ალექსანდრე პირველმა, არამიზანშეწონილად და თვით რუსეთისათვისაც დასაუღლე ევროპის დიპლომატიის თვალში უხერხულად დაინახა იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება ერთბაშად, რომელთაც ითვალისწინებდა პავლე პირველის პროექტი. მას კარგად ესმოდა, რომ იმ საზეიმო და ფართო დაპირებების შემდეგ, რომელთაც რუსეთი საქართველოს საქვეყნოდ აღუთქვამდა 1783 წლის ტრაქტატში, საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის ყოველგვარი ნიშანწყალის ერთი კალმის მოსმით მოსპობა და აქ უცვლელად მართვა - გამგეობის რუსული წესების შემოღება, იმას გარდა, რომ ამ წესების შემოღება, ქართველ ხალხის ტრადიციებთან და ზნე-ჩვეულებებთან მათი სრულიად შეუფერებლობის გამო, საქართველოში დაბრკოლებებს შექმნიდა, საეცებით გამოააშკარავენდა იმ შემაძრწუნებელ უპირობოსა, ძალმომერობასა და აღქმის დარღვევას, რომელსაც რუსეთი საქართველოს მიმართ ჩაღიოდა<sup>7</sup>.

<sup>1</sup> Департамент суда и расправы.

<sup>2</sup> Департамент камеральный или казенных дел.

<sup>3</sup> Земские полиции.

<sup>4</sup> К. Компанский, Исторический обзор гражданских учреждений Кавказского и Закавказского края (КК, 1868, стр. 384).

<sup>5</sup> პავლე პირველს სიტყვა „საქართველო“-ს (Грузия) პოლიტიკურ ლექსიკონში დატოვებაც კი ზედმეტად მიაჩნდა.

<sup>6</sup> პავლე პირველი მოკლულ იქნა 1801 წლის 12 მარტს.

<sup>7</sup> სწორედ ამიტომ (და არა საქართველოს სუვერენიტეტისადმი პატივისცემით, როგორც ზოგიერთ ისტორიკოსს ჰგონია) ალექსანდრე I დიდხანს ყოყმანობდა საქართველოს შემოერთების საკითხის გადაწყვეტაში. ამ (ყოყმანის) პერიოდს ეკუთვნის გენ. ლახარევისა და ენორინგის მიერ საქართველოში „დროებითი მთავრობის“ („Временное правительство“)



ამიტომ ალექსანდრე პირველს საქიროდ და აუცილებლად მიაჩნდა ყველაფერი ეს, რამდენადაც შეიძლებოდა, ყოველ შემთხვევაში ისე მაინც გატარებულიყო და რუსული მმართველობაც საქართველოში ისე შემოედო, რომ რუსეთის მთავრობის უნაგარობასა და კეთილ სურვილებში არავის ეჭვი არ შეპარებოდა. მთავარი საქმე ამ დროს ის უნდა ყოფილიყო, რომ რუსული მმართველობის შემოღების დროს, საქართველოში მეფობის მოსპობისა და სამეფო გვირის წარმომადგენელთა საქართველოდან გაძევებისდა მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლად (რუსეთის მფარველობის ქვეშ) არსებობის გარეგნული ვითარებები მაინც დარჩენილიყო.

ამ მიზნის შესაბამისად ალექსანდრე I ტახტზე ასვლის შემდეგ პეტერბურგში დამუშავებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული დანაწილებისა და აქ მმართველობის შემოღების ახალი პროექტი. ამ პროექტის თანახმად, საქართველო „საქართველოს გუბერნიის“ ნაცვლად ისევ საქართველოდ იწოდებოდა და მისი ადმინისტრაციული მოწყობა შემდეგნაირად იყო ნაგულისხმევი:

უმაღლეს ხელისუფლებას და თანამდებობის პირს საქართველოში წარმოადგენდა მთავარსარდალი<sup>1</sup>, ანუ მთავარმმართველი, რომელსაც მთავარსარდალი („მთავარმმართველი“) საქართველოში (главнокомандующий ан главноуправляющий в Грузии) ეწოდებოდა. ის იყო საქართველოს იურიდიკული და ფაქტიური მმართველიც და ბატონ-პატრონიც<sup>2</sup>, მაგრამ მთავარსარდალთან ერთად საქართველოს სათავეში განსაკუთრებული ხელისუფალიც იყო დაყენებული. ამ ხელისუფალს „საქართველოს მმართველი“ (правитель Грузии) ეწოდებოდა<sup>3</sup>. საქართველოს მმართველი მთავარსარდალს ექვემდებარებოდა და თითქოს მის თანაშემწედ ითვლებოდა სპეციალურად საქართველოს (სამოქალაქო) საქმეებში. მთავარსარდალსვე ექვემდებარებოდა ე. წ. „საქათ-

შექმნა. ეს „მთავრობა“ ერთგვარ კოლეგიას წარმოადგენდა. მასში ლაზარევის გარდა შედიოდნენ: ხალ ბარათაშვილი, ივანე ჩოლოყაშვილი, ვენატე თუმანიშვილი, სულხან თუმანიშვილი და დარჩა ბებუთოვი. „მთავრობის“ თავმჯდომარედ და ფაქტიურ მმართველად ლაზარევი ითვლებოდა. ამ მთავრობის შექმნის შესახებ ვენ. კნორინგმა მოწოდება განოსცა 1801 წლის 2 ივლისს (Акты, I, გვ. 424).

<sup>1</sup> პირველად უმაღლეს ხელისუფალს საქართველოში (შემდეგ კი ამირ-კავკასიაშიც) მთავარსარდალი (главнокомандующий) ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ ეს ხელისუფლება ხან მთავარსარდალად და ხან მთავარმმართველად (главноуправляющий) იწოდებოდა 1844 წლამდე, როდესაც მთავარსარდალისა და მთავარმმართველის ნაცვლად შემოღებულ იქნა მეფისნაცვალის („ნამესტიის“) თანამდებობა. მთავარსარდალებად საქართველოში იყვნენ: კნორინგი (1801—1802), ციციანოვი (1802—1806), გუდოვიჩი (1806—1809), ტარმასოვი (1809—1811), პაულუჩი (1811—1812), რტიშჩევი (1812—1816), ერმოლოვი (1816—1826), პასკევიჩი (1826—1831), როზენი (1831—1837), გოლოვინი (1837—1842) და ნეიდგარდტი (1842—1844).

<sup>2</sup> მთავარსარდალი იმავე დროს საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიაზე მყოფ რუსის ჯარის უფროსადაც ითვლებოდა.

<sup>3</sup> საქართველოს მმართველის თანამდებობა არსებობდა 1801 წლიდან 1811 წლამდე. საქართველოს მმართველად იყვნენ: კვალენსკი (1801—1803), ტუჩკოვი (1803—1804), ვოლკონსკი (1804—1806), ლიტვინოვი (1806—1809) და ახვერდოვი (1809—1811).

ველოს უზენაესი მთავრობა<sup>1</sup>, რომლის თავმჯდომარედ ის ითვლებოდა და რომელიც ფაქტიურად მის სათაბირო ორგანოს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი მთავრობა იყოფოდა ოთხ ექსპედიციად: 1. აღმასრულებელ, 2. სამოქალაქო, 3. სისხლის სამართლის და 4. სახაზინო საქმეთა ექსპედიციებად<sup>2</sup>.

აღმასრულებელ ექსპედიციის ფუნქციას შეადგენდა: ადმინისტრაციული განკარგულებების გაცემა, კანონების გამოქვეყნება და ამ კანონების შესრულებისათვის თვალყურის დევნება. მას ემორჩილებოდა პოლიცია, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. აღმასრულებელ ექსპედიციის თავმჯდომარედ საქართველოს მმართველი ითვლებოდა, ხოლო წევრებად — ორი მრჩეველი (ან მდივანბეგი), რომელთაგან ერთი რუსის მოხელე უნდა ყოფილიყო, მეორე კი ქართველი თავადი<sup>3</sup>.

სამოქალაქო ექსპედიცია განაგებდა წოდებათა უფლებების საქმეს, კერძო ქონებისა და საკუთრების საქმეს, სამოქალაქო ურთიერთობის საქმეს და სხვა. მის სათავეში რუსი მოხელე იდგა, უფროსის სახელწოდებით, ხოლო წევრებად 4 მრჩეველი ითვლებოდა. ეს უკანასკნელნი ქართველ თავადებიდან უნდა ყოფილიყვნენ<sup>4</sup>.

სისხლის სამართლის ექსპედიცია სისხლის სამართლის საქმეს უძღვებოდა. მას ემორჩილებოდნენ სასამართლო დაწესებულებები სისხლის სამართლის ხაზით. სისხლის სამართლის ექსპედიციის შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორც სამოქალაქო ექსპედიციისა: მის სათავეში რუსი მოხელე (უფროსი) იდგა; ხოლო წევრებად ოთხი მრჩეველი (ქართველ თავადებიდან) ითვლებოდა<sup>5</sup>.

დასასრულ, სახაზინო საქმეთა ექსპედიცია ფინანსურ და ეკონომიურ საქმეებს განაგებდა. მის სათავეში აგრეთვე რუსი მოხელე იდგა, ხოლო წევრებად ორი მრჩეველი ქართლიდან, ორი მრჩეველი კახეთიდან და ერთიც ე. წ. საგუბერნიო ხაზინადარი (губернский казначей) ითვლებოდნენ<sup>6</sup>.

დასახელებული ოთხი ექსპედიციის უფროსები და წევრები საქართველოს უზენაეს მთავრობის „საერთო საკრებულოს“<sup>7</sup> შეადგენდნენ. საერთო საკრებულო იხილავდა, მთავარსარდლის წინადადებით, მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს, რომელთაც კოლეგიალური გარჩევა სჭირდებოდათ და მის თავმჯდომარედ მთავარსარდალი, ან მისი არყოფნის დროს, საქართველოს

<sup>1</sup> Верховное грузинское правительство.

<sup>2</sup> В. Иваненко, Гражданское управление, стр. 32; КК, 1868, стр. 384; Краткий исторический обзор образования тифлисской губернии, стр. 24 (КИООТ).

<sup>3</sup> КК, 1868, გვ. 384, КИООТ, გვ. 24.

<sup>4</sup> КК, 1868, გვ. 385; „ „ „ „, გვ. 24.

<sup>5</sup> КК, 1868, გვ. 385; „ „ „ „, გვ. 24.

<sup>6</sup> КК, 1868, გვ. 385; „ „ „ „, გვ. 24.

<sup>7</sup> Общее собрание верховного грузинского правительства.

მმართველი ითვლებოდა<sup>1</sup>. ისე კი თვითთული ექსპედიცია თავის დარგს ცალკე და დამოუკიდებლად განაგებდა: აღმასრულებელი ექსპედიცია—საგუბერნიო სამმართველოების წესების საფუძველზე, ხოლო სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სახაზინო საქმეთა ექსპედიციები კი—სათანადო პალატების (სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სახაზინო პალატების) წესების საფუძველზე<sup>2</sup>.

ადმინისტრაციული დანაწილების მხრივ საქართველო ისევ ერთ გუბერნიად—საქართველოს გუბერნიად—რჩებოდა, მაგრამ ახლა ის, როგორც ვთქვით, გუბერნიად არ იწოდებოდა<sup>3</sup> და, ორი პროვინციის მაგიერ, ხუთი მაზრისაგან (გორის, ლორის, დუშეთის, თელავისა და სიღნაღის) და რამდენიმე დისტანციისაგან (ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკისა და შურაგელის) შესდგებოდა. თვითთულ მაზრასა და დისტანციაში ადგილობრივი ადმინისტრაციული და სასამართლო აპარატი ეწყობოდა. ადმინისტრაციულ აპარატს მაზრაში მაზრის „საერობო პოლიცია“ (земская полиция) შეადგენდა<sup>4</sup>, ხოლო სასამართლო აპარატს—„მაზრის სასამართლო“ (уездный суд<sup>5</sup>). საერობო პოლიცია თავმჯდომარისა და ორი მსაჯულისაგან („ზასედატელ“) შესდგებოდა. თავმჯდომარედ კაპიტან-ისპრავნიკი (რუსი ოფიცერიდან), ხოლო მსაჯულებად ადგილობრივი ქართველი თავადები ან აზნაურები ინიშნებოდნენ. მაზრის სასამართლო მაზრის მოსამართლისა და აგრეთვე ორი მსაჯულისაგან („ზასედატელ“) შესდგებოდა. ამათგან პირველი რუსი უნდა ყოფილიყო, ხოლო ორი უკანასკნელი—ქართველი თავადი ან აზნაური<sup>6</sup>. ფინანსური ხაზით კიდევ მაზრებში საქმეს მაზრის ხაზინადრები უძღვებოდნენ<sup>7</sup>.

მუსლიმანურ პროვინციებსა და დისტანციებს განაგებდნენ საერთოდ სამხედრო საოლქო უფროსები (военно-окружные начальники), რომელთაც ექვემდებარებოდნენ: ა) კომენდანტი, მისი თანაშემწე, პოლიციის მესტერი და სამეურნეო ნაწილის ზედამხედველი, ბ) პროვინციის ხაზინა და გ) პროვინციის სასამართლო, რომლის თავმჯდომარედ კომენდატი ითვლებოდა, ხოლო წევრებად—4 მსაჯული: ორი ბეგებიდან და ორი უბრალო ხალხიდან<sup>8</sup>, მაგრამ საქართველოში მოსახლე მუსლიმანთა და

<sup>1</sup> КК, 1868, გვ. 383; КИООГ, გვ. 24.

<sup>2</sup> КИООГ, გვ. 24—25.

<sup>3</sup> სწორედ ზემოთდასახელებული მოსაზრებით ალექსანდრე I-ის დროს უფრო მიზანშეწონილად იყო ცნობილი, რომ სიტყვა „საქართველო“ (და არა საქართველოს გუბერნია) ჯერ კიდევ დარჩენილიყო პოლიტიკურ ლექსიკონში.

<sup>4</sup> КИООГ, გვ. 28. საერობო პოლიცია, ან საერობო პოლიციის სამმართველო (управа земской полиции).

<sup>5</sup> КИООГ, გვ. 29.

<sup>6</sup> » , გვ. 28—29; КК, 1868, გვ. 385.

<sup>7</sup> » , გვ. 29; КК, 1868, გვ. 385.

<sup>8</sup> КК, 1868, გვ. 391—392.

უცხო ტომებით დასახლებულ ადგილებს განაგებდნენ ბოქაულები ან მოურა-  
ვები ქართველ თავადებიდან კაპიტან-ისპრავნიკის უფლებით<sup>1</sup>.

დასასრულ, ქალაქებში აღმასრულებელი პოლიციის მოვალეობა ეკისრე-  
ბოდა კომენდანტებს, რომელთაც თანაშემწეებად პოლიცმეისტრები  
(ან უნაცვალები)<sup>2</sup> ენიშნებოდათ. კომენდანტები რუსი ოფიცრებიდან  
უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო პოლიცმეისტრები (ნაცვალები) ქართველ თავადები-  
დან ან აზნაურებიდან. ამას გარდა მთავარსარდალს, საქართველოს მმართველ-  
თან შეთანხმებით, უფლება ენიჭებოდა დაეარსებინა ქალაქებში მაგისტრატე-  
ბი, რომელთაც სისამართლო დაწესებულებათა ფუნქციები უნდა ჰქონოდათ  
დაკისრებული ქალაქის ფარგლებში<sup>3</sup>.

5

ალექსანდრე პირველის მანიფესტი საქართველოს ანექსიისა და რუსული  
მმართველობის შემოღების შესახებ პეტერბურგში 1801 წლის 12 სექტემბერს,  
ხოლო თბილისში 1802 წლის 12 აპრილს გამოქვეყნდა და იმავე დღიდან დაი-  
წყო ამ მმართველობის ცხოვრებაში შემოღება. მაგრამ ახალმა დაწესებულე-  
ბებმა მოქმედება დაიწყეს ფაქტიურად ოდნავ უფრო გვიან: ცენტრალურმა  
დაწესებულებებმა—1802 წლის 8 მაისს, ხოლო ადგილობრივმა დაწესებულე-  
ბებმა<sup>4</sup>—იმავე წლის დასასრულისათვის<sup>5</sup>.

დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება და რუსეთიდან ჩამო-  
ყვანილ მოხელეთა განწესება ეკისრებოდათ მთავარსარდალად დანიშნულ გენერალ  
კნორინგსა და საქართველოს მმართველად დანიშნულ დეისტვიტელნი სტატსკი  
სოვეტნიკს კოვალენსკის<sup>6</sup>. ამ უკანასკნელთათვის პეტერბურგის მთავრობის  
მიერ მიცემულ ინსტრუქციაში ნათქვამი იყო, რომ მათ უფლება ეძლეოდათ  
შეეცნათ დაწესებულებები ისეთი მოხელეებით, რომელნიც შესძლებდნენ აეძუ-  
ლებინათ მოსახლეობა დამორჩილებოდნენ („заставить повиноваться“) ახალ  
მმართველობას<sup>7</sup>.

<sup>1</sup> КК, 1868, გვ. 385, 388; КИОУТ, გვ. 29. ჩვენ აქ აღვნიშნავთ იმ მდგომარეობას, რო-  
მელიც კანონმდებლობით იყო ნაგულისხმევი და არა ფაქტიურ მდგომარეობას, რომელიც  
თითქმის ყოველთვის განსხვავდებოდა კანონით ნაგულისხმევ მდგომარეობისაგან (იხ. ქვემოთ).

<sup>2</sup> ოფიციალურად ისინი პოლიცმეისტრებად იწოდებოდნენ.

<sup>3</sup> КК, 1868, გვ. 385; КИОУТ, გვ. 28—30.

<sup>4</sup> КК, 1868, გვ. 385; „ „ „, გვ. 29 (საქართველოს უზენაესი მთავრობის სახეიმა  
გაზსა მოხდა 1802 წლის 12 აპრილს).

<sup>5</sup> რათქმაუნდა, იგულისხმება იმ დაწესებულებათა მოქმედების დაწყება, რომელიც  
ფაქტიურად დაარსებული იყო დასახელებულ დებულების საფუძველზე.

<sup>6</sup> КИОУТ, გვ. 25; С. Эсалзе, Историческая записка, გვ. 54.

<sup>7</sup> „ „ „, გვ. 3. ახლად შექმნილ დაწესებულებათა და მოხელეთა წლიური ხარჯთ-  
აღრიცხვა შეადგენდა 80.939 მან. 28½ კაპ. (КИОУТ, გვ. 29).

ამავე ინსტრუქციის თანახმად მათ უფლება ჰქონდათ სამოქალაქო საქმეები ქართული ზნე-ჩვეულებისა და ვახტანგის კანონების მიხედვით, ხოლო დანარჩენი საქმეები რუსული კანონების მიხედვით ეწარმოებინათ<sup>1</sup>.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მართვა-გამგეობის ეს წესი, რომელიც პრინციპულად პავლე პირველის პროექტში გათვალისწინებულ სისტემისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა, სრულიად არ შეეფერებოდა ქართველი ხალხის ხასიათსა და ბუნებას, მის ზნე-ჩვეულებებსა და ადათებს. ქართველ ხალხს, რომელსაც არასოდეს არ ენახა ეს გუბერნატორები, კაპიტან-ისპრაენიკები და პოლიცემისტრები, და რომელიც, როგორც ენახეთ, მიჩვეული იყო მმართველობის მართვით წესებს, არ შეეძლო შეგუებოდა და შერიგებოდა ამ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის პრინციპზე მოწყობილ წესებს, მით უფრო, რომ ახალი დაწესებულებები და თანამდებობის პირნი საქართველოში საქმეს უმთავრესად რუსულ ენაზე აწარმოებდნენ. მდგომარეობას, რათქმუნდა, ვერ შევლოდა ვერც ის გარემოება, რომ სამოქალაქო დარგში ვახტანგის კანონები იყო ძალაში დატოვებული, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსი მოხელეები, რომელნიც სათავეში ედგნენ ყველა დაწესებულებას, არ იცნობდნენ ვახტანგის კანონებს<sup>2</sup>, ხოლო ადგილობრივი პირებიც, რომელნიც ამ დაწესებულებებში დანიშნული იყვნენ მრჩეველად თუ წვერებად, იმას გარდა, რომ არც ისინი იცნობდნენ ვახტანგის კანონებს ზაინცდამაინც კარგად<sup>3</sup>, სრულიად არ იყვნენ მთავრობისაგან ისეთი ნდობითა და უფლებებით მოსიღნი, რომ მათ შესძლებოდათ საქმის ვითარება ისე წაეყვანათ, როგორც ამას ვახტანგის კანონები ჰკლავს ხმობდნენ, მით უფრო, რომ მათ თავის მხრივ რუსული ენის არა გაეყვებოდნათ რა. თუმცა საექვია ამათაც, როგორც პრივილეგიურ წოდების წარმომადგენელთ, ეს კანონები, ამის გარეშეც, ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენებიათ. მეორეს მხრივ ვახტანგის კანონების ძალაში დატოვება მხოლოდ სამოქალაქო დარგში მათ ფაქტიურად ცხოვრებაში გატარების შემთხვევაშიც საქმეს ვერ შევლოდა იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა ამ დროს მხოლოდ სამოქალაქო ნორმებით და საერთოდ ვახტანგის კანონებით არ ამოიწურებოდა: ეს დრო ვახტანგის კანონის დაწერის დროიდან ერთი საუკუნით დაშორებული იყო.

მაგრამ ამას გარდა, მთელი უბედურება მართა იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ შემოღებული მართვა-გამგეობის სისტემა თავისთავად პრინციპში უვარგისი, ხოლო სახელმძღვანელოდ შემოღებული კანონები (რუსულ-ქართული კანონები) ერთიმეორეში არეული და ერთიმეორესთან შეუთანხმებელი იყო, არამედ იმაშიც, რომ ამ მართვა-

<sup>1</sup> КИОСТГ, გვ. 32; С. Эсалзе, Историческая записка, გვ. 55; KK, 1868, გვ. 386.

<sup>2</sup> ვახტანგის კანონების რუსული თარგმანი პირველად გამოიცა სენატის მიერ 1828 წელს (Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, Тифлис 1828, გვ. VI). მაგრამ ეს თარგმანი, ისევე როგორც შემდეგ გამოცემული თარგმანები, სიუსტეს მოკლებული და მრავალ შემთხვევაში დედანს დაშორებული იყო.

<sup>3</sup> ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ, დასტურლამალი და ვახტანგის კანონები საქართველოში შედარებით მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა.

გამგეობის წესებისა და კანონების გამტარებელი მოხელეები, თავიანთი კულტურული და ზნეობრივი ღონის მიხედვით, თავიანთი პოლიტიკური რწმენისა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ იდეალების მიხედვით, ქართველი ხალხის საკეთილდღეო მიზნებისა და სურვილებისაგან ერთობ შორს იდგნენ. ისინი ქვეყანას განაგებდნენ მომეტებულს შემთხვევაში პირად მიზნებისა და ინტერესების მიხედვით, თვითნებობისა და ძალმომრეობის საფუძველზე. ამიტომ, ბუნებრივია, ყოველივე ეს—სისტემის უვარჯისობა, მოხელეთა უზნეობა, უცილობა, ბოროტმოქმედება, მექრთამეობა და სხვა—აუტანელ პირობებს ქმნიდა საქართველოში ოდნავ ნორმალური ცხოვრებისათვის<sup>1</sup>.

„გარდა იმ აშკარა ბოროტმოქმედებათა, —წერს ერთერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსი, —რომელნიც იმ თავითვე დაშვებული იყვნენ საქართველოს მმართველის კოვალენსკისა და იმის ხელქვეით მოხელეთა მიერ და რომელთაც ხალხის საყოველთაო უკმაყოფილება და დრტკინვა გამოიწვიეს, ახლა მმართველობას არ შეეძლო დაეკაყოფილებინა ვინმე იმიტომ, რომ 12 სექტემბრის მანიფესტში გამოთქმულ კეთილ ზრახვებს უპირისპირდებოდა ისეთი გარემოებები, რომელნიც მმართველობის მოწყობის დროს არ იყვნენ მხედველობაში მიღებულნი. ექსპედიციებისა და საეროზო სასამართლოების შემოღება, რუსეთის დაწესებულებისათვის ჩვეული მთელი ფორმალიზით, საქმეების გადატანა ინსტანციებიდან ინსტანციებში, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში —ყველაფერი ეს უცხო და უკიდურესად მძიმე იყო იმ ხალხისათვის, რომელიც არ იყო მიჩვეული საქმის გარჩევის ასე გაჭიანურებას... მმართველობის სუსტ მხარეს წარმოადგენდა ერთიმეორის ენის უცოდინარობაც მოხელეთა მხრივ, როგორც უმაღლეს დაწესებულებებში, ისე დაბალ დაწესებულებებშიც. თარჯიმანების უყოლობის გამო, დაწესებულებების წევრებს ქართველებიდან საქმის გარჩევაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ და ამიტომ ისინი განაჩენზე ხელს აწერდნენ ისე, რომ არ იცოდნენ მისი შინაარსი. საქმეები უზენაეს მთავრობაში წყდებოდა საბოლოოდ, შემდეგი აპელაციის უფლების გამოორიციხვით, და კანონებიც იმავე უზენაეს მთავრობაში იცვლებოდა თვითნებურად. სამოქალაქო საქმეების წარმოება ვახტანგის კანონებისა და ქართულ ჩვეულებათა მიხედვით არ შეიძლებოდა გატარებულიყო ცხოვრებაში იმიტომ, რომ არ იყო შემუშავებული სათანადო სახელმძღვანელო ინსტრუქცია. ამავე დროს, როგორც იმ მოხელეებს, რომელნიც ახლო იდგნენ ხალხთან და რომელთა მოვალეობას შეადგენდა საპოლიციო სასამართლოსათვის გაძღოლა, ისე იმ მოხელეებსაც, რომელთაც მაღალი თანამდებობა ეკირათ, წარმოადგენა არ ჰქონდათ არც ვახტანგის კანონებისა და ადგილობრივ ჩვეულებების შესახებ, არც იმ ხალხის ენისა, სულისა და ხასიათის შესახებ, რომელსაც ისინი მართავდნენ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მაშინდელი და შემდგომი დროინდელი ოფიციალური ახრი ამის შესახებ იხ. Акты, т. I; КК 1868, გვ. 386; КИООТГ, გვ. 32—33; С. Эсадзе, Историческая записка, გვ. 56—57; В. И в з-ненко, Гражданское управление, გვ. 38—47.

<sup>2</sup> С. Эсадзе, Историческая записка, гв. 56—57.

მაღალი წოდება არ შეიძლებოდა შემოღებული წესებით კმაყოფილი ყოფილიყო, რადგან ის ქვეყნის მართვა-გამგეობისაგან თითქმის სავსებით ჩამოშორებული იყო<sup>1</sup> და რუს მოხელეთ უნდა დამორჩილებოდა, ხოლო დაბალი წოდებაც არ შეიძლებოდა ამ წესით კმაყოფილი ყოფილიყო, რადგან იმას გარდა, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა ახალი წესების შემოღების შემდეგ არ უმჯობესდებოდა, მას უფლებაც კი ერთმეოდა თავის აუტანელ მდგომარეობის შესახებ სადმე კრინტი დაეძრა და სამართალი ეძია: რუსული მან არ იცოდა, ხოლო ქართული—მისი ბედის გადამწყვეტ რუს მოხელემ. „მათთვის ყველაფერი ახალია, ხოლო ჩვენთვის ყველაფერი უცნაური. მსაჯულსა და მთხოვნელს ერთიმეორის არ გაეგებათ და ორივე უკმაყოფილო რჩება“—ო, წერდა ციციანოვი<sup>2</sup>.

ნათქვამის გამო მართვა-გამგეობის ზემოთდასახელებული წესების შემოღებამ იმთავითვე ხალხში საყოველთაო უკმაყოფილება, შფოთი და არეულობა გამოიწვია. მალე ამ ამბავმა პეტერბურგამდეც მიაღწია და რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა მდგომარეობისათვის ანგარიში გაეწია<sup>3</sup>.

1802 წლის 8 სექტემბერს კნორინგი გადაყენებულ იქნა მთავარსარდლის თანამდებობიდან და მის ნაცვლად ციციანოვი დაინიშნა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ (1803 წ.) კოვალენსკიც მოიხსნა თავის თანამდებობიდან<sup>4</sup> და მის მაგიერ საქართველოს მმართველად გენერალი ტუჩკოვი დაინიშნა<sup>5</sup>.

ამით, რათქმაუნდა, საქმის მდგომარეობის არსებითი გამოსწორება მოსალოდნელი არ იყო, რადგან მთავრობის პოლიტიკა და ხაზი მმართველობის დარგში ამის შემდეგაც, როგორც ვამბობდით, პრინციპულად უცვლელი რჩებოდა. მაგრამ ციციანოვი უფრო ჭკვიანი და გამოცდილი ადმინისტრატორი იყო, თანაც ტახტის ერთგულებით სხელგანთქმულ პირად ითვლებოდა და ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ის კანონებს მაინც დაიცავდა და მოხელეთა ვაჟგონარ ბოროტმოქმედებას ალაგმავდა.

ციციანოვმა მოსვლისთანავე შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე: 1. საქართველოს მმართველის მაგიერ შემოღებულ იყო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის<sup>6</sup> თანამდებობა; 2. მაზრებში მაზრის უფროსთა ნაცვლად, ან მათთან ერთად, დაწესებულიყო საოლქო სამმართველო (окружное правление) და ოლქის უფროსის<sup>7</sup>

<sup>1</sup> ადგილობრივი ელემენტებიდან დაწესებულებებში დაიშვებოდნენ მხოლოდ ისეთი პირები, რომელნიც ცნობილი იყვნენ როგორც მთავრობის მომხრენი და რომელნიც მზად იყვნენ უსიტყვოდ გაეტარებინათ მთავრობის ხაზი.

<sup>2</sup> Акты, II, № 46; В. Иваницко, Гражданское управление, გვ. 38.

<sup>3</sup> Акты, II, გვ. 46 და შმდ.

<sup>4</sup> КИОТГ, გვ. 34, 60; ს. ესაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 29.

<sup>5</sup> კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის შეცვლაზე გავლენა იქონია სხვა (საერთაშორისო ხასიათის) გარემოებებმაც.

<sup>6</sup> Грузинский гражданский губернатор.

<sup>7</sup> Окружной начальник.

თანამდებობა და საქალაქო პოლიცია, ერთის მხრივ, და სამაზრო სასამართლო მეორე მხრივ; ამ სამაზრო სასამართლოს თავმჯდომარედაც ეს ოლქის უფროსი უნდა ყოფილიყო; 3. სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციები გაერთიანებულიყო ერთ ექსპედიციაში — სასამართლო ექსპედიციაში<sup>1</sup>; 4. მოურავებთან, რომელნიც საქართველოში მოსახლე უცხო ტომის ხალხთათვის იყენენ წინათ დაწესებულნი, დანიშნულიყო თითო თარჯიშანი<sup>2</sup>; 5. მთავარსარდალს მისცემოდა უფლება პოლიცემისტერები (თუ ნაცვლები), რომელნიც წინათ თავადაზნაურობის შერჩევით ინიშნებოდნენ, დაენიშნა თავის შეხედულებით და 6. მთხოვნელს, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, ნება მისცემოდა გაესაჩივრებინა საქმე ყველა ინსტანციაში იმ ენაზე, რომელიც მისი დედა-ენა იყო<sup>3</sup>.

ეს შუამდგომლობა რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ იქნა 1805 წ. 13 მაისს<sup>4</sup>. მაგრამ განზრახულ ადმინისტრაციულ ღონისძიების გატარება ცხოვრებაში ციციანოვმა მხოლოდ ნაწილობრივ მოასწრო — ის მოკლულ იქნა ბაქოში 1806 წელს — და ამრიგად ფაქტიურად ძალაში ისევე ის მდგომარეობა დარჩა, რომელიც ალექსანდრე პირველის 1801 წ. მანიფესტით, ან უკეთ, ამ მანიფესტის გამოცემის შემდეგ იყო დამყარებული, სინამდვილეში ციციანოვის წინამორბედთა დროს, იმ უმნიშვნელო ცვლილებით, რომელთა გატარება მოასწრო ციციანოვმა 1805 წლამდე.

## 6

ციციანოვის შემდეგ ადმინისტრაციულ ცვლილებებს აღმოსავლეთ საქართველოში 1840-იან წლებამდე, შეიძლება ითქვას, არსებითი ხასიათი არ ჰქონიათ. ეს ცვლილებები ფაქტიურად მმართველობის იმ სისტემის უმნიშვნელო შესწორება-დამატებებსა თუ კორექტივებს წარმოადგენდა, რომელიც ციციანოვამდე იყო შემოღებული საქართველოში ალექსანდრე პირველის ხსენებულ მანიფესტის საფუძველზე, ან ციციანოვის დროს მოესწრო გატარებულიყო მის პროექტის შესაბამისად<sup>5</sup>. მმართველობაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ფაქტიურად ისევე სამხედრო უწყებისა და სამხედრო მოხელეთა ხელში დარჩა.

<sup>1</sup> Экспедиция суда и расправы.

<sup>2</sup> ციციანოვის პროექტით თარჯიშანებს უნდა შეეცვალათ მოურავების თანაშემწეები, რომლებიც უქმდებოდნენ.

<sup>3</sup> КК, 1868, გვ. 387; КИООТГ, გვ. 34—35; С. Эсадзе, იქვე, გვ. 58—59; Акты, II, გვ. 46, 52 და შმდ.; В. Иваненко, იქვე, გვ. 44—47.

<sup>4</sup> КИООТГ, გვ. 37; КК, 1868, გვ. 387; С. Эсадзе, იქვე, გვ. 59; შდრ. В. Иваненко, იქვე, გვ. 44—47.

<sup>5</sup> ციციანოვს, რომელმაც საქართველო მოსვლისას ანარქიულ მდგომარეობაში ნახა (ს. ესაძე, იქვე, გვ. 57), თუმცა ის საჭიროდ ცნობდა მმართველობაში ცვლილებები მომხდარიყო, მაგრამ ამავე დროს მას უზერხულად მიაჩნდა, თვითმპყრობელობის პრესტიჟის თვალსაზრისით, უკვე შემოღებულ წესების ასე უცბად შეცვლა. მისი აზრით ეს შეიძლებოდა იმთავითვე მომხდარიყო, ხოლო ახლა ყოველგვარი რადიკალური ცვლილებები მხოლოდ მთავრობის პრესტიჟის დაცემას გამოიწვევს (ს. ესაძე, იქვე, გვ. 58).



ასე რომ, ციციანოვის უახლოესი მემკვიდრეების—გულდოვიჩის, ტორმასოვის, პაულუჩისა და რტიშჩევის მმართველობის ხანამ ისე გაიარა, რომ მათ, გლეხთა აჯანყებების ჩაქრობისა და მოსახლეობის აწიოკების მეტი<sup>1</sup>, არსებითი თითქმის არაფერი საქართველოში მმართველ-გამგებობის შეცვლისა თუ გაუმჯობესების დარგში, არ გაუკეთებიათ. ხოლო თუ რამ უმნიშვნელო გაკეთდა ამ დროს, გაკეთდა უმეტეს შემთხვევაში ისეთი რამ, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა.

მაგრამ სურათის სისრულისათვის იმ უმნიშვნელო ცვლილებებიდან (ან ახალი ღონისძიებებიდან), რომელთაც ადგილი ჰქონდათ აღნიშნულ მთავარ-მმართველთა დროს, დავასახელებთ ზოგიერთს.

ასე, მაგალითად, 1807 წლის 30 მარტს გულდოვიჩმა გამოსცა საეციალური ბრძანება, რომლის თანახმად სასამართლოებს აკრძალული ჰქონდათ მიეღოთ და გაერჩიათ საბატონო გლეხებს შორის აღმოცენებული სამოქალაქო დავა და საჩივარი. ანგვარი დავისა და საჩივრების გარჩევა ამ ბრძანების თანახმად შეადგენდა იმ მებატონის კომპეტენციას, რომელსაც გლეხები ეკუთვნოდნენ<sup>2</sup>. ამავე ბრძანებით სოფლის მოურავებს უფლება მიეცათ დამოუკიდებლად განეგოთ მათთვის ჩაბარებული სოფლები და თვით გაერჩიათ ამ სოფლის მცხოვრებთა შორის აღმოცენებული დავა და საჩივარი. გულდოვიჩის ეს ღონისძიება, ცხადია, აშკარად მიმართული იყო გლეხობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა საბოლოო ანგარიშში ბატონყმობის ინსტიტუტის განმტკიცებას.

გულდოვიჩის დროსვე, სახელდობრ 1809 წელს, საქართველოს მმართველის ლიტვინოვის მიერ დამუშავებულ და დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა პროექტი, რომლის თანახმად სამაზრო სასამართლოები საესებით უნდა გაუქმებულიყო და მათი ფუნქციები უნდა გადასცემოდა ფაქტიურად პოლიციას და ევრეთწოდებულ სეერობო სასამართლოს. ამ უკანასკნელს ევალებოდა საქმე ადგილობრივად გამოეძია და განეხილა, ხოლო თუ ეს საქმე მის კომპეტენციას აღემატებოდა, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს მთავრობის სასამართლო ექსპედიციაში, რომლის განაჩენს ამტკიცებდა მთავარმმართველი, ან, მის არ ყოფნის დროს, საქართველოს მმართველი. უკანასკნელთა განაჩენი საბოლოოდ ითვლებოდა<sup>3</sup>. ამ პროექტის მიზანი (თუმცა ის დამტკიცებული არ ყოფილა) იმაში მდგომარეობდა, რომ რადგან რუსული კანონებითა და სამართლით საქართველოს მოსახლეობას სარგებლობა არ უნდოდა და, კიდევაც რომ ნდომებოდა, არც შეეძლო, სასამართლოს ფუნქციები ცალკე თანამდებობის პირთა ხელში გადასულიყო და მით მოსახლეობის (იგულისხმება, რათქმაუნდა,

<sup>1</sup> რუსული მმართველობის შემოღებიდან, როგორც ვამბობდით, გლეხთა აჯანყებებს საქართველოში თითქმის სისტემატური ხასიათი ეძლევა. ამ აჯანყებების ჩაქრობა შეადგენდა საქართველოს მთავარმმართველთა უმთავრეს „ღვაწლს“, მაგრამ მათ არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვოდათ ამავე აჯანყებების გამოწვევაში.

<sup>2</sup> Акты, III, საბ. № 15; В. Иваненко, იქვე, გვ. 53.

<sup>3</sup> В. Иваненко, იქვე, გვ. 56.

დაბალი მოსახლეობის) დამოკიდებულება ამ პირობისაგან უფრო გაძლიერებულიყო<sup>1</sup>.

1810 წლის 28 დეკემბერს გუდოვიჩის შემცველმა მთავარმმართველმა ტორმასოვმა უშამდგომლობა აღძრა მეფის წინაშე, რათა ადგილობრივ მკვიდრთა გასამართლება სახელმწიფოებრივი „ლაღატისა“ და საზღვარგარეთ გაქცევისათვის მომხდარიყო არა ჩვეულებრივი სასამართლოს წესით, არამედ სახმედრო სასამართლოს წესით<sup>2</sup>. ეს ღონისძიება გამოწვეული იყო იმით, რომ რუსული მმართველობით უკმაყოფილო ელემენტები, როგორც ცნობილია, ხშირად აჯანყებას აწყობდნენ, ან საზღვარგარეთ, ოსმალეთსა და ირანში ვარბოდნენ, ხოლო მთავრობას უნდოდა ასეთი მოვლენები აღმოეფხვრა სასწრაფოდ სასტიკი ზომებით. მაგრამ, რაკი ჩვეულებრივი სასამართლოს წესით ასეთი საქმეების გარჩევა დიდხანს გრძელდებოდა, ამიტომ მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა უკმაყოფილო და ურჩ ელემენტთა გასამართლება, როგორც ტორმასოვის მოხსენებაშია ნათქვამი, „სამხედრო არტიკულების“ მიხედვით ყოფილიყო წარმოებული. ეს ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ ასეთ ელემენტთა ბედი ცალკე თანამდებობის პირთა (უშმთავრესად სამხედრო პირთა) ნება-სურვილზე იქნებოდა დამოკიდებული. ასეც მოხდა, მაგალითად, როდესაც ტორმასოვის პროექტი დააბტკიცეს, და ეს კანონი 1810 წლის ოქტომბერში კუბაში მომხდარ აჯანყების მონაწილეთ მიუყენეს, აჯანყებულები ფაქტიურად თვით ტორმასოვმა გაასამართლა და ისეთი განაჩენი დაუდო მათ, როგორც მას პირადად სურდა<sup>3</sup>.

ტორმასოვის მემკვიდრის პაულუჩის დროს, როგორც ვიცით, ადგილი ჰქონდა მსხვილ აჯანყებას კახეთში, საიდანაც ეს აჯანყება სხვა მეზობელ მხარეებშიც გადავიდა. ერთერთი მიზეზი ამ აჯანყებისა არსებული მმართველობის სისტემის უვარგისობა იყო. ამიტომ 1812 წელს, როდესაც ეს აჯანყება ნაწილობრივ ჩაქრობილ იქნა, პაულუჩი იძულებული იყო ზოგიერთი ცვლილებები მოეხდინა ადმინისტრაციულ აპარატში. სახელდობრ, პაულუჩიმ გააუქმა თელავისა და სიღნაღის მაზრებში სამაზრო და საერობო სასამართლოები და იქ მოურავების ინსტიტუტი აღადგინა<sup>4</sup>. აღნიშნულ სასამართლოების ნაცვლად ამ

<sup>1</sup> ეს პროექტი ცენტრალური ხელისუფლების მიერ, როგორც ვთქვით, დამტკიცებული არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ მაინც მას ვასახელებთ მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლების ხაზის დასახასიათებლად მმართველობის დარგში.

<sup>2</sup> Акты IV, გვ. 48—49.

<sup>3</sup> ი ვ ა ნ ე კ ო, იქვე, გვ. 57. შემდგომ მთავარმმართველები და თანამდებობის პირები ამ კანონით კიდევ უფრო ფართოდ სარგებლობდნენ. ერმოლოვი, მაგ., ჯარის ნაწილების ცალკეულ უფროსებს ნებას აძლევდა დაეხვრიტათ ან ჩამოეხრჩოთ აჯანყების დროს ყველა ის, ვინც კი წინააღმდეგობას გაუწევდა ხელისუფლებას — გასამართლების გარეშე. ასე, 1826 წელს, ერმოლოვის დასტურით და გენერალ კრაბეს, პოლკოვნიკ მიშჩენკოს და მაიორ ილინსკის განკარგულებით, მხოლოდ ერთ რაიონში ცემით მოკლეს ან წყალში დაახრჩეს 83 კაცი — გაუსამართლებლად.

<sup>4</sup> სიღნაღის მაზრაში დანიშნულ იქნა მთავარ მოურავად იოსებ ანდრონიკაშვილი, თელავის მაზრაში — სოლომონ ავალიშვილი.



მაზრებში დაწესებული იქნა ე. წ. „დროებითი სასამართლოები“, რომლის თავმჯდომარეებად რუსი მოხელეები (კომენდანტები) უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო წევრებად ადგილობრივი მკვიდრნი (თითო მაზრიდან სამი კაცი)<sup>1</sup>. პაულუჩის ეს ღონისძიებები, რათქმაუნდა, იძულებითი ღონისძიებები იყო, და ამ ღონისძიებების მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ უკმაყოფილო და აჯანყებული მოსახლეობა კახეთისა როგორმე დროებით მიიხილავინათ დამშვიდებულიყო (აჯანყება ამ დროს კიდევ ჩაქრობილი არ იყო.)

რომ სწორედ ეს მიზანი ჰქონდა ამ ღონისძიებებს, ჩანს იქიდანაც, რომ 1813 წელს, უკვე რტიშჩევის დროს, როდესაც აჯანყება საეცხებით ჩაქრობილ იქნა ცეცხლითა და მახვილით, თელავსა და სიღნაღში პაულუჩის განკარგულებით მოწყობილი (ან უკეთ განზრახული)<sup>2</sup> სასამართლოები გადაკეთებულ იქნა სხვა საფუძველზე. ახლა ეს სასამართლოები თუმცა წინანდებურად „დროებით-სასამართლოებად“ იწოდებოდა, მაგრამ მათი შემადგენლობა სხვანაირი იყო და ამ შემადგენლობაში უმეტესობას რუსი მოხელეები შეადგენდნენ. ამასთანავე ამ დროებით სასამართლოებს, ჩვეულებრივი სასამართლო ფუნქციების გარდა, დაკისრებული ჰქონდათ აგრეთვე საპოლიციო და საფინანსო ფუნქციებიც<sup>3</sup>.

1811 წელს გაუქმებულ იქნა საქართველოს მმართველის თანამდებობა და მის ნაცვლად დაწესდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა<sup>4</sup>. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ექვემდებარებოდა მთავარმმართველს და სამოქალაქო საქმეებში მის თანაშემწედ ითვლებოდა. საქართველოს მმართველის თანამდებობის გაუქმება და მის ნაცვლად საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის შემოღება წარმოადგენდა ციციანოვის ზემოხსენებულ პროექტის ერთერთი მუხლის განხორციელებას, და არსებითად მოასწავებდა მდგომარეობის გაუარესებას იმ მხრივ, რომ საქართველოს ვითომდა „დამოუკიდებელ“ არსებობის გარეგნულ ნიშნებს ამით ერთი-ელემენტი აკლდებოდა.

პაულუჩის დროსვე, ნიშანდობლივ 1811 წელს, აღძრულ იქნა საკითხი თბილისში, მაგისტრატის ნაცვლად<sup>5</sup>, საქალაქო მმართველობის შემოღების შესახებ<sup>6</sup>. ეს შუამდგომლობა ამავე საკითხის შესახებ, მაგრამ სხვა საფუძველზე,

<sup>1</sup> Акты, V, с. 93.

<sup>2</sup> დროებითი სასამართლოების მოწყობა პაულუჩის დროს ვერ მოესწრო.

<sup>3</sup> Акты, V, с. 272.

<sup>4</sup> КИООП, გვ. 38; საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა არსებობდა 1811 წლიდან თითქმის 1860-იან წლებამდე. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორებად აღებულ პერიოდში იყვნენ: მალინსკი (1811—1813), სიმონოვიჩი (1813—1815), სტალი (1815—1819), ხოვენი (1819—1829), ზავილესკი (1829—1832), ფალავანდიშვილი (1832—1838) და ახლესტიშჩევი (1838—1839).

<sup>5</sup> თბილისში მაგისტრატის ფუნქციები დაკისრებული ჰქონდა ფორმალურად სამაზრო-სასამართლოს, ფაქტურად კი არავითარი მაგისტრატი არც თბილისში და არც სხვა ქალაქებში არ არსებობდა.

<sup>6</sup> Акты, V, გვ. 226.

განმეორებულ იქნა შემდეგშიც, სახელდობრ, პაულუჩის შემცვლელის რტიშჩევის დროსაც, მაგრამ არცერთ ამ შუამდგომლობას შედეგი არ მოჰყოლია<sup>1</sup>.

დასასრულ, რტიშჩევის დროსვე, სახელდობრ 1814 წელს, ადმინისტრაციულ მმართველობაში ზოგიერთი ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოში შემავალ თათრულ დისტანციებშიც: მოურავების ნაცვლად იქ დანიშნულ იქნა ბოქალუები რუს ოფიცრებიდან<sup>2</sup>.

აჯანყების შემდეგ კახეთსა და თათრულ დისტანციებში მომხდარ ადმინისტრაციულ ცვლილებების მაგალითი საუცხოვოდ ამტკიცებს იმას, თუ რამდენად შემთხვევითი ხასიათს ატარებდა მთავრობის ღონისძიება მმართველობის დარგში და რამდენად ეს ღონისძიება, თუ კი ის ადგილობრივ მოთხოვნილებასთან იყო შეფარდებული, იძულებითი იყო: თუ საქართველოს ერთ ნაწილში (თელავისა და სიღნაღის მაზრებში) 1813 წელს მთავრობამ, აჯანყებით შეშინებულმა, მოურავების ინსტიტუტი აღადგინა, იმავე მთავრობამ ერთი წლის შემდეგ საქართველოს მეორე ნაწილში (თათრულ დისტანციებში), პირიქით, ეს ინსტიტუტი გააუქმა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, და როგორც ვამბობდით, ციციანოვის შემდეგ მთელმა ათეულმა წლებმა განვლო ისე, რომ არაფერი არსებითი მთავრობას არ გაუკეთებია მმართველობის სისტემის გასაუმჯობესებლად. პირიქით, იმ ცვლილებებიდანაც, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა ამ დარგში, ბევრი რამ ამ სისტემის გაუარესებას მოასწავებდა.

ასევე ითქმის არსებითად მთავარმმართველ ერმოლოვისა, პასკევიჩისა და როზენის დროის შესახებაც. მთელ ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ცვლილებები მმართველობის სისტემაში ფაქტობრივად უმნიშვნელო რეფორმებითა და კორექტივებით განისაზღვრებოდა.

ამისდა მიუხედავად დასახელებულ პირთა მმართველობის ხანა, მმართველობის სისტემის დახასიათების თვალსაზრისით, მრავალ მხრივ არის საინტერესო. კერძოდ ერმოლოვის მმართველობის ხანა იმით არის ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესო რომ ეს ხანა წარმოადგენს ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატულ სამხედრო დიქტატურის ხანას<sup>3</sup>. ერმოლოვმა მმართველობის სამხედრო წესების კულტი შექმნა და ეს წესები ერთგვარ სისტემად გადააქცია. ერმოლოვის შემდეგ-კი, პასკევიჩის დროიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აიყრა-კავკასიის დაპყრობა დამთავრდა<sup>4</sup>, მმართველობის სისტემაში უმნიშვნელო გარდატეხები იწყება იმ მხრივ, რომ ამ დროიდან იწყება ერთ-

<sup>1</sup> Акты, V, გვ. 226.

<sup>2</sup> В. Иваненко, იქვე, გვ 87.

<sup>3</sup> „გენერალ ერმოლოვის სურვილი თანამდებობეში სამხედრო მოხელეთათვის მიეცა— ეკითხვობთ ერთ ოფიციალურ საბუთში—ისე დიდი იყო, რომ მან 1824 წლის 22 იანვარს მეფის მიერ დამტკიცებული ყარაბაღის პროვინციის ხაზინის შტატიც კი შესცვალა და, ამ შტატით განკუთვნილ სამოქალაქო ხაზინადარის ნაცვლად, ბრძანება გასცა გაეწესებინათ ხაზინადრად სამხედრო ოფიცერი“ (Акты, VIII, გვ. 3).

<sup>4</sup> გარდა აჭარისა ბათომითურთ, რომელიც ჯერ კიდევ თურქეთის ხელში რჩებოდა.

გვარი ცდები მთავრობის მხრივ იმ მიმართულებით, რომ სამხედრო სისტემა მმართველობისა შეიცვალოს სამოქალაქო სისტემით. მართალია, ეს ცდები ამჟამად ჩვენ მიერ აღებულ პერიოდის განმავლობაში უშედეგო აღმოჩნდა, მაგრამ საკითხის შესწავლისათვის ამ ცდების გაცნობასაც აქვს მნიშვნელობა და ამიტომ ჩვენ აქ ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ.

გენერალი ერმოლოვი მის საქართველოში მთავარმმართველად ათი წლის განმავლობაში ყოფნის დროს, როგორც ვთქვით, უმთავრესად და განსაკუთრებით იმაზე ზრუნავდა, რომ მმართველობის გასამხედროება და საერთოდ სამხედრო დიქტატურა, რომელიც იმ თავითვე შემოღებული იყო მეფის ხელისუფლების მიერ საქართველოში, კიდევ უფრო განმტკიცებულიყო.

ერთის მხრივ ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ერმოლოვს, როგორც პროფესიონალურ სამხედრო პირს; სამოქალაქო მმართველობისა არც გაეგებოდა რამე<sup>1</sup>: მას ხალხის დასამორჩილებელ იარაღად და საშუალებად მხოლოდ უხეში ძალადობა და სამხედრო ტერორი მიაჩნდა. მეორე მხრივ ერმოლოვს არც ეცალა მაინცდამაინც მმართველობის საკითხებისათვის: ის თითქმის მუდმივად ლაშქრობაში იმყოფებოდა—აჯანყებების ჩასაქრობად ან მთიელთა დასაპყრობად, და ამიტომ საქართველოს იშვიათი სტუმარი იყო. მაშინაც კი, როდესაც ერმოლოვს დრო და მოცალეობა ჰქონდა მმართველობის საკითხებზე ეზრუნა, ის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა მხოლოდ და უმთავრესად პრივილეგიურ წოდებისა და კერძოდ თავადაზნაურობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მათი პირადი და ქონებრივი უფლებების გამორკვევისათვის.

სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერმოლოვმა თავისი რეფორმები ამ წოდების უფლებების გამორკვევითა და უზრუნველყოფით დაიწყო და დაამთავრა კიდევ. ასე, მაგალითად, 1819 წელს თავადაზნაურობის მამულების განსაზღვრისა და წესრიგში მოყვანის მიზნით მან შემოიღო მიწისმზომელთა მთელი შტატი, რომელიც შეიღვებოდა ერთი საგუბერნიო და სამი სამაზრო მიწისმზომელისაგან; ხოლო ერთი წლით ამაზე ადრე, ე. ი. 1818 წელს მან დააარსა თბილისში სათავადაზნაურო საკრებულო. ამ ღონისძიების მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ თავადაზნაურობის გაერთიანებითა და მისთვის სპეციალური დაწესებულების შექმნით ამ წოდების პრივილეგიური მდგომარეობა კიდევ უფრო გამტკიცებულიყო.

ამავე მიზნით 1823 წელს მან სასამართლო დაწესებულებებსა და საქალაქო მაგისტრატებთან დააარსა ე. წ. „სათავადაზნაურო მეურვეობა“ (дворянская опека), რომლის თავმჯდომარედ თავადაზნაურთა წინამძღოლი („მარშალი“) უნდა ყოფილიყო. დასასრულ, 1827 წელს მისი შუამდგომლობითა და მეცადინეობით ქართველი თავადაზნაურობა გათანაწილებულ იქნა რუსეთის

<sup>1</sup> თუნცა ამ მხრივ მაინცდამაინც დიდი ცოდნა არც მის წინამორბედ მთავარმმართველებს გამოუჩენიათ (გარდა ციციანოვისა).

თავადაზნაურობასთან უფლებრივად<sup>1</sup>. ერმოლოვის დროსვე დაარსდა რიგი სხვა ახალ დაწესებულებებისა საქართველოში, როგორც, მაგალითად, ე. წ. საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი (приказ общественного призрения)<sup>2</sup>, ობოლთა სასამართლო (сиротский суд), კეთილსინდისიერთა სასამართლო (суд совестный) და სხვა. დასასრულ, 1823 წელს ერმოლოვმა თბილისში შემოიღო პროკურორის დამხმარედ ორი საგუბერნიო და ექვსი სამაზრო სტრიაპჩების (ადვოკატების) თანამდებობა<sup>3</sup>.

1827 წელს ერმოლოვი გადაყენებულ იქნა თავის თანამდებობიდან და მის მაგიერ საქართველოს მთავარმმართველად დაინიშნა გრაფი პასკევიჩი. პასკევიჩი არსებითად უცვლელად ატარებდა იმ ხაზს მმართველობაში, რომელიც მის წინამორბედს და კერძოდ ერმოლოვს ჰქონდა აღებული, მაგრამ, წინააღმდეგ ერმოლოვის ხაზისა, მის ხაზს მმართველობაში ბევრი რამ ახალი ახასიათებდა. ეს ახალი უპირველესად ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ პასკევიჩს საჭიროდ მიაჩნდა მმართველობის სამხედრო სისტემის ნაცვლად სამოქალაქო სისტემის შემოღება, ან ყოველ შემთხვევაში სამხედრო სისტემისა და დაწესებულებების გვერდით სამოქალაქო დაწესებულებების შექმნა და ამ დაწესებულებებში სამოქალაქო მოხელეების დაყენება. „სამოქალაქო მმართველობა—სწორდა ის მეფეს—უფრო შეარბილებს [ადგილობრივ ხალხთა] ზნეჩვეულებას და უფრო მიაჩვევს [მათ] ურთიერთ დამოკიდებულებისა, საზოგადოებრივ მოვალეობათა და კანონთა შეგნებასო“<sup>4</sup>.

მეორე მომენტი, რაც პასკევიჩის ხაზს ახასიათებდა მმართველობის დარგში, მდგომარეობდა იმაში, რომ მას სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნდა ისეთი მდგომარეობა, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ სასეხთით არ იყო ვატარებული რუსული კანონები და რუსული წესები ისე, როგორც ეს რუსეთის შიდა გუბერნიებში იყო. ეს გარემოება, მისი აზრით, ხელს უშლიდა საქართველოს გარუსებას და ქართველებსაც მუდამ მოაგონებდა იმას, რომ ისინი სხვანი იყვნენ, ხოლო რუსები კიდევ სხვანი. „ყველგან დაწესებულებები დროებითს ხასიათს ატარებენ—სწორდა პასკევიჩი 1830 წ. 24 აპრილს რუსეთის მეფეს,—გასაოცარი აღრევაა მმართველობის რუსულ წესებსა და ქართულ თუ მუსლიმანურ წესებს შორის; არ არის ერთიანობა არც მმართველობის წესებში, არც კანონებში, არც ფინანსურ სისტემაში... რაც შეეხება საკუთრივ სამოქალაქო მმართველობას, მე საუკეთესოდ და აუცილებელ საჭიროებად მიმიჩნია

<sup>1</sup> КИОТИ, გვ. 39.

<sup>2</sup> ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 101. „საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი“, თუმცა საქველმოქმედო დაწესებულების სახელს ატარებდა, მაგრამ თავისი ფუნქციებითა და დანიშნულებით ის უფრო საკრედიტო და ბანკის მაგვარ დაწესებულებას წარმოადგენდა, ვიდრე საქველმოქმედო დაწესებულებას.

<sup>3</sup> ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 101. პროკურორის თანამდებობა თბილისში პირველად დაწესდა ციციანოვის დროს, 1803 წელს (КК, 1868, გვ. 386).

<sup>4</sup> Акты, VII, სბ. № 47; С. Эсаляе, იქვე, გვ. 67.

შემოღებულ იქნას ამიერ-კავკასიის პროვინციებში მმართველობის რუსული წესი და რუსული კანონები“-ო<sup>1</sup>.

დასასრულ, მესამე მომენტი, რაც პასკევიჩის ხაზს ახასიათებდა და რაც უკვე აღნიშნულ მომენტებთან იყო დაკავშირებული, მდგომარეობდა იმაში, რომ პასკევიჩის დაუშვებლად მიიჩნდა მმართველობასა და ადმინისტრაციულ აპარატში ადგილობრივი ელემენტის გამოყენება<sup>2</sup>. ეს ადგილობრივი ელემენტი, პასკევიჩის აზრით, სავსებით უფარგისი იყო, იმიტომ რომ ამ ელემენტმა რუსული ენა არ იცოდა და მას სათანადო გამოცდილებაც აკლდა.

ყველა აღნიშნული საკითხი პასკევიჩის უქვეშევრდომილეს მოხსენებებში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული და საკითხიც დასმული იმის შესახებ, რომ ყველაფერი ეს, რაც შეიძლება, სასწრაფოდ ყოფილიყო ცხოვრებაში გატარებული. 1830 წელს მეფისათვის წარდგენილ თავის მოხსენებაში პასკევიჩი ამასთან ერთად საქართველოს ადმინისტრაციულ მოწყობის პროექტსაც აყენებდა. მისი აზრით, საქართველო ერთ გუბერნიად უნდა ჩამოყალიბებულიყო და ეს გუბერნია ათ მხარად დანაწილებულიყო: 1. თბილისის, 2. სიღნაღის, 3. თელავის, 4. დუშეთის, 5. გორის, 6. იმერეთის, 7. გურიის, 8. ახალციხის, 9. ახალქალაქისა და 10. ბორჩალოს მხარებად<sup>3</sup>.

საგუბერნიო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა დანიშვნა ამ ახლადჩამოყალიბებულ საქართველოს გუბერნიაში, პასკევიჩის აზრით, უნდა მომხდარიყო იმავე წესით, როგორც ეს რუსეთის გუბერნიებში ხდებოდა. სამხრო დაწესებულებებიც ისე უნდა მოწყობილიყო, როგორც რუსეთში, ყოველგვარ ცვლილებების გარეშე. „ყველა საგუბერნიო და სამხრო დაწესებულებაში—წერდა პასკევიჩი—უნდა ხელმძღვანელობდნენ ყველაფერში რუსეთის კანონმდებლობით და არ უნდა ემყარებოდნენ არავითარ შემთხვევაში ქართულ კანონებზე ან წინანდელ ჩვეულებებზე“-ო<sup>4</sup>. ამავე დროს პასკევიჩი იმავე მოხსენებაში მოითხოვდა სამხედრო სასამართლოების გაუქმებას<sup>5</sup> და ამ სასამართლოთა ფუნქციების სამოქალაქო სასამართლოებისათვის გადაცემას. დასასრულ, პასკევიჩი თავის მოხსენებაში იმ გარემოებაზედაც მიუთითებდა, რომ ფოთში აღუარად ქალაქად არსებული მდგომარეობა საქართველოში მმართველობის მოწყობის მხრივ ფაქტურ მდგომარეობას არ შეესაბამებოდა. „ამჟამად საქართველოში—წერდა ის—არსებობს მმართველობის იმდენი სხვადასხვა ფორმა

<sup>1</sup> Акты, VII, გვ. 37.

<sup>2</sup> ამ მხრივ პასკევიჩისა და მის წინამორბედ მთავარმმართველთა თუ სხვა რუს მოხელეთა შორის განსხვავება არც არსებობდა, მაგრამ პასკევიჩი ამ მხრივ იმით განირჩეოდა მათგან, რომ ის ამ საკითხებს უფრო აშკარად და გარკვევით აყენებდა ცენტრალურ ხელისუფლების წინაშე.

<sup>3</sup> Акты VII, გვ. 38. ახალციხე და ახალქალაქი ამ დროს უკვე რუსეთის ხელში იყო: ორივე ქალაქი და რაიონი რუსეთს გადაეცა 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის ზავის თანახმად (რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად).

<sup>4</sup> Акты, VII, გვ. 38.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 38.

(ყველა ერთნაირად უვარჯისი), რამდენიც მაზრაა: თბილისის მაზრაში არსებობს საერობო პოლიციის მმართველობა და სამაზრო სასამართლო... დუშეთის მაზრაში—მხოლოდ საერობო პოლიციის მმართველობა; გორის მაზრაში, პირიქით, გარდა იმავე მმართველობისა და სამაზრო სასამართლოს, დანიშნულია კიდევ ოლქის უფროსი; თელავის, სიღნაღისა და ელისევეტპოლის მაზრებში ყველა დაწესებულება გაერთიანებულია ერთ დაწესებულებაში—დროებითს საოლქო სასამართლოში და იქ დანიშნულია აგრეთვე ოლქის უფროსი<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, პასკევიჩის ხაზისა და კერძოდ ამ მოხსენების დედაზრი, როგორც ვხედავთ და როგორც ვამბობდით, ერთის მხრივ იმაში მდგომარეობდა, რომ სამხედრო სისტემა მმართველობისა სამოქალაქო მმართველობის სისტემით შეცვლილიყო, ხოლო მეორე მხრივ იმაში, რომ საქართველოში სავსებით და უცვლელად მართვა-გამგეობის ისეთი წესები შემოეღოთ, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებობდა. ამ წესების შემოღება, მისი აზრით, იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ მაშინ საქართველოს „მცხოვრებნი ეცდებოდნენ უფრო დაახლოვებოდნენ რუსებს“ და მაშინ ისინი „ნაკლებად იქნებოდნენ განსხვავებულნი სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილებისაგან“; „ხოლო ახლა კი—წერდა პასკევიჩი—ძველი ჩვეულებები, ძველი მმართველობის ფორმები და წესები—ყველაფერი ეს მათ მოაგონებთ ცალკე არსებობასა და რუსეთისაგან განსხვავებას“—ო<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ პასკევიჩის პროექტი თავისი მიზანდასახულობით სავსებით მისაღები იყო რუსეთის მთავრობისათვის და სავსებით ემთხვეოდა ამ უკანასკნელის თვალსაზრისს, ხოლო ადმინისტრაციული რაციონალიზმის მხრივ უფრო მეტ უპირატესობას შეიცავდა არა მარტო საქართველოს სინამდვილეში ფაქტიურად მაშინ არსებულ ყოვლად უხეირო მდგომარეობასთან, არამედ ფორმალურად ქალაქებზე არსებულ უფრო ხეირიან მდგომარეობასთან შედარებითაც,—ეს პროექტი მაინც არ დამტკიცებულა და, მაშასადამე, ცხოვრებაშიც არ გატარებულა. მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობის პროექტი, პასკევიჩის მიერ ნაგარაუდგვი, არ განხორციელდა, იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობა ვერ ბედავდა ყველა ადგილობრივი თავისებურების უგულვებელყოფასა და ერთბაშად რუსული კანონების შემოღებას. მთავრობას უკვე ნაგებები ჰქონდა რუსული მმართველობის ნაწილობრივ შემოღების შედეგები—მას არა ერთი და ორი აჯანყების ჩაქრობა მოუხდა ამ დროისათვის, სწორედ დასახელებულ მაზრებში გამოწვეული, და ამიტომ მთავრობას ეშინოდა სავსებით რუსული წესების შემოღებით ხელახალი უკმაყოფილება და აჯანყება არ გამოეწვია. ამასთანავე მალე ამის შემდეგ (1831 წელს) პასკევიჩი გადაყვანილ იქნა სხვაგან, ხოლო მის მაგიერ ახლად დანიშნული როზენი-კი მრავალ შემთხვევაში სრულიად არ იზიარებდა

<sup>1</sup> იქვე, 83-36.

<sup>2</sup> „Все напоминает им отдельное существование и различие от россии“ (Акты, VII, 83-36).



პასკევიჩის პროექტს და მას ამ პროექტის ცხოვრებაში გატარება ნაადრევად მიაჩნდა<sup>1</sup>.

ამრიგად, პასკევიჩის პროექტი განუხორციელებელი დარჩა. პასკევიჩმა მხოლოდ ისღა მოასწრო, რომ მან თავის ნებით შეამცირა მთავრობის ყველა დაწესებულებაში ადგილობრივი ელემენტები და მათ ნაცვლად ყველგან რუსი მოხელეები დააყენა. პასკევიჩმა საკმაოდ ბევრი იზრუნა ავრეთვე საქართველოში ციხეებისა და სატუსალოების მოწყობისათვის. კერძოდ, მის დროსვე იყო მოწყობილი თბილისში პატიმარ ქალებისათვის (ცნობილ კასტელას ფაბრიკასთან) საერთო საცხოვრებელი ყაზარმა. დასასრულ, პასკევიჩის დროსვე შემოღებულ იქნა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ზომა-წონის რუსული ერთეულები.

საერთოდ კი პასკევიჩის პროექტი მხედველობაში იქნა მიღებული მხოლოდ შემდეგში, როდესაც ჯერ სენატორ მეჩნიკოვისა და კუტაისოვის, ხოლო ცოტა გვიან სენატორ ვანის რევიზიების შედეგად, 1840-იან წლებში, გადაწყდა ჩატარებულიყო საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მმართველობის მთელი სისტემის რეორგანიზაცია. მაგრამ ეს რეორგანიზაცია და თვით სენატორ კუტაისოვისა და მეჩნიკოვის, ისევე როგორც სენატორ ვანის, რევიზიები, მმართველობის ისტორიის მეორე პერიოდთან არის დაკავშირებული, და ამიტომ მათ აქ ამაჟამად არ შევხებით.

ვენახით ახლა როგორი ნდგომარეობა იყო შექმნილი ამ დროს მმართველობის მხრივ დასავლეთ საქართველოში (იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში).

## 7

აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ, როგორც ვიცით, ჯერი იმერეთზე მიდგა. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე ერთხანს ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთის შემოტევას და ცდილობდა დაეღწია თავი რუსეთის ბატონობისაგან. მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ძალას დამორჩილებოდა და ეს ბატონობა ეცნო: 1804 წლის 25 აპრილს მან რუსეთის ტახტის ერთგულების ფიცი მიიღო<sup>2</sup>, ხოლო იმავე წლის 4 ივლისს ალექსანდრე I-ის მანიფესტიც გამოვიდა იმერეთის რუსეთთან შეერთების შესახებ<sup>3</sup>. ცოტა გვიან კი იმერეთში შეყვანილ იქნა რუსეთის საოკუპაციო ჯარი. იმერეთში და სამეგრელოში ჯარი შეყვანილ იქნა 1804 წ. ოქტომბერში.

<sup>1</sup> С. Эсадзе, Историческая записка, гв. 68. როზენის აზრით, ამიერ-კავკასიაში ჭველებურად სამხედრო მმართველობა უნდა დარჩენილიყო.

<sup>2</sup> С. Эсадзе, Историческая записка, гв. 30.

<sup>3</sup> Акты, II, гв. 393; ს. ესაძე, იქვე, გვ. 30—31. რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების მიზნით სოლომონ II-მ თავისი ვლჩი სოლომონ ლეონიძე პეტერბურგს გაგზავნა ჯერ კიდევ 1803 წლის აგვისტოს. სოლომონს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის მეფის ვასალობის აღიარებით რუსეთის ბატონობის საფრთხეს ცოტა ხნით აიციდნდა, ხოლო ამასობაში მთელ დასავლეთ საქართველოს შემომტკიცებას მოახერხებდა და ამის შემდეგ კი დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა.

ალექსანდრეს მანიფესტის თანახმად სოლომონ II, მეფის წოდებით, იმერეთის მმართველად უნდა დარჩენილიყო, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტზე ამავე უფლებით მისი მემკვიდრეები, არსებულ წესის მიხედვით, რიგობით რუსეთის მეფის მიერ უნდა დამტკიცებულიყვნენ; ე. ი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ მანიფესტის თანახმად, იმერეთი რუსეთის ვასალურ დამოკიდებულებაში უნდა გადასულიყო ისე, რომ შინაურ საქმეებში ის ძველებურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა დარჩენილიყო<sup>2</sup>.

ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვანაირი იყო, რუსეთის მთავრობას იმთავითვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი იმერეთში მეფობა სრულიად მოესპო და იქ რუსული მმართველობა შემოეღო: როდესაც იმერეთის მეფეს ალექსანდრე დაპირებებს აძლევდა და ტახტზე ამტკიცებდა, იმავე დროს (და მინამდვიც) საქართველოს მთავარსარდალს ციციანოვს ის საიდუმლო განკარგულებებს უგზავნიდა—იმერეთში ჯარი შეეყვანა და მისი ოკუპაცია მოეხდინა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იმერეთში შესვლისთანავე სოლომონს, სხვადასხვა გარემოებების მომიზეზებით, სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება დაუწყეს: მას ხან სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის შევიწროებას უსაყვედურებდნენ, ხან კიდევ თურქეთთან თუ ირანთან კავშირის გაბმას აბრალებდნენ<sup>3</sup>. ბოლოს სოლომონს ფიცის გატეხასა და უპირობაში დასდეს ბრალი—ვითომდა მას რუსეთის მეფისთვის აღთქმული დაპირებები არ შეესრულებინოს<sup>4</sup>, და 1810 წლის 20 თებერვალს ის ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადეს<sup>5</sup>. თვით სოლომონი, რომელიც ისევ ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდა რუსეთს (ციხეებში—მუხური, საპაიჭაო, ჭყვიში, ვარციხე, ბაღდადი), დააპატიმრეს და თბილისში ჩამოიყვანეს<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ტახტის უშუალო მემკვიდრედ, სოლომონის უშვილობის გამო, აღიარებული იყო დავით II-ს შვილი, კონსტანტინე ბატონიშვილი.

<sup>2</sup> ალექსანდრეს მიერ დამტკიცებულ პირობის თანახმად, სოლომონი უარს აცხადებდა ოდიშზე, მაგრამ გურია აღიარებული იყო მის ხელმწიფობის ქვეშ; ხოლო რაც შეეხება ლეჩხუმს, სოლომონს ფორმალურად უფლება ეძლეოდა ისტორიული საბუთები წარმოედგინა იმის შესახებ, რომ ეს მხარე წარსულში (იმ ხანად ლეჩხუმი დადიანის სამფლობელოში შედიოდა) მას ეკუთვნოდა.

<sup>3</sup> აქტს, II, გვ. 359.

<sup>4</sup> აქტს, IV, 193, 218, 219 და შმდ.

<sup>5</sup> „პროკლამაცია“ სოლომონის გადაყენების შესახებ შედგენილ იქნა გენ. სიმონოვიჩის მიერ 1810 წლის 21 იანვარს, მაგრამ ეს პროკლამაცია ქუთაისში გამოცხადებულ იქნა მხოლოდ იმავე წლის 20 თებერვალს (აქტს, IV, გვ. 229, 233). საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობა ჯერ კიდევ 1810 წელს, ე. ი. ოფიციალურად სოლომონის გადაყენებამდე, აწვადებდა პროექტს სოლომონის მოტყუებით რუსეთში გაწვევის შესახებ, მაგრამ ეს პროექტი მაშინ სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, იმის გამო, როგორც ჩანს, რომ რუსეთის მთავრობის ეს განზრახვა სოლომონს გაგებული ჰქონდა (აქტს, IV, გვ. 4).

<sup>6</sup> აქტს, IV, გვ. 235 და შმდ.

ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, რუსული მმართველობა იმერეთში ოფიციალურად და ფაქტიურადაც შემოღებული არ ყოფილა: რუსეთის ჩარევა იმერეთის საშინაო საქმეებში იმ დრომდე მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა რომ იქ, როგორც ვთქვით, რუსის ჯარი იყო შეყვანილი და ამ ჯარის სარდლობა სოლომონ მეფეს უხეშ ფორმებში კონტროლს უწევდა, რათა მას რუსეთის საწინააღმდეგო არა ჩაედინა რა, მაგრამ სოლომონის დაპატიმრებისა<sup>1</sup> და გენერალ სიმონოვიჩის მიერ იმერეთის ციხე-სიმაგრეების აღების შემდეგ<sup>2</sup>, საქართველოს მთავარსარდალმა ტორმასოვმა, პეტერბურგიდან მიღებულ ინსტრუქციის თანახმად, ბრძანება გამოსცა იმერეთში სამეფოს სავსებით გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შესახებ.

ამ დროიდან იმერეთში იწყება იგივე გაუთავებელი ცდები და ექსპერიმენტები რუსული მმართველობის დამკვიდრებისათვის, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში იყო, და ამ დროიდანვე იწყება რუსული მმართველობის ისტორია იმერეთში. ეს ისტორია არსებითად ისეთივეა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ მას ზოგიერთი განსხვავებული მომენტიც ახასიათებს და ამიტომ საჭიროა ეს მომენტები ცალკე აღინიშნოს.

იმერეთის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ პროექტის შემუშავება ტორმასოვმა დაავალა გენერალ სიმონოვიჩს, იმ სიმონოვიჩს, რომელმაც მოახდინა იმერეთის დაპყრობა. მიცემულ დირექტივების თანახმად სიმონოვიჩს ევალდებოდა იმერეთის მოწყობა ძირითადად ისე ევარაუდა, როგორც აღმოსავლეთი საქართველო იყო მოწყობილი.

ამ დირექტივების შესაბამისად, იმავე 1810 წელს გენერალ სიმონოვიჩმა ეს პროექტი შეიმუშავა და განსახილველად წარადგინა კიდევ, ხოლო 1811 წლის 19 აპრილს ამ პროექტის საფუძველზე გამოცემულ იქნა სპეციალური დებულება იმერეთში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ<sup>3</sup>.

ამ დებულების შემოღებას იმერეთში წინ უსწრებდა იმ აჯანყების ჩაქრობა<sup>4</sup>, რომელიც გამოწვეული იყო სწორედ რუსული ხელისუფლების დამყარებითა და რუსული მმართველობის შემოღებით. (რუსული მმართველობის შემოღება კი იმერეთში, როგორც ვთქვით, დაიწყო სამეფოს გაუქმების უმალ, ჯერ კიდევ ხსენებულ დებულების დამტკიცებამდე). ეს მმართველობა გარეგნულად თითქოს ადგილობრივ პირობებისა და ზნეჩვეულებების გათვალისწინებით იყო მოწყობილი, მის სათავეშიც თითქოს იმერეთის თავაკები (ზურაბ წერეთელი, ელიზბარ ერისთავი და სხვები) იყვნენ დაყენებული<sup>5</sup>. მაგრამ ფაქტიურად ხელისუფლებას იმერეთში იმთავითვე სიმონოვიჩი წარმოადგენდა და ეს სიმონოვიჩი განაგებდა საქმეს სამხედრო წესების საფუძველზე.

<sup>1</sup> თბილისში ჩამოყვანილი სოლომონი 1810 წ. 2 ოქტომბერს ოსმალეთს გაიქცა და ხუთი წლის შემდეგ იქ გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე სოლომონს არ შეუწყვეტია რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა.

<sup>2</sup> АКТЫ, IV, გვ. 235 და შმდ.

<sup>3</sup> АКТЫ, IV, საბ. № 494.

<sup>4</sup> АКТЫ, IV, გვ. 246, 322 და შმდ.

<sup>5</sup> АКТЫ, IV, გვ. 238, 245.

ასე რომ, ე. წ. „იმერეთის დროებითი მთავრობა“<sup>1</sup>, რომელიც ხსენებულ დებულების დამტკიცებამდე იყო დაწესებული იმერეთში და რომლის სათავეში ზურაბ წერეთელი იყო დაყენებული, ფიქტიური ამბავი იყო. ნამდვილად კი ამ მთავრობას არაფრის გაკეთება არ შეეძლო და არც გაუკეთებია.

სწორედ ამიტომ იმერეთის „დროებითი მთავრობის“ შექმნის შემდეგ არც კი გაუვლია რამდენიმე კვირას, რომ იმერეთში დაიწყო არეულობა, რომელიც მალე ნამდვილ აჯანყებად გადაიქცა. აჯანყებას მეთაურობდნენ იმერეთში დარჩენილი სოლომონის მომხრეები, ფაქტიურად კი თვით სოლომონი, რომელიც ახალციხის ფაშის დახმარებით განაგრძობდა ბრძოლას რუსეთის მთავრობასთან. მაგრამ აჯანყება მალე ჩაქრობილ იქნა და ამის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ხელახლა შეუდგა იმერეთში რუსული მმართველობის მოწყობას<sup>2</sup>.

მომხდარ ამბებიდან რუსეთის ხელისუფლებამ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ყველაფერი ეს, თითქოს, ადგილობრივ თავადაზნაურების მმართველობის სათავეში დაყენების შედეგი ყოფილიყოს და ამიტომ მთავარსარდალმა ტორმასოვმა სიმონოვიჩის დააეცა ახლა იმერეთში მმართველობა მოეწყო ისე, რომ ამ მმართველობაში ადგილობრივ ელემენტების გამოყენება, რაც შეიძლება, ნაკლებად ყოფილიყო ნაგულისხმევი. სიმონოვიჩმა 1810 წლის ოქტომბერში შეადგინა ის პროექტი, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, და რომლის საფუძველზედაც, როგორც ვთქვით, 1811 წელს გამოცემულ იქნა დებულება იმერეთის შესახებ.

ამ დებულების თანახმად იმერეთის სამეფო გადაკეთებულ იქნა იმერეთის ოლქად. ეს ოლქი იყოფოდა ექვს მაზრად (ოკრუგად): 1. ქუთაისის, 2. საჩხერის, 3. ვაკის, 4. რაჭის, 5. ჩხარისა და 6. ბაღდათის. იმერეთის ოლქის სათავეში მმართველი (რუსი გენერალი) იდგა<sup>3</sup>, ხოლო თვითეული მაზრის (ოკრუგის) სათავეში—მაზრის (ოკრუგის) უფროსი. ოლქის მთავარ ქალაქად ნაგულისხმევი იყო ქუთაისი. ქუთაისშივე უნდა მოწყობილიყო საერთო საოლქო დაწესებულებები: 1. საოლქო მმართველობა, 2. საზოგადოებრივი მხრუნველობის პრიკაზი, 3. საექიმო სამმართველო<sup>4</sup>, 4. საბაჟო კონტორა და 5. საფოსტო კონტორა. აქვე უნდა დაწესებულიყო საოლქო მიწისმზომელისა და კომენდანტის თანამდებობა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Акты, IV, გვ. 255, 263.

<sup>2</sup> ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 71.

<sup>3</sup> იმერეთის ოლქის მმართველი ზოგჯერ ამის შემდეგაც იმერეთის მმართველად (управляющий Имеретией) იწოდებოდა. იმერეთის მმართველებად ჩვენ მიერ აღებულ პერიოდში იყვნენ: სიმონოვიჩი, მერლინი, ხატუნცევი, კურნატოვსკი, გორჩაკოვი, გესსე, ბებუთოვი, ვაკულსკი, ახლესტინჩევი და ვიხარევი (ერთიმეორეზე მიყვალბით).

<sup>4</sup> Врачебная управа.

<sup>5</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 63.

საოლქო მმართველობა შესდგებოდა სამი ექსპედიციისაგან: 1. აღმასრულებელ, 2. სახაზინო და 3. სასამართლო ექსპედიციებისაგან. ოლქის მმართველობის თავჯდომარედ ოლქის მმართველი ითვლებოდა, ხოლო მის წევრებად სამი მრჩეველი რუს მოხელეთაგან. ამ უკანასკნელთ თანაშემწეებად ორ-ორი ასესორი ჰყავდათ იმერელ თავადაზნაურებიდან. დასახელებული ექსპედიციები არსებითად იმავე საფუძველზე იყვნენ მოწყობილი, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს უზენაეს მთავრობის ექსპედიციები. კერძოდ სასამართლო ექსპედიციას, განაგებდა რა ის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებს, სამოქალაქო ნაწილში უნდა ეხელმძღვანელა ვახტანგის კანონებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეების ხაზით—რუსული კანონებით<sup>1</sup>.

მაზრების (ოკრუგების) უფროსები რუსი ოფიცრები იყვნენ. მათ თანაშემწეებად ჰყავდათ ორ-ორი ადგილობრივი თავადი ან აზნაური, რომელთაც მსაჯულები („ზასედატელ“) ეწოდებოდათ. მსაჯულებს ფორმალურად სათანადო მაზრის საზოგადოებები ირჩევდნენ<sup>2</sup>, ხოლო ფაქტიურად ისინი, ისევე როგორც საერთოდ ყველა დაწესებულების მოხელეები, მთავრობის მიერ ინიშნებოდნენ.

ასეთი იყო ფორმალურად მმართველობის ის სისტემა, რომელსაც ჰვულისხმობდა ზემოხსენებული 1811 წლის დებულება. მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა იმერეთში რამდენიმედ სხვანაირი იყო. საქმე ისაა, რომ ეს დებულება ფაქტიურად ცხოვრებაში შემოღებული არ ყოფილა. ამის მიზეზი ერთის მხრივ იმაში მდგომარეობდა, რომ თვით მთავრობა შიშობდა ხსენებულ მმართველობის შემოღებას ხელახლა არ გამოეწვია არეულობა მოსახლეობაში, რომელიც არ იყო მომზადებული ასეთი წესებისათვის და არც სცნობდა ამ წესებს, ხოლო მეორე მხრივ იმაში, რომ ამ მმართველობის შემოღება იმერეთში იმ ხანად არც შეიძლებოდა.

საინტერესოა რომ თვით ამ დებულების ავტორის, ტორმასოვის, მომდევნო საქართველოს მთავარმმართველნიც კი შეუძლებლად სცნობდნენ ხსენებულ დებულების ცხოვრებაში გატარებას. სრული გულახდილობით უნდა მოგახსენოთ,—სწერდა პაულუჩი პოლიციის მინისტრს—რომ ჩემის აზრით რუსეთის გუბერნიებისათვის შემოღებულ კანონებზე დამყარებულ მთავრობის დაწესება იმერეთში შეუძლებელია, რადგან: 1. რუსეთის ხაზინას ასეთი მთავრობის შენახვა იმერეთში უფრო ძვირად დაუჯდება, ვიდრე ის იქიდან შემოსავალს მიიღებს, 2. იმერეთის ხალხის ზნეჩვეულება სრულიად სხვანაირია, ვიდრე რუსეთის ხალხისა, 3. თვით იმერეთის მდგომარეობაც იმნაირია, რომ მისი მაზრებად დაყოფა და იქ წესების დამყარება მოუხერხებელია<sup>3</sup>. იმერეთის მართველთაგანგანგების წესები—სწერდა პაულუჩის მომდევნო მთავარმმართველი რტიშჩევი იმავე პოლიციის მინისტრს—სრულიად სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე რუსეთში, რადგან აქაური ხალხის ხასიათი და ადათი ძირითადად განსხვავდება რუსეთის

<sup>1</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 63.

<sup>2</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 62.

<sup>3</sup> Акты, V, გვ. 92.

ხალხის ხასიათისა და ადათისაგანო<sup>1</sup>. ამის გამო არც პაულუჩის და არც რტიშჩევის სრულიად არ უცდიათ ძალაში შესულიყო ის დებულება, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობდით.

ასევე ქალაქებზე დარჩა ეს დებულება შემდეგი მთავარმმართველების—ერმოლოვის, პასკევიჩისა და როზენის დროსაც, ე. ი. ვიდრე 1840-იან წლებამდე. მაშ როგორ წარმართებოდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები იმერეთში, და ვინ წარმართავდა ამ საქმეებს მთელ ამ ხნის განმავლობაში?

ამ საკითხის გამორკვევა საჭირო სიზუსტით ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს იმიტომ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ოფიციალურ საბუთებში იმერეთში იმ დროს არსებულ ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის სისრულით დაცული, ხოლო რაც დაცულია, ისიც სხვადასხვა საბუთებშია გაფანტული, ხშირად კი ამ საბუთებში აშკარად არასწორი ცნობებია მოცემული. ასე, მაგალითად, ოფიციალურ მიწერ-მოწერაში, იმერეთის მმართველ ორგანოდ დასახელებულია თითქმის ყველგან ხან „იმერეთის ოლქის დროებითი მმართველობა“, ხან კიდევ „იმერეთის დროებითი მთავრობა“, მაშინ როდესაც ნამდვილად არც ასეთი „მმართველობა“ და არც ასეთი „მთავრობა“ ფაქტიურად იმერეთში 1811 წლიდან არ არსებობდა<sup>2</sup>. მაგრამ ამისდა მიუხედავად, რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ იმერეთში დამყარებულ მდგომარეობის სურათის აღდგენა დაახლოებით მაინც შეიძლება. ეს სურათი შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

იმერეთს განაგებდა იმერეთის (ან იმერეთის ოლქის) მმართველი ერთპიროვნულად. ეს მმართველი რუსი გენერალი იყო და ის ამავე დროს იმერეთში მდგომ რუსის ჯარის სარდლადაც ითვლებოდა. მასთან არსებობდა კოლეგიალური ორგანო, ძველი სახელწოდებით—„დივანი“<sup>3</sup>, რომელიც შესდგებოდა ოთხი მდივანბეისაგან—იმერელ თავადაზნაუბრებიდან. „დივანი“ ემორჩილებოდა იმერეთის მმართველს და ერთგვარ სათათბირო ორგანოს წარმოადგენდა. დივნის მოვალეობას შეადგენდა უმთავრესად სამოქალაქო საქმეებისა და საჩივრების გარჩევა, მაგრამ ასეთ საქმეების გარჩევის დროსაც უკმაყოფილო მხარეს უფლება ჰქონდა (და ასეც ხდებოდა) მიემართა მმართველისათვის და ეს უკანასკნელიც საკითხს სწკვეტდა საბოლოოდ: ან ამტკიცებდა დივნის დადგენილებას, თუ მას ეთანხმებოდა, ან კიდევ თავის ნებით შეცვლიდა ხოლმე ამ დადგენილებას. სისხლის სამართლის საქმეებს კი მმართველი საშხედრო სასამართლოს უგზავნიდა და, ამ უკანასკნელის მიერ გარჩევის შემდეგ, ეს საქმეები ისევე მმართველს უბრუნდებოდა იმისათვის, რომ მას მსჯავრი დაედო და დამნაშავეისათვის შესაფერი (თავის სურვილის მიხედვით) სასჯელი შეერჩია.

<sup>1</sup> ARTI, V, გვ. 471.

<sup>2</sup> ARTI, V, საბ. № 580.

<sup>3</sup> დივანს ადგილობრივი მოსახლეობა „რჩევასაც“ უწოდებდა (ი. მეუნარგია სამეგრელო დავით დადიანის დროს, 1939 წ. გვ. 122).

1811 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ<sup>1</sup> ზოგიერთ მაზრაში (ოკრუგებში) დანიშნულ იქნენ მაზრის (ოკრუგის) უფროსები რუს ოფიცრებიდან. თვითნაყოფი ოკრუგის უფროსს ჰყავდა ორ-ორი თანაშემწე ადგილობრივ აზნაურებიდან და მათ განკარგულებაში იყო ჯარის ნაწილები, რათა არეულობის შემთხვევაში აჯანყების ჩაქრობა სასწრაფოდ ყოფილიყო შესაძლებელი. ოკრუგის უფროსებს დაქირებული ჰქონდათ, როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო და საფინანსო ფუნქციებიც—მათ მოვალეობას, სახელდობრ, შეადგენდა „ხალხის პოლიტიკურ განწყობილებისათვის“ თვალყურის დევნება, დამნაშავეთა დაბრუნება, გამოძიების მოხდენა, გადასახადების აკრეფა და ზოგიერთ საქმეების ადგილზე გარჩევაც კი. სოფლებში მმართველობის საქმე ძველებურად მოურავების ხელში იყო<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, მთელი ადმინისტრაციული, სასამართლო და ფინანსური საქმეები იმერეთში არსებითად ცალკე პირთა (რუს სამხედრო მოხელეთა) ხელში იყო მოქცეული და ეს პირები ფაქტურად თავისი პირადი სურვილის მიხედვით განაგებდნენ ქვეყანას. ასეთი მდგომარეობა თავისთავად ჰგულისხმობდა იმას, რომ ამ თანამდებობის პირთა მხრივ ფართოდ უნდა ჰქონოდა ადგილი ყოველგვარ თვითნებობას, ბოროტმოქმედებასა და ძალმომრეობას მოსახლეობაზე, მით უფრო, რომ პოლიტიკური რწმენისა და ზნეობრივი თვალსაზრისით იმერეთში დაყენებული რუსი მოხელეები, ისევე როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოში იყო, ერთობ დაბალ დონეზე იდგნენ. მართლაც, ოფიციალურ საბუთებში არა ერთხელ გვხვდება წინადადება იმის შესახებ, რომ ეს მოხელეები ფართოდ ეწეოდნენ ბოროტმოქმედებასა და თვითნებობას, კერძოდ, მექრთამეობას, და ამ გზით დიდ ქონებასაც კი იძენდნენ<sup>3</sup>.

ერმოლოვის დროს, სახელდობრ 1819–1820 წლებში, იმერეთში ადგილი ჰქონდა დიდ აჯანყებას, რომელიც იმავე წელს თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. ამ აჯანყების მიზეზი იმ ეროვნულ და ეკონომიურ ჩაგვრაში მდგომარეობდა, რომელსაც ამ დროს იმერეთის მოსახლეობა განიცდიდა გაბატონებულ კლასებისაგან ერთის მხრივ და რუსეთის ჯარის სამხედრო ოკუპაციისაგან მეორე მხრივ. მაგრამ უშუალო საბაბს ამ არეულობისას წარმოადგენდა საქართველოს ეკზარხოსად ახლადდანიშნულ მიტროპოლიტ თეოფილაქტეს მიერ გადადგმული ნაბიჯები იმისათვის, რომ იმერეთის საეკლესიო ქონება აწერილიყო და საბოლოო ანგარიშში ხაზინის კუთვნილებად გადაქცეულიყო. ასე იყო თუ ისე, ეს აჯანყება მალე ჩაქრობილ იქნა რუსის ჯარის ხიშტებით. ხოლო აჯანყების ჩაქრობის შედეგი მმართველობის დარგში ის იყო, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნა სამხედრო დიქტატურა და სამხედრო წესი მართვა-გამგეობისა.

<sup>1</sup> 1811 წლის აჯანყებისა და ამ აჯანყების ჩაქრობის პერიოდი იმერეთში დაემთხვა მთელ რიგ სახალხო უბედურებას: ამ წლებში იმერეთში ადგილი ჰქონდა მოუსავლიანობას, შიმშილს, წყალდიდობას და ჭირის გავრცელებას (Акты, V, გვ. 490–494).

<sup>2</sup> В. Иваненко, იქვე, გვ. 94.

<sup>3</sup> Акты, V, საბ. № 276.

ბასკევიჩის დროს იმერეთში არსებულ მდგომარეობას სენატორები კუტაისოვი და მეჩნიკოვი შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „ამჟამად იმერეთს განაგებს იგივე დროებითი მთავრობა, რომელსაც 1814 წელს საფუძველი ჩაუყარა მთავარმმართველ რტიშჩევის თვითნებობამ, ამ მმართველობაში თავმოყრილია სასამართლო, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, საფინანსო და საბაჟო ნაწილიც კი. სამოქალაქო საქმეებს ის წვეტს ზოგჯერ რუსული კანონების მიხედვით, ზოგჯერ ქართული კანონების მიხედვით, ხოლო ზოგჯერ ადათების მიხედვით. სისხლის სამართლის საქმეები განიხილება სამხედრო სასამართლოს კომისიის მიერ. იმერეთის ოკრუგები ექვემდებარებიან ოკრუგის უფროსებსა და მათ თანაშემწეებს... ყველაფერი ეს ექვემდებარება იმერეთის მმართველს სამხედრო გენერლებიდან“<sup>1</sup>.

ამ მდგომარეობაში დარჩა იმერეთი თითქმის სრულიად უცვლელად 1840-იან წლებამდე.

8

იმერეთის შემდეგ რუსეთმა პირველ რიგში გურია შეიერთა. გურიაში მთავრად ამ დროს მამია გურიელი იყო<sup>2</sup>. მაგრამ მამია გურიელი ჯერ მცირეწლოვანად ითვლებოდა და მის მაგიერ სამთავროს მისი ბიძა ქაიხოსრო განაგებდა. 1804 წლის 29 მაისს, როგორც კი იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ რუსეთის ქვეშევრდომობაზე ფიცი მიიღო, მთავარმმართველმა ციციანოვმა გურიელს ოფიციალური წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესულიყო, რადგან გურია იმერეთის სამეფოს პროვინციას წარმოადგენს და იმერეთის რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასვლის შემდეგ ეს თავისთავად იგულისხმება<sup>3</sup>. გურიელმაც ქართული ანდაზისა არ იყოს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და იმავე 1804 წელს რუსეთის მეფის ტახტის ერთგულებაზე ფიცი მიიღო. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1810 წლის 19 ივნისს საქართველოს მთავარმმართველს ტორმასოვს თავისი „თხოვნითი პირობები“<sup>4</sup> წარუდგინა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გურია რუსეთთან შეერთებული.

თავის პირობებში მამია გურიელი ითხოვდა შემდეგს: 1. გურია მთლიანად გადადიოდა რუსეთის სამუდამო ქვეშევრდომობაში, 2. გურიის მთავრად მამია გურიელი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი კანონიერი მემკვიდრეები მტკიცდებოდნენ, 3. გურიელი დამოუკიდებლად განაგებდა სამთავროს შინაგან

<sup>1</sup> Акты, VIII, гл. 3; VII, саბუთи № 321.

<sup>2</sup> მამია გურიელი იყო გიორგი გიორგისძის შვილის სიმონ გურიელის შვილი. მას ჰყავდა ოთხი ბიძა (ვახტანგი, ქაიხოსრო, ლევან და დავითი), რომელნიც ერთიმეორეს ეცილებოდნენ გურიის სამთავრო ტახტს.

<sup>3</sup> Акты, II, гл. 540 და 541.

<sup>4</sup> Просительные пункты.



საქმეებს (გარდა სიკვდილით დასჯის საქმეებისა, რომელიც იმერეთის მმართველის მიერ დანიშნულ სამხედრო სასამართლოს კომპეტენციას შეადგენდა), 4. გურიას გარეშე მტრებისაგან დაცევადა რუსეთის ჯარი, რომლის ნაწილები მუდმივად გურიაში იქნებოდნენ დაყენებულნი, 5. გურიაში რუსეთის ხელისუფლების მიერ მადნების დამუშავების შემთხვევაში გურიელს წილი დაედებოდა, 6. ასევე გურიაში ქალაქის გაშენების შემთხვევაშიც, 7. გურიელი დაემორჩილებოდა საქართველოს მთავარმმართველს, 8. გურიელი ვალდებული იყო რუსის ჯარისათვის მიეცა სურსათ-სანოვავე, ბინა, "შეშა და სანთელი". ე. ი. მთავარი, რასაც გურიელი თავის „თხოვნით პირობებში“ მოითხოვდა, მდგომარეობდა იმაში, რომ გურია შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი ყოფილიყო, ხოლო მისთვისა და მის მემკვიდრეებისათვისაც მთავრის უფლება და ხარისხი სამუდამოდ დაეტოვებინა.

რუსეთის მეფემ ალექსანდრე პირველმა მამია გურიელის თხოვნითი მუხლები მთლიანად შეიწყნარა და 1811 წლის 8 აპრილს სპეციალური სიკვლით აუწყა მას, რომ გურია სამუდამოდ რუსეთს უერთდებოდა, ხოლო თვით მამია გურიელი გურიის მთავრად იყო დატოვებული, როგორც რუსეთის მეფის ვასალი და ქვეშევრდომი. ამასთანავე გურიელს გამოეგზავნა ხმალი და დროშა რუსეთის ღერბის გამოხატულებით<sup>1</sup>, როგორც საინვესტიტურო ნიშნები, სიუხერენისაგან ვასალისათვის ბოძებული.

ნამდვილად კი ამ შემთხვევაშიც საქმის ფაქტობრივი ვითარება სხვანაირი იყო. რუსეთს სათუოდ არ ჰქონდა გურიის სამთავროს მოსპობა და იქ რუსული მმართველობის შემოღება. მაგრამ ამაყმად მეფის ხელისუფლებისათვის საჭირო იყო გურიელის მომადლიერება ჯერ ერთი იმ მიზნით, რომ იმერეთის დაპყრობა, რომელიც ამ დროს ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, არ გართულებულიყო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, გურიელს შეეძლო იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს გვერდში ამოდგომოდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში<sup>2</sup>; მეორეც იმიტომ, რომ მამია გურიელმა რუსის ჯარს ფოთის ციხის აღების საქმეში (1809 წელს) თურქების წინააღმდეგ დახმარება გაუწია და საჭირო იყო ამის საკომპენსაციოდ მისთვის წყალობის გაღება, მით უფრო, რომ თვით მამია გურიელი ამ ფაქტს, როგორც რუსეთის ხელისუფლების წინაშე ამავს, არა ერთხელ მოაგონებდა მთავრობას<sup>3</sup> იმისათვის სწორედ, რომ ამ უკანასკნელს შესაფერისად დაეფასებინა გურიელის ეს ამავი. ამას გარდა გურიის, როგორც თურქეთის მოსახლერე ქვეყნის, ერთბაშად შემოერთებას და იქ ამ ნიადაგზე (მოსალოდნელ) უკმაყოფილების შექმნას შეეძლო თურქეთთან რუსეთის ურთიერთობის საქმე გაერთულებინა.

<sup>1</sup> Акты, IV, გვ. 438. მამია გურიელის თხოვნითი პირობები ნაკარნახევი იყო თვით რუსეთის ხელისუფლების მიერ.

<sup>2</sup> Акты, IV, გვ. 443.

<sup>3</sup> თურქეთს გაქცეული სოლომონ მეორე ამ დროს ისევ განაგრძობდა ახალციხის დაშლა და თურქეთის ხონთქარის წაქეზებით თუ დახმარებით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას.

<sup>4</sup> Акты, IV, გვ. 432.

რომ სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა მეფის მთავრობა, როდესაც ის უყოყმანოდ გურიელის მოთხოვნებიდან აკმაყოფილებდა, ეს რუსეთის მთავრობის საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროების მიმართ ჩადენილ საქციელიდანაც თავისთავად ცხადი იყო, მაგრამ ეს მალე გამოაშკარავდა საესვებით მას შემდეგ, რაც მამია გურიელი გარდაიცვალა.

მამია გურიელი გარდაიცვალა 1826 წლის 21 ნოემბერს და, გარდაიცვალა თუ არა ის, რუსეთმა მაშინვე ისარგებლა მისი მემკვიდრის დავითის მცირეწლოვანობითა და გურიელის კართან არსებული შინაური უთანხმოებით თუ სამთავროს ტახტის გარშემო ატეხილი დავით, და წინასწარ, ვიდრე იქ მთლიანად რუსული მმართველობა იქნებოდა შემოღებული, გურიელობა ფაქტიურად გააუქმა. მის ნაცვლად შემოღებულ იქნა, იმერეთის მსგავსად, ეგრეთწოდებული დროებითი მმართველობა, „საბჰოს“ სახელწოდებით<sup>1</sup>. საბჰოში<sup>2</sup> შეყვანილ იქნენ რუსეთის ერთგულებით ცნობილი ადგილობრივი თავადები, ზოლო ტაქტიკური მოსაზრებით (რომ ადგილობრივად უკმაყოფილება არ შექმნილიყო) ზოგიერთი მოწინააღმდეგენიც: ვახტანგ ერისთავი, დავით მაჭუტაძე, სიმონ გუგუშავა, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი და გიორგი თავდგირიძე<sup>3</sup>. მაგრამ, რომ მთავრობის განზრახვაში ადგილობრივად ეჭვი არავის არ შეჰპარებოდა, საბჰოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა თვით მამია გურიელის ქვრივი სოფიო. „მე საესვებით ვიზიარებ [თქვენს] განკარგულებას იმის შესახებ, რომ გურიაში პირველ შემთხვევისათვის, ამის თაობაზე გენერალ ერმოლოვის საგანგებო განკარგულებამდე, ადგილობრივ ცნობილ თავადებისაგან შემდგარი დროებითი მმართველობა იქნეს შემოღებული—სწერდა 1826 წლის 21 ნოემბერს გენერალი ველიამინოვი ბებუთოვს—მაგრამ რომ აცილებულ იქნას ეჭვი მთავრობის განზრახვაზე ამ სამთავროს მითვისების შესახებ, არა უსარგებლოდ მიმაჩნია ამ დროებითი მმართველობაში მონაწილეობდეს [მამია გურიელის] ქვრივიც“—ო<sup>4</sup>.

დროებით მმართველობას დაარსებისთანავე შემდეგი „დარიგება“<sup>5</sup> თუ ღებულება მიეცა: 1. მამია სიმონისძე გურიელის გარდაცვალების გამო გურიაში არსდება „გურიის სამთავროს მმართველობის საბჰო“, 2. საბჰო შესდგება ექვსი წევრისაგან და მის თავმჯდომარედ ითვლება გარდაცვლილი გურიელის მეუღლე—სოფიო, 3. საბჰოს წევრებს ირჩევენ მისი თავმჯდომარე და იმერეთის მმართველი გურიის იმ თავადებიდან, რომელთაც ღვაწლი მიუძღვით რუსეთის მთავრობის წინაშე და ცნობილი არიან როგორც რუსეთის მომხრენი; მათ ამტკიცებს საქართველოს მთავარმმართველი, 4. საბჰოს არსებობა ნაგულის-

<sup>1</sup> Акты, VI, გვ. 680.

<sup>2</sup> „საბჰოს“, როგორც ჩანს, გურიაშიც (იმერეთის მსგავსად) „რჩევას“ უწოდებდნენ.

<sup>3</sup> Акты, VI, გვ. 679. მათ შორის რუსეთის მთავრობის მომხრეებად ითვლებოდნენ ვახტანგი და გიორგი ერისთავი (იქვე, გვ. 678).

<sup>4</sup> Акты, VI, გვ. 673.

<sup>5</sup> Наставление.

ხმევია, იმ დრომდე, როდესაც გურიელის მემკვიდრე დავითი, რომელიც ამჟამად რეა წლისა არის, სრულწლოვანი გახდება, 5. საბჭოს კომპეტენციაში შედის სათავროს შინაგანი (სამოქალაქო, სასამართლო და ადმინისტრაციული) საქმეების განხილვა, თანახმად მამია გურიელის თხოვნითი პირობების შესამე მუხლისა, მაგრამ მძიმე დანაშაულის საქმეებს საბჭო უგზავნის იმერეთის მმართველს, 6. საბჭო საქმეებს სწყვეტს ხმის უმეტესობით, მაგრამ ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, საკითხის გადაწყვეტა იმ მხარის სასარგებლოდ ხდება, რომელსაც თავმჯდომარე ემხრობა, 7. საბჭოს ევალება აწარმოოს წერილობითი აღრიცხვა და ფიქსაცია გარჩეულ საქმეებისა, საიდანაც უნდა ჩანდეს, თუ რა საქმე გაიარა და რით დამთავრდა ის, 8. ყველა საჩივარი და საქმის ქალაქი მიმართული უნდა იყოს თვით საბჭოს და არა რომელიმე მისი წევრის ან თავმჯდომარის სახელზე, 9. უკეთუ საბჭო საჭიროდ დაინახავს დაარსდეს გურიაში რომელიმე ახალი დაწესებულება, ის ამის შესახებ თავის მოხსენებებს წარუდგენს იმერეთის მმართველს, ხოლო ეს უკანასკნელი საქართველოს მთავარმმართველს, 10. საბჭოს ევალება ზუსტად შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც ნაგულისხმევია განსვენებულ მამია გურიელის თხოვნით პირობებში<sup>1</sup>.

ამ „დარიგებაში“ ჩამოთვლილ მუხლებიდან თავისთავად ცხადია, თუ როგორი უფლებებით იყო აღჭურვილი გურიის მმართველობის საბჭო და რამიზანი ჰქონდა მთავრობას, როდესაც ის ამ საბჭოს აწესებდა. ეს საბჭო წარმოადგენდა ისეთ ორგანოს, რომელსაც უფლება ჰქონდა განეხილა მხოლოდ უბრალო საქმეები და ისიც მთავრობის კონტროლის ქვეშ. თვით საბჭოს თავმჯდომარის უფლებები სასტიკად იყო შეკვეცილი და მას არ შეეძლო ერთპიროვნულად განეხილა რაიმე, თუნდაც მცირე მნიშვნელობის საკითხი. ყველაფრიდან ცხადი იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება გურიელის ქვრივს სოფიოს და ადგილობრივ თავადებსაც (ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ მათგანს) სრულიად არ ენდობოდა და თუ, ამისდა მიუხედავად, მათ ადგილობრივ მთავრობის სათავეში აყენებდა, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი ნამდვილი ზრახვები დამალა. შექმნილი მდგომარეობა ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან გურიის საქმეები რუსულ ხელისუფლებას უნდა განეგო ისე, როგორც ამას ამ უკანასკნელის ინტერესები მოითხოვდა.

ასე იყო თუ ისე, ხსენებულმა საბჭომ ამ სახით იარსება მხოლოდ რამდენიმე წელიწადი, სახელდობრ 1828 წლამდე, როდესაც გურიელის ქვრივი სოფიო, რუს მოხელეთა თუ სამხედრო პირთა მიერ შევიწროვებული<sup>2</sup> და თურქეთის ხონთქრის მიერ დაიმიელებული, მემკვიდრითურთ გაიქცა ჯერ ახალციხეს, სოლო შემდეგ ტრაპიზონს<sup>3</sup>. მთავრობამ მაშინვე ხელზე დაი-

<sup>1</sup> Акты, VI, გვ. 680.

<sup>2</sup> სოფიოს თურქეთში გაქცევას წინ უსწრებდა გენერალ გესეს მიერ გურიაში ჯარების შეყვანა და სოფიოსთვის შერაცხეყოფის მიყენება (Акты, VIII, გვ. 441).

<sup>3</sup> Акты, VII, გვ. 415; VIII, გვ. 440.

ხვია ეს გარემოება და გურიის სამთავრო ფორმალურადაც სრულიად გააუქმა. ახლა პასკევიჩის განკარგულებით გურიაში დაწესებული დროებითი მმართველობის თავმჯდომარედ, სოფიოს ნაცვლად, დანიშნულ იქნა რუსი ოფიცერი პოდპოლკოვნიკი კულიაბკა, ხოლო საბჭოში შეყვანილ იქნენ მთლიანად რუსეთის მომხრე ადგილობრივი თავადები<sup>1</sup>.

პირველ ხანებში დროებითი მმართველობა მოქმედებდა დედამისთან გაქცეულ მცირეწლოვან დავით გურიელის სახელით. ეს იმ მოსაზრებით, რომ რუსული მმართველობის შემოღებით ადგილობრივად უკმაყოფილება არ გამოეწვიათ, და მეორეც იმ მიზნით, რომ თურქეთში გაქცეულ სოფიოსა და დავით გურიელის უკან დაბრუნება შესაძლებელი ყოფილიყო. ამაში კი რუსეთის მთავრობა იმ მხრივ იყო დაინტერესებული, რომ გურიის სამთავროს საკითხს ოსმალეთთან ურთიერთობის საქმეში რაიმე გავლენა არ ჰქონებოდა. მაგრამ, როდესაც (1829 წელს) სოფიო ტრაპიზონში გარდაიცვალა, ხოლო დავით გურიელი (1832 წელს) რუსეთის მთავრობის ნებართვით თურქეთიდან მართლაც დაბრუნდა, დავითი პეტერბურგს (პაჟთა კორპუსში) გაგზავნეს<sup>2</sup>, გურიის სამთავრო კი გურიის ოლქად<sup>3</sup> გადააკეთეს და იქ საეცხებით რუსული მმართველობა შემოიღეს იმავე საფუძველზე, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში იყო.

ამ მდგომარეობაში დარჩა გურია 1840-იან წლებამდე.

9

დასავლეთ საქართველოს დანარჩენ (სვანეთის, სამეგრელოს, აფხაზეთის) სამთავროებში ჩვენ მიერ აღებული (პირველი) პერიოდის მანძილზე მდგომარეობა არსებითად თითქმის არ შეცვლილა და იქ რუსული მმართველობა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ შემოიღიათ, მაგრამ რუსეთი მთელ ამ ხნის განმავლობაში გამუდმებით ცდილობდა ყოველგვარი შემთხვევა და საბაბი გამოეყენებინა იმისათვის, რომ იქ თავისი გავლენა თანდათანობით გაეძლიერებინა. ამ მიზნით მეფის მთავრობა სასტიკ მეთვალყურეობას უწევდა ამ სამთავროებს, განსაკუთრებით სამეგრელოსა და აფხაზეთს, რათა ისინი მისი ერთგული ყოფილიყვნენ და თურქეთთან თუ ირანთან მათ რაიმე კავშირი არ გაეხათ, თავის მხრივ ეს სამთავროებიც ცდილობდნენ რუსეთის ქვეშევრდომობის აღიარებით და ვასალად თავიანთი თავის გამოცხადებით, შინაურ მმართველობაში მიიხრდნენ დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ და ამგვარად არსებობის ვალა გაეხანგრძლივებინათ.

<sup>1</sup> Акты, VIII, гл. 416, 417.

<sup>2</sup> შემდეგში (1839 წელს) დავითი, როგორც რუსი ოფიცერი, მოკლულ იქნა ლეკებთან ბრძოლაში—ახლგოს ალბის დროს დაღისტანში.

<sup>3</sup> Гурійская область.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ამ სამთავროებმა, განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებმა, საკმაო მოხერხება, ტაქტი და ელასტიკურობა გამოიჩინეს და, როგორც ცნობილია, სწორედ ასეთი ტაქტიკისა და ელასტიკურობის წყალობით მათ მოახერხეს ის, რომ დარჩნენ დამოუკიდებლად საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროებზე უფრო დიდხანს<sup>1</sup>.

მაგრამ ეს „ტაქტი“ და „მოხერხება“, რათქმუნდა, ყოველთვის დასახელებულ სამთავროების მეთაურთა პოლიტიკური თუ დიპლომატიური ნიჭის შედეგი არ ყოფილა. აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროების შემოერთებისა და იქ რუსული მმართველობის შემოღების დაგვიანების მიზეზი უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ამ სამთავროებზე თავის პრეტენზიებს აცხადებდა თურქეთი, ხოლო რუსეთს პირველ ხანებში არ უნდოდა აფხაზეთისა და სამეგრელოს გულისთვის ურთიერთობა გაემწვაეებინა თურქეთთან იმ დრომდე, ვიდრე ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა. რომ სწორედ ასე იყო, ჩანს იქიდან, რომ მაშინვე, როგორც კი რუსეთმა თურქეთთან ურთიერთობის საკითხი მოგვარებულად ჩათვალა, მან სამეგრელოსა და აფხაზეთის საკითხი იმგვარადვე გადასჭრა, როგორც საქართველოს დანარჩენ სამთავრო-სამეფოების საკითხი. უფრო ადრე ეს მოხდა სამეგრელოს მიმართ, რადგან ერთის მხრით სამეგრელოზე თურქეთის პრეტენზიები შედარებით ნაკლები იყო, ხოლო მეორე მხრივ სამეგრელოში რუსეთის მიერ ფეხის მოკიდება, მისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო.

იმ დროს, როდესაც რუსები საქართველოში დამკვიდრდნენ, სამეგრელოს მთავრად გრიგოლ კაციასძე დადიანი (1788—1804) იყო. გრიგოლ დადიანი ფორმალურად რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა 1803 წლის 4 დეკემბერს, როდესაც მან ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორის სახელზე თხოვნის სახით შედგენილ პირობების მუხლებს. მაგრამ იმ ხანებში საქმე მხოლოდ ამით დამთავრდა და სამეგრელოს მდგომარეობაში მმართველობის მხრივ ფაქტიურად თითქმის არაფერი ცვლილებები არ მომხდარა. ალექსანდრე პირველმა გრიგოლ დადიანის თხოვნის პირობები დაამტკიცა და ის თავის შემკვიდრებებითურთ სამეგრელოს მთავრად აღიარა. პირობების დამტკიცებისას გრიგოლს ებოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი, ხმალი და დროშა.

ამ პირობების თანახმად ყოველ ახალ მთავარს, რომელიც სამეგრელოს სამთავრო ტახტზე გრიგოლის შემდეგ ავიდოდა, რუსეთის მეფის დამტკიცება უნდა მიეღო და ამის ნიშნად მასაც სამთავრო დროშა და ხმალი უნდა მისცემოდა იმგვარად, როგორც ეს საერთოდ შემოღებული ჰქონდა რუსეთის მთავრობას, ვითარცა წინასწარი ნაბიჯი, საქართველოს სამეფო-სამთავროების გაუქმების

<sup>1</sup> აფხაზეთის სამთავრო გაუქმებულ იქნა 1864 წელს, ხოლო სამეგრელოს სამთავრო— 1867 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოს ყველა დანარჩენი სამეფო-სამთავრო უკვე გაუქმებული და რუსეთთან შეერთებული იყო, თუმცა ორივე სამთავროში რუსული მმართველობა ფაქტიურად გაცილებით ამაზე ადრე იყო შემოღებული.

დროს. ამავე პირობების თანახმად სამეგრელოს სამთავროში უნდა დამდგარიყო რუსის ჯარი; რუსების მიერ სამეგრელოში მადნეულობის დამუშავებისა ან ახალი ქალაქის აშენებისას, შემოსავლის ერთი ნაწილი სამეგრელოს მთავარს უნდა მისცემოდა, ხოლო თუ რუსები სამეგრელოში შავ ზღვაზე ახალ ნავთსადგურს მოაწყობდნენ (გარდა ანაკლიისა და ყულევისა), ამ ნავთსადგურის საბაჟო შემოსავალი უნდა ჩარიცხულიყო რუსეთის ხაზინაში, გარკვეული წილის მისთვისაც დადებით<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, გრიგოლ დადიანის თხოვნითი მუხლები არსებითად ისეთივე იყო, როგორც სოლომონ მეფისა და მამია გურიელის თხოვნითი მუხლები.

გრიგოლ დადიანის სიკვდილის შემდეგ (1804 წლის 30 ოქტომბერს) სამეგრელოს მთავრად, დასახელდებულ პირობის თანახმად, რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ იქნა მისი მემკვიდრე, თორმეტი წლის ლევანი. მაგრამ, ამ უკანასკნელის მცირეწლოვანების გამო, სამეგრელოშიც დაარსებულ იქნა „საბჭო“<sup>2</sup>, რომლის თავმჯდომარედ გრიგოლის ქვრივი და ლევანის დედა, დედოფალი ნინო ითვლებოდა, ხოლო წვევრებად—ადგილობრივი თავადები: ნიკო დადიანი (დიდ ნიკოდ წოდებული), ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონი, სახლთხუცესი გიორგი ჩიქოვანი და ლეჩხუმის მოურავი<sup>3</sup> ბერი გელოვანი<sup>4</sup>. საბჭოს მოქმედებას კონტროლს უწევდა საქართველოს მთავარმმართველი, მაგრამ სამეგრელოს საშინაო საქმეებში მანცდამანც არავინ არ ერეოდა. ლევანი მთავრობდა 1840 წლამდე, როდესაც მისი სურვილისა და რუსეთის მეფის თანხმობით, სამეგრელოს სამთავროს ტახტზე დამტკიცებულ იქნა ლევანის ძე, რუსეთში აღზრდილი დავით დადიანი (1840—1853)<sup>5</sup>.

ლევანის დროს რუსული მმართველობა, როგორც ვთქვით, სამეგრელოში არ შემოუღლიათ, იქ მხოლოდ რუსული ჯარები იყო შეყვანილი. მაგრამ სამაგიეროდ ეს მმართველობა შემოღებულ იქნა სამეგრელოს პროვინციაში—სამურზაყანოში. სამურზაყანო სამეგრელოს სამთავროს ექვემდებარებოდა 1813 წლიდან, როდესაც სამურზაყანოს უკანასკნელი ბატონის (შარვაშიძეებიდან) გარდაცვალების შემდეგ ეს მხარე შემოიმტკიცა სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა<sup>6</sup>. მაგრამ აფხაზეთის მთავრები სამურზაყანოზე მუდამ თავიანთ პრეტენზიებს აცხადებდნენ, რადგან ეს მხარე ისტორიულად (1813 წლამდე) აფხაზეთს უფრო ეკუთვნოდა. 1840-იან წლებში რუსეთის მთავრობამ ისარგებლა ლევან დადიანსა და აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძეს შორის

<sup>1</sup> АКТЫ, II, გვ. 460—461.

<sup>2</sup> სამეგრელოში ამ საბჭოს ხოჯჯერ „რჩევას“, ხოჯჯერ კიდევ „საჯანზახოს“ უწოდებდნენ.

<sup>3</sup> ლეჩხუმი გრიგოლ დადიანმა შემოიერთა თავის სიკვდილის წინ, 1804 წლის დასაწყისში.

<sup>4</sup> АКТЫ, II, გვ. 504.

<sup>5</sup> დავით დადიანი სამეგრელოს მთავრის ლევანის მემკვიდრედ რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ იქნა 1831 წელს (АКТЫ, VII, გვ. 399; ი. მეუნარჯია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, 1939 წ., გვ. 3), ხოლო სამთავრო ტახტზე ავიდა 1840 წელს (АКТЫ, IX, გვ. 181).

<sup>6</sup> С. Э с а д з е, Историческая записка, გვ. 106; ССКГ, III, გვ. 23—24.

არსებული უთანხმოებით და სამურზაყანოში საბოქაულო დააწესა<sup>1</sup>, ხოლო ლევან დადიანს ამის საკომპენსაციოდ 25 ათასი მანეთი მიეცა<sup>2</sup>. ლევან დადიანის დროსვე რუსეთის მთავრობას გადაეცა შავი ზღვის ნავოსადგურები— ყულევი და ანაკლია, რისთვისაც ლევან დადიანს ყოველწლიურად 12 ათასი მანეთი დაენიშნა<sup>3</sup>.

\* \* \*

სამეგრელოსთან ერთად რუსეთის მთავრობა ცდილობდა შემოემტკიცებინა აფხაზეთიც, მაგრამ აფხაზეთის შემოერთებას რუსეთი განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებოდა, რათა თურქეთთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა.

აფხაზეთში XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც რუსები საქართველოში შემოვიდნენ, მთავრად ქელეშ-აჰმედ-ბეგ შარვაშიძე ითვლებოდა. ქელეშ შარვაშიძე მოკლულ იქნა სოხუმის ფაშის შეგულიანებით მისი შვილის ასლან ბეგისაგან შეჩენილ კაცების მიერ 1808 წლის 2 მაისს. ქელეშ-ბეგთან ერთად იმავე დროს მოკლულ იქნა ორი მისი შვილი. მოკვლაში უშუალო მონაწილეობას იღებდა თვით ასლან-ბეგი. ქელეშ ბეგის მოკვლის შემდეგ ასლან-ბეგმა თავისი თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა<sup>4</sup>. მაგრამ ასლან-ბეგს წინ აღუდგა მისი ძმა საფარ-ბეგ შარვაშიძე, ქრისტიანობის მიღების შემდეგ გიორგიდ წოდებული<sup>5</sup>. გიორგი შარვაშიძემ, რომ სამთავრო ტახტი თავის ძმის ასლან-ბეგისათვის წაერთმია და თავისთვის დაემკვიდრებინა, 1808 წლის 12 აგვისტოს, სამეგრელოს დედოფლის ნინოს რჩევითა და შუამავლობით, რუსეთის მთავრობას ქვეშევრდომად მიღების შესახებ თხოვნა და თხოვნის მუხლები წარუდგინა<sup>6</sup>. გიორგის თხოვნითი მუხლები დაახლოებით იმავე პირობებში ჰვულისხმობდა აფხაზეთის შესვლას რუსეთის ქვეშევრდომობაში, რა პირობებშიც სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის მიერ თავის დროზე წარდგენილი თხოვნითი მუხლები<sup>7</sup>.

<sup>1</sup> სამურზაყანოში ბოქაულად დანიშნულ იქნა რუსი სამხედრო პირი—შტაბს-კაპიტანი კირილოვი, მას ყავდა ერთი თარჯიმანი და ოთხი იასაული. სამურზაყანოს ბოქაული ექვემდებარებოდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს. (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარი გვექნება გამოკვლევის მეორე ნაწილში).

<sup>2</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 108. სამურზაყანოს მფლობელებმა (ლევან და მანუჩარ შარვაშიძეებმა) ფორმალურად რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს (სამეგრელოს მთავრის ზეგავლენითა და რჩევით) ჯერ კიდევ 1805 წელს.

<sup>3</sup> ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 406.

<sup>4</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 104; *Акты*, III, გვ. 201.

<sup>5</sup> გიორგი შარვაშიძე რუსეთის ორიენტაციის მომხრედ ითვლებოდა.

<sup>6</sup> მსგავსი თხოვნითი მუხლები რუსეთის მთავრობისათვის წარდგენილი ჰქონდა გიორგის მამას ქელეშ-ბეგსაც, ჯერ კიდევ 1806 წელს (*Акты*, III გვ. 192).

<sup>7</sup> *Акты*, III, გვ. 200—209; სიმონ ესაძე, იქვე, გვ. 105; გიორგი შარვაშიძე პირობას აძლევდა რუსეთის მთავრობას, რომ ის, უკეთეს დამტკიცებულ იქნებოდა აფხაზეთის

1810 წლის 17 თებერვლის მანიფესტით გიორგი შარვაშიძე დამტკიცებულ იქნა აფხაზეთის მთავრად, და იმავე წლის 9 ივლისს რუსის ჯარმა მისი და დ. ორბელიანის წინამძღოლობით აიღო ქალაქი სოხუმი, რომელიც ასლან-ბეგსა და თურქებს ეჭირათ. სოხუმი დანგრეულ იქნა, ასლან-ბეგი და თურქები გაიქცნენ, ხოლო სამთავროს ტახტზე ავიდა გიორგი<sup>1</sup>. გიორგი აფხაზეთის მთავრად დარჩა სიკვდილამდე, ე. ი. 1821 წლამდე, როდესაც მის მაგიერ მთავრად ალექსანდრე პირველის მიერ დამტკიცებულ იქნა გიორგის მემკვიდრე, რუსეთში გაზარდილი დიმიტრი. დიმიტრის გამთავრება, ისევე როგორც მამა მისის გიორგის გამთავრება, მოხდა რუსის ჯარის უშუალო დახმარებით (ორივე რუსეთის ორიენტაციის მომხრედ ითვლებოდა). მაგრამ დიმიტრიმ იმთავრა მხოლოდ ერთ წელიწადს: 1822 წლის 16 ოქტომბერს ის მოწამლულ იქნა მოწინააღმდეგე (თურქეთის ორიენტაციის) პარტიის მიერ და გარდაიცვალა. ამის გამო რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო ტახტზე ახლა დიმიტრის უმცროსი ძმა 16 წლის მიხეილ შარვაშიძე დასვა<sup>2</sup>.

მიხეილ შარვაშიძე მთავრად დარჩა თითქმის სიკვდილამდე (1864 წლამდე)<sup>3</sup>, და მთელ ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთში რუსული მმართველობა არ შემოუღიათ. მაგრამ რუსეთი ფართოდ სარგებლობდა იმ გარემოებით, რომ მიხეილ შარვაშიძის საშინაო მდგომარეობა მტკიცე არ იყო და ცდილობდა რაც შეიძლება გაეძლიერებინა თავისი გავლენა აფხაზეთში: სწორედ ამ მოსაზრებით აფხაზეთში დანიშნულ იქნა იქ მყოფ რუსეთის ჯარების სარდალი და ამ უკანასკნელს დაევალა მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი გაეწია მიხეილ შარვაშიძის მოქმედებისათვის. რუსის ჯარების სარდალი თავის მხრივ დაკავშირებული იყო საქართველოს მთავარმმართველთან და მას მოახსენებდა ხოლმე შარვაშიძის ყოველი ნაბიჯის შესახებ. ამავე დროს 1830-იან წლებიდან რუსის ჯარმა, სოხუმის გარდა, თანდათანობით დაიკავა აფხაზეთის თითქმის ყოველი სტრატეგიული პუნქტი: ბომბორი, ბიჭვინთა, გავრა და სხვა<sup>4</sup>. ამით რუსეთმა უკვე ამ პერიოდში, ე. ი. ფორმალურად აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდეც, მოიღვა ფეხი აფხაზეთში საკმაოდ მტკიცედ. რუსეთის ხელისუფლების გამტკიცებას აფხაზეთში ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ ხანებში თურქეთის პრეტენზიებს აფხაზეთზე რუსეთის გაძლიერებით თანდათან ბოლო მოეღო და თურქეთის გავლენა აფხაზეთის საქმეებზე თითქმის საცესებით მოიშპო.

მთავრად, მთელს აფხაზეთს გააქრისტიანებდა, საქართველოს მთავარმმართველს დაექვემდებარებოდა და მთავრობას ხომალდების ასაშენებლად ხე-ტყეს მისცემდა იმგვარად, როგორც ის წინათ თურქეთს აძლევდა (Акты, III, გვ. 205).

<sup>1</sup> Акты, IV, გვ. 423.

<sup>2</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 106.

<sup>3</sup> მიხეილ შარვაშიძე გადაყენებულ იქნა მთავრობიდან 1864 წელს. იმავე წელს გაღასახლებული ვორონეჟში, ის მალე გარდაიცვალა.

<sup>4</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 106.



\* \*

დასასრულ, სვანეთი, რუსების საქართველოში შემოსვლის დროს, სამ ნაწილად იყოფოდა: 1. თავისუფალ სვანეთად, 2. სადადიანო სვანეთად და 3. საბატონო ან სადადეშკელიანო სვანეთად. თავისუფალ სვანეთს ეკირა ენგურის სათავესთან მდებარე ადგილი და ის წარმოადგენდა თავისუფალ თემების თავისებურ კავშირს. თავისუფალ სვანებს მთავარი არ ჰყავდათ, მაგრამ ისინი ნომინალურად იმერეთის მეფის უფლებას აღიარებდნენ. იმერეთის უკანასკნელ მეფეების დროს ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ თავისუფალი სვანები იმერეთის მეფის სასარგებლოდ გარკვეული რაოდენობით თოფის—წამალს იხდიდნენ.

სადადიანო სვანეთს ეკირა ცხენის წყლის სათავესთან მდებარე ადგილი ლეჩხუმის მეზობლად. გრიგოლ დადიანის მიერ ლეჩხუმის დაპყრობის შემდეგ (1804 წელს) სვანეთის ეს ნაწილი გადავიდა სამეგრელოს მთავრის მფლობელობაში და პოლიტიკურად იმავე ბედს განიცდიდა, რასაც თვით სამეგრელო. რაც შეეხება საბატონო ან სადადეშკელიანო სვანეთს, ამას ეკირა ეცერი და სხვა ადგილები. ის შესდგებოდა ოთხი საზოგადოებისაგან: 1. ჩუბეხევი, 2. ეცერი, 3. ბეჩო და 4. ლეჩყანი<sup>1</sup>.

საბატონო სვანეთს ჰფლობდნენ დადეშკელიანები. XIX საუკუნის დასაწყისში დადეშკელიანებს შორის ყველაზე უფრო ძლიერი ბაბა-ციოყის შვილი თათარყან დადეშკელიანი იყო<sup>2</sup>. თათარყანს ეცილებოდა მოსოსტრის შვილი ციოყ დადეშკელიანი. რომ თავისი მოწინააღმდეგე ციოყი დაემარცხებინა და საბატონო სვანეთი თავისთვის დაემკვიდრებინა, თათარყანმა, ნიკო დადიანის მეშვეობით, 1832 წელს თხოვნით მიმართა იმერეთის მმართველს გენერალ ვაკულსკის და იმის მეშვეობით მთავარმმართველ როზენსაც, რომ ის მიღებული ყოფილიყო რუსეთის ქვეშევრდომად მთავრის უფლებების დატოვებით და შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობის შენარჩუნებით<sup>3</sup>. მაგრამ იმავე დროს, იმავე მიზნით, ე.ი. რომ მოწინააღმდეგე თათარყანი დაემარცხებინა და საბატონო სვანეთი თვითონ დაეპყრო, თავის მხრივ ასეთივე შუამდგომლობით რუსეთის მთავრობას მიმართა ციოყმა<sup>4</sup>. რუსეთის მთავრობამ, „გაპყავი და იბატონეს“ პრინციპიდან გამო-

<sup>1</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 112; ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 511.

<sup>2</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 112. XVIII საუკუნის დასასრულს სვანეთს ჰფლობდა ოთარ დადეშკელიანი, რომელსაც ორი შვილი დარჩა: ბაბაციოყი და მოსოსტრი. პირველის შვილი იყო თათარყანი, ხოლო მეორის—ციოყი. თათარყანი და ციოყი ერთიმეორეს ეცილებოდნენ საბატონო სვანეთის სამთავროს ტახტს თითქმის სიკვდილამდე.

<sup>3</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 112—113. თათარყანი უფროსი წარმომადგენელი იყო დადეშკელიანების გვარში და ამიტომ მას იმედი ჰქონდა, რომ მთელს სადადეშკელიანოს მიიღებდა

<sup>4</sup> ციოყს ეხმარებოდა ფრიად ენერგიული და მოხერხებული ქალი, დედამისი გიგობანუმი, რომელმაც ამ მიზნით ინახულა ჯერ გენერალი გორიზვოსტოვი ნალჩიკში, ხოლო შემდეგ თვით ბარონი როზენიც თბილისში და იქ დაპირება მიიღო იმის შესახებ, რომ ციოყიც იქნებოდა სვანეთის მთავრად დამტკიცებული.

მდინარემ, 1833 წელს ორივე პრეტენდენტს მიუბოძა მაიორის ჩინი და ორივე დამპტიცა საინვესტიტურო სიგელით სვანეთის მთავრებად<sup>1</sup>—არსებითად იმავე პირობებში, რა პირობებშიც ამტკიცებდა რუსეთი საერთოდ საქართველოს შეუფებსა და მთავრებს, ვიდრე მათ ჩამოაყენებდა. ამგვარად საბატონო სვანეთი დაყოფილ იქნა ორად: თათარყან და დეშკელიანს შეხვდა ეცერი და ბეჩო, ხოლო ციოყს ჩუბეხევი<sup>2</sup>. ამასთანავე ორივე დადეშკელიანი მონათლულ იქნა ქრისტიანულ წესზე რუსეთის მთავრობის მოთხოვნით და ამის შემდეგ თათარყანს ეწოდა მიხეილი, ხოლო ციოყს ნიკოლოზი<sup>3</sup>. შინაგანი მართვა-გამგეობის მხრივ სვანეთში ცვლილებები არ მომხდარა.

ასეთ მდგომარეობაში დარჩა სვანეთი 1840-იან წლებამდე.

## 10

ამრიგად, ყველა იმ რეფორმებისა და ცვლილებათა შემდეგ, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, 1840-იან წლებისათვის საქართველოს მდგომარეობა რუსულ მმართველობის შემოღებისა და ადმინისტრაციულად მოწყობის მხრივ შემდეგნაირად წარმოიდგინებოდა.

პოლიტიკურ შემადგენლობის მხრივ საქართველო თითქმის მთლიანი სახით იყო წარმოდგენილი: მის გარეშე რჩებოდა მხოლოდ აჭარა ბათონითურთ, რომელიც თურქეთის სახელმწიფოში შედიოდა, და საინგილო, რომელიც შედიოდა ქარ-ბელაქნის ოლქში. რუსეთის ფარგლებში მოქცეული საქართველო შესდგებოდა შემდეგ ნაწილებსაგან: 1. აღმოსავლეთი საქართველო, რომელსაც ოფიციალურად საქართველოს გუბერნია ან (ბოლო დროს) საქართველო („გრუზია“) ეწოდებოდა, 2. იმერეთი, რომელსაც ოფიციალურად აგრეთვე იმერეთი, ან იმერეთის ოლქი ეწოდებოდა, 3. გურია, რომელიც ოფიციალურად გურიად ან გურიის ოლქად იწოდებოდა, 4. სამეგრელოს სამთავრო, 5. აფხაზეთის სამთავრო და 6. სვანეთის სამთავროები.

აღმოსავლეთი საქართველო თავის მხრივ შეიცავდა ქართლს, კახეთს, თუშეთს, ფშავხევსურეთს, ბორჩალოს, ახალციხეს, ახალქალაქს, ლორეს, ბამბაკს და შამშადილს. ის იყოფოდა ექვს მაზრად: 1. თბილისის, 2. გორის, 3. ლორის, 4. დუშეთის, 5. თელავისა და 6. სიღნაღის მაზრებად; ხუთ დისტანციად: 1. ბორჩალოს, 2. ყაზახის, 3. შამშადილის, 4. ბამბაკისა და 5. შურა-

<sup>1</sup> ს. ეს აძე, იქვე, გვ. 113; ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 516.

<sup>2</sup> ს. ეს აძე, იქვე, გვ. 113; ვ. ივანენკო, იქვე, გვ. 516.

<sup>3</sup> ს. ეს აძე, იქვე, გვ. 113. ციოყსა და თათარყანს შორის უთანხმოება ამის შემდეგაც არ მოსპობილა: თათარყანი ნაწყენი იყო რუსეთის მთავრობისაგან იმით, რომ ის ციოყთან გათანაწორეს და მთელი სადადეშკელიანო არ დაუმტკიცეს. მაგრამ მათ შორის უთანხმოება გამწვავდა განსაკუთრებით თავისუფალი სვანეთის გამო: ორივეს უნდოდა შემოემტკიცებინა ეს მხარე თავისთვის. თავისუფალ სვანეთს კი არც ერთის ბატონობა არ უნდოდა. ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ თავისუფალი სვანეთი იძულებული გახდა (რათა დადეშკელიანების ბატონობისათვის თავი დაეღწია) მიემართა მთავრობისათვის და ეთხოვა მიღებული ყოფილიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში. რუსეთმაც ისარგებლა ამ გარემოებით და 1839 წელს თავისუფალი სვანეთი (ცალკე საბოქაულოს სახით) იმერეთის ოლქს შემოუერთა.

გელის დისტანციად; და ერთ პროვინციად—ახალციხის პროვინციად, რომელსაც ზოგჯერ ახალციხის ოლქი ეწოდებოდა<sup>1</sup>.

იმერეთის ოლქი შეიცავდა საკუთრივ იმერეთს, რაქას და თავისუფალ სვანეთს (ამ უკანასკნელს ნომინალურად)<sup>2</sup>. ის შესდგებოდა ექვსი ნაწილისაგან: 1. ქუთაისის, 2. საჩხერის, 3. ჩხარის, 4. ვაკის, 5. რაქისა და 6. ბლდათის ოკრუგებისაგან. გურიის ოლქი შეიცავდა შემდეგდროინდელ ოზურგეთის მაზრას და შიგნით ადმინისტრაციულად, რუსულ მმართველობის მიხედვით, დაყოფილი არ იყო<sup>3</sup>. სამეგრელო შეიცავდა საკუთრივ სამეგრელოს (ოდიშს), ლეჩხუმსა და სადადიანო სვანეთს. სვანეთი იყოფოდა ორ ნაწილად: 1. თათარყან (მიხილ) და დედშეკლიანის სამფლობელოდ და 2. ციოყ (ნიკოლოზ) და დედშეკლიანის სამფლობელოდ. დასასრულ, აფხაზეთი შეიცავდა საკუთრივ აფხაზეთს, წებლდას და ბზიფს. სამურზაყანო, ისევე როგორც თავისუფალი სვანეთი, ცალკე ერთეულს—საბოქაულოს წარმოადგენდა. სამეგრელო და აფხაზეთი ადმინისტრაციულად, რუსულ მმართველობის მიხედვით, დაყოფილი არ იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში უმაღლეს ხელისუფლებას ფორმალურად წარმოადგენდა ე. წ. საქართველოს უზენაესი მთავრობა, რომელიც შესდგებოდა: 1. აღმასრულებელ, 2. სახაზინო და 3. სასამართლო ექსპედიციებისაგან. საქართველოს უზენაესი მთავრობა ექვემდებარებოდა მთავარსარდალს ანუ მთავარმმართველს საქართველოში, რომელიც ითვლებოდა იმავე დროს მთელი ამიერ-კავკასიის უმაღლეს ხელისუფლადაც და რუსის ჯარების (ე. წ. კავკასიის ცალკე კორპუსის) უფროსადაც.

მთავარსარდალსვე ექვემდებარებოდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი, რომელიც განაგებდა სამოქალაქო საქმეს აღმოსავლეთ საქართველოს მოკულობით და ამ ხაზით მთავარსარდალის მეორე პირად და თანაშემწედ ითვლებოდა. საქართველოს უზენაესი მთავრობა შესდგებოდა მთავარსარდალის თავმჯდომარეობით საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისა და დასახელებული ექსპედიციების უფროსებისაგან. საქართველოს მმართველის თანამდებობა და საქართველოს უზენაეს მთავრობის ე. წ. საერთო საკრებულო 1840-იან წლებისათვის უკვე გაუქმებული იყო: პირველი, როგორც ვამბობდით, გაუქმდა 1811 წელს, როდესაც, საქართველოს მმართველის ნაცვლად, შემოღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობა, ხოლო მეორე—1838 წელს, როდესაც საქართველოს მთავრობის საერთო საკრებულოს ნაცვლად დაწესდა მთავარმმართველობის საბჭო<sup>4</sup>.

საქართველოს უზენაეს მთავრობასთან არსებობდნენ შემდეგი თანამდებობის პირნი: 1. საგუბერნიო პროკურორი<sup>5</sup>, 2. ორი სტრიაპჩი,—ერთი სახაზინო

<sup>1</sup> ახალციხე და ახალქალაქი რუსეთმა შემოიერთა 1828 წელს. იმავე წელს გადაეცა რუსეთს ფოთიც.

<sup>2</sup> თავისუფალი სვანეთი ცალკე ერთეულს (საბოქაულოს) შეადგენდა, მაგრამ როგორც ვთქვით, ფორმალურად იმერეთის ოლქის მმართველს ექვემდებარებოდა.

<sup>3</sup> გურიის ოლქიც იმერეთის ოლქის მმართველს ექვემდებარებოდა უშუალოდ.

<sup>4</sup> Совет главного управления.

<sup>5</sup> Губернский прокурор.

საქმეების ხაზით და მეორე სისხლის სამართლის ხაზით, 3. საგუბერნიო მიწის-მზომელი<sup>1</sup> და 4. საგუბერნიო არქიტექტორი<sup>2</sup>. ეს ორი უკანასკნელი საქართველოს მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციის ემორჩილებოდა უშუალოდ. ამათ გარდა თბილისში, როგორც საგუბერნიო ქალაქში, არსებობდა შემდეგი დაწესებულებები: 1. საგუბერნიო სამმართველო, 2. საზოგადოებრივი მზრუნველობის პრიკაზი, 3. სამედიცინო სამმართველო 4. კეთილსინდისიერთა სასამართლო, 5. სათავადაზნაურო მეურვეობა და 6. სააღმშენებლო კომისია<sup>3</sup>.

მაზრებში რუსულ მმართველობის შემოღების მხრივ მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვანაირი იყო. ერთგვარობასა და საერთოს ყველა მაზრაში მხოლოდ ისღა წარმოადგენდა, რომ ყველგან თითო სტრიაპჩი, თითო ხაზინადარი და თითო მკურნალი<sup>4</sup> იყო დაყენებული. დანარჩენი მხრივ კი თვითელი მაზრა სხვადასხვანაირად იყო მოწყობილი. ასე, მაგალითად მიწისმზომელები მხოლოდ თბილისისა და გორის მაზრებში იყვნენ; სამაზრო სასამართლოებიც არსებობდა მხოლოდ თბილისისა და გორის მაზრებში; თბილისის მაზრის სასამართლო იმავე დროს ფორმალურად თბილისის მაგისტრატადაც ითვლებოდა (და ასეთივე მაგისტრატი სხვა ქალაქებშიც უნდა არსებებოდა), მაგრამ ფაქტიურად არავითარი მაგისტრატი არც თბილისში და არც სხვა ქალაქებში არ არსებობდა. საერობო პოლიცია ანუ საერობო პოლიციის სამმართველოები<sup>5</sup> მხოლოდ თბილისის, დუშეთისა და გორის მაზრებში არსებობდა; თელავისა და სიღნაღის მაზრებში კი სამაზრო სასამართლოსა და საერობო პოლიციის მაგივრობას საოლქო სასამართლოები ასრულებდა. საქალაქო პოლიცია მხოლოდ თბილისში არსებობდა, ხოლო გორში, დუშეთში, თელავსა და სიღნაღში მთელი ხელისუფლება უმთავრესად პოლიცმეისტერთა ხელში იყო<sup>6</sup>. პოლიცმეისტერი იყო თბილისშიც, მაგრამ აქ პოლიცმეისტერის გარდა ქალაქის კომენდანტის თანამდებობაც არსებობდა და პირველი ამ უკანასკნელს ემორჩილებოდა.

თათრის ელითა და სხვა უცხო ტომით დასახლებულ მუსლიმანურ დისტანციებში (ცალ-ცალკე) მმართველობის საქმე კომენდანტებისა და მათი თანაშემწეების ხელში იყო. მათ ექვემდებარებოდნენ პოლიცმეისტერი, მისი თანაშემწე და ეგრეთწოდებული სახაზინო ეკონომი<sup>7</sup> (ანუ სამეურნეო საქმის ზედამხედველი)<sup>8</sup>. იქვე მოწყობილი იყო ეგრეთწოდებული პროვინციალური სასამართლო<sup>9</sup>

<sup>1</sup> Губернский землемер.

<sup>2</sup> Губернский архитектор.

<sup>3</sup> КК, 1868, გვ. 388.

<sup>4</sup> Лекарь.

<sup>5</sup> Управы земской полиции.

<sup>6</sup> КК, 1868, გვ. 388.

<sup>7</sup> Казенный эконом.

<sup>8</sup> Смотритель за хозяйством.

<sup>9</sup> КК, 1868, გვ. 389.

(провинциальный суд), რომლის თავმჯდომარედ კომენდანტი, ხოლო წევრად ოთხი მსახური ითვლებოდა: ორი ბეგებიდან და ორი დაბალ წოდებიდან<sup>1</sup>. ზოგიერთ დისტანციაში კი, სადაც წინათ, როგორც ვამბობდით, მოურავები ინიშნებოდნენ ქართულ თავადებიდან, ახლა მმართველობის საქმეს ბოქაულები ედგნენ<sup>2</sup>. ბოქაულებს ექვემდებარებოდნენ ალაღარები და იასაულები<sup>3</sup>.

დასასრულ, ახალციხის პროვინციაში (ანუ ოლქში) ადგილობრივ ხელისუფლებას ეგრეთწოდებული „დროებითი მმართველობა“ ან „საოლქო მმართველობა“ (областное управление) წარმოადგენდა. ამ მმართველობის თავმჯდომარედ დროებითი მმართველობის უფროსი (რუს ოფიცრებიდან) ითვლებოდა. მთელი ახალციხის პროვინცია (ანუ ოლქი) ათ სანჯაყად იყოფოდა და თვითელი სანჯაყის სათავეში ბეგი ან კომენდანტი იყო დაყენებული<sup>4</sup>. თვით ახალციხეში საქალაქო პოლიცია იყო დაარსებული<sup>5</sup>.

იმერეთში ან იმერეთის ოლქში უმაღლეს ხელისუფალს იმერეთის (ანუ იმერეთის ოლქის) მმართველი წარმოადგენდა, ხოლო ოლქის უმაღლეს ორგანოს—დროებითი საოლქო მმართველობა. ამ უკანასკნელის თავმჯდომარედ მმართველი ითვლებოდა, ხოლო წევრებად—სამი მრჩეველი რუსი მოხელეებიდან და ორი მდივანბეგი ადგილობრივ თავადებიდან. დროებითი მმართველობა განაგებდა გადასახადების აკრებისა და ვასაელის განაწილების საქმეს, აგრეთვე სამოქალაქო დავისა და საჩივრების საქმეს. სისხლის სამართლის საქმეებისათვის კი დამწესებული იყო სამხედრო სასამართლო—ე. წ. ქუთაისის სამხედრო სასამართლო კომისია<sup>6</sup>.

იმერეთის ოკრუგების სათავეში ოკრუგების უფროსები იდგნენ. ეს უფროსები რუს სამხედრო პირებიდან იყვნენ. ისინი ექვემდებარებოდნენ იმერეთის (ან იმერეთის ოლქის) მმართველს, მაგრამ მათ უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ დროებით საოლქო მმართველობასთან. თვითვე ოკრუგის უფროსთან ორი თანაშემწე ითვლებოდა ადგილობრივ თავადაზნაურებიდან<sup>7</sup>.

იმერეთის მმართველისა და საოლქო მმართველობის უშუალო, მაგრამ ფაქტობრივად ნომინალურ მეთაურობის ქვეშ იყვნენ სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები და გურიის ოლქი<sup>8</sup>. ფაქტობრივად კი ესენი ექვემდებარებოდნენ საქართველოს მთავარმმართველს. გურიის ოლქის სათავეში, როგორც ვამბობდით, „საბუკო“ (ჩჩევა) იდგა. საბუკოს თავმჯდომარედ რუსი ოფიცერი ითვლებოდა, წევრებად კი—ადგილობრივი თავადები.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 388.

<sup>2</sup> ვ. ივანეცკო, იქვე, გვ. 122.

<sup>3</sup> ბეგები დატოვებული იყო ქობლანის, ფოცხოვის, ჩილდირის, აბასთუმნის, ახალციხის და ჩარაჯის სანჯაყებში, ხოლო ახალქალაქის, ხერთვისის, აწყვერის და ასპინძის სანჯაყებში დანიშნული იყვნენ კომენდანტები (ვ. ივანეცკო, იქვე, გვ. 267—268).

<sup>4</sup> ს. ესაძე, იქვე, გვ. 64.

<sup>5</sup> КК, 1868, გვ. 389.

<sup>6</sup> КК, 1868, გვ. 389. Кутаисская военно-судная комиссия.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იმერეთის მმართველი თავის მხრივ ექვემდებარებოდა მთავარსარდალს საქართველოში.

სამეგრელო სამთავროდ იყო დატოვებული და მის სათავეში ძველებურად მთავარი იდგა. ადმინისტრაციული დაყოფაც სამეგრელოში ძველებურ წესზე იყო: ის იყოფოდა სამ მთავარ სამოურაოდ<sup>1</sup> და თვითეულ სამოურავოს სათავეში მოურავი იდგა. მოურავებს ექვემდებარებოდნენ ნაცლები, რომელნიც ადგილობრივ (სოფლის) ხელისუფლებას წარმოადგენდნენ.

აფხაზეთიც ცალკე სამთავროს შეადგენდა. მის სათავეში მთავარი იდგა. აფხაზეთის შემადგენლობაში, საკუთრივ აფხაზეთის გარდა, როგორც ვთქვით, აბჟუა, წებელდა და ბზიფი ითვლებოდა, მაგრამ აფხაზეთის მთავარს აბჟუა და წებელდის მოსახლეობა ფაქტიურად არ ცნობდა: პირველსაც და მეორესაც თავისი მმართველი ჰყავდა ადგილობრივ თავადებიდან<sup>2</sup>. სამურზაყანო ცალკე საბოქაულოს შეადგენდა და იქ ბოქაულად რუსი სამხედრო მოხელე ინიშნებოდა. სამეგრელოსა და აფხაზეთში რუსის საოკუპაციო ჯარი იდგა.

დასასრულ, სვანეთი დადგეკლიანების სამფლობელოს შეადგენდა და ფაქტიურად ორ სამთავროდ იყოფოდა: თათარყანის (მიხეილის) და ციოყის (ნიკოლოზის) სადადგეკლიანოდ. არც ერთ სამთავროში რუსული მმართველობა შემოღებული არ ყოფილა. თავისუფალი სვანეთი, როგორც ვთქვით, ძველებურად დამოუკიდებელ ერთეულს (საბოქაულოს) წარმოადგენდა, მაგრამ იმერეთის ოლქს მიეკუთვნებოდა და იმერეთის ოლქის მმართველს ექვემდებარებოდა.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ისე დასავლეთ საქართველოს სოფლებში ადგილობრივი სამმართველოები ჯერ მოწყობილი არ იყო და ამ სოფლებში მართვა-გამგეობის საქმე ძველებურად ადგილობრივ ფეოდალების ხელში იყო, მაგრამ ზოგიერთ სოფლებში მოურავები და მამასახლისები ინიშნებოდნენ ამ მთავრობის მიერ, ან კიდევ თვით ადგილობრივ ფეოდალებისა და ზოგჯერ (მუსლიმანურ რაიონებში) სასულიერო ხელისუფლების მიერ. ეს მამასახლისები და მოურავები საქართველოს სხვადასხვა რაიონში სხვადასხვანაირად იწოდებოდნენ. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში (სახელდობრ, თბილისის, გორისა და თელავის მაზრებში), აგრეთვე მთის რაიონებში მათ

<sup>1</sup> სამეგრელო (ოდიში-ლენხუმი), ბროსეს იქ ყოფნის დროს, ვითომც თორმეტ სამოურაოდ იყოფოდა, მაგრამ ი. მეუნარგიას მოწმობით, სამოურაოთა რიცხვი ამ დროს სამეგრელოში თითქოს უფრო მეტი უნდა ყოფილიყო (ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, გვ. 114). როგორც ჩანს, აქ ლაპარაკია სამოურაოთა საერთო რიცხვის შესახებ და მაშინ მართლაც, როგორც ი. მეუნარგია ამბობს, მათი რიცხვი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ხოლო რაც შეეხება მთავარ სამოურაოებს, ასეთების რიცხვი, როგორც ვთქვით, სამი იყო: ზუგდიდის, სენაკის და ლენხუმის (KK, 1868, გვ. 390). (დავით დადიანის დროს სამეგრელო დაყოფილ იქნა რვა მაზრად: 1. ზუგდიდის, 2. ჯვარის, 3. ზუბის, 4. სუჯუნის, 5. საჭილას, 6. მარტვილის, 7. ლაილამის და 8. მურის მაზრებად. თვითეულ მაზრის სათავეში მდივან-ბეგი იყო დაყენებული (იქვე, გვ. 112—114).

<sup>2</sup> KK, 1868, გვ. 390. ამ წყაროში წაბალ (წებელდა) მონათლულია რესპუბლიკად, რომელიც თითქოს „არავითარ მთავარს არ ცნობდა“. ნამდვილად კი, როგორც ვამბობდით, წებელდას ჰქონდა მოსოუსტი მარშანია, როგორც ამ მაზრის მთავარი. 1837 წელს ბარონ როზენის გვასედიციის შედეგად წაბალის მფლობელმა მოსოუსტ მარშანიამ რუსის მთავრობას მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ ამის შემდეგაც წაბალი ერთ ხანს ძველებურად დამოუკიდებელ სამფლობელოდ დარჩა.

ზოგჯერ მამასახლისებს, ზოგჯერ კიდევ ნაცვლებს უწოდებდნენ<sup>1</sup>, სიღნაღის მაზრაში მათ ქვევები ეწოდებოდათ, ხოლო თათრულ დისტანციებში—ალალარები. მამასახლისებს ჰყავდათ თანაშემწეები და ხელქვეითნი, რომელთაც ისევე, როგორც თვით მამასახლისებს, თითქმის ყოველთვის, საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი ამტკიცებდა<sup>2</sup>.

\* \* \*

დასასრულ, ყველა იმის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა, შეიძლება რუსული მმართველობის სისტემის საქართველოში დამყარებისა და განვითარების დახასიათებისათვის აღებულ (პირველ) პერიოდის განმავლობაში, შემდეგი დებულებები წამოვაყენოთ:

1. რუსული მმართველობის შემოღება და მისი განვითარება-განმტკიცება საქართველოში უშუალოდ დაკავშირებულია მეფის რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა-შეერთებასთან. ეს მმართველობა მეფის ხელისუფლებას შემოაქვს საქართველოს სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა დროს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ახერხებს ის ამ ნაწილების შემომტკიცებას: ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში—ქართლსა და კახეთში, შემდეგ დასავლეთ საქართველოში—იმერეთსა და გურიაში, ხოლო ბოლოს სამხრეთ საქართველოში—ახალციხე-ახალქალაქში. სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში რუსული მმართველობის შემოღება აღებულ პერიოდში ვერ ხერხდება არსებითად იმის გამო, რომ ამ მხარეების ფაქტიური შემომტკიცება ჯერ კიდევ სავსებით დამთავრებული არ არის. დასახლებულ სამთავროებში ამ პერიოდში საქმე მხოლოდ ვასალობის გაფორმებით, საოკუპაციო ჯარის შემოყვანით და მეთვალყურეობა-კონტროლის გაწევით განისაზღვრება.

2. რუსული მმართველობა საქართველოს ყველა დასახლებულ ნაწილში მყარდება ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის წინააღმდეგ, ფაქტიურად ძალდატანებით. ეს აიხსნება ერთის მხრივ იმ გარემოებით, რომ მეფის ხელისუფლება არ უწყევს სათანადო ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და ჩქარობს რაც შეიძლება სასწრაფოდ ტლანქი საშუალებებით შემოიღოს ყველგან მმართველობის ახალი წესები იმ ტრაფარეტის მიხედვით, რომელიც მიღებულია რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის და რომელიც სავსებით უცნობია საქართველოსათვის. მეორე მხრივ კი ეს აიხსნება იმით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდება მმართველობის ამ ახალ სისტემას, როგორც მისთვის მიუღებელ მოვლენას, და სისტემატურ წინააღმდეგობას უწყევს მთავრობას ამ მიმართულებით პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის დროს.

3. რუსული მმართველობის სისტემა მიუღებელია ადგილობრივ მოსახლეობისათვის იმიტომ, რომ ეს სისტემა, როგორც ეროვნული ჩაგვრისა და კოლონიალური ექსპლუატაციის აპარატი, მიმართულია მისი ინტერესების

<sup>1</sup> ასევე იყო სამეგრელოშიც ( ი. მეფუნარგია, იქვე, 114).

<sup>2</sup> KK, 1868, გვ. 388.

წინააღმდეგ. ახალი მმართველობის შემოღების მიზანია ერთის მხრივ საქართველოს (ეროვნული, კულტურული და ყოფაცხოვრებითი) თავისებურების მოსპობა (ქართველი ხალხის გარუსება) და მის ნაცვლად რუსული კულტურის, ენისა და ზნეჩვეულების განმტკიცება, ხოლო მეორე მხრივ გადასახადების შემოღებითა და სხვა ეკონომიური საშუალებების გამოყენებით რუსული ხაზინისათვის შემოსავლის წყაროს გაჩენა. პირველი თვალსაზრისით ახალი მმართველობა მიუღებელია საქართველოს როგორც მალალ წოდებისათვის, ისე აგრეთვე დაბალ ფენისათვისაც. მაგრამ მეორე თვალსაზრისით ეს მმართველობა განსაკუთრებით მძიმე უღელს წარმოადგენს უკანასკნელისათვის: რუსეთის ხელისუფლება ცდილობს ახალი მმართველობა შემოიღოს ისე, რომ რუსეთის კოლონიალური ბატონობა უზრუნველყოფილი იყოს და ამავე დროს ბატონყმურ წესწყობილების საფუძვლები არ შეიღახოს. ეს კი ნიშნავს დაბალი ფენის მდგომარეობის გაუარესებას.

4. რუსული მმართველობის სიმძიმეს და მიუღებლობას საქართველოს მოსახლეობისათვის აღრმავენ ის გარემოებაც, რომ ეს მმართველობა, თავისთავადაც უვარგისი, ადგილობრივ ადმინისტრაციის მიერ ტარდება აქ სრულიად უპრინციპოდ, უსაუსხისმგებლოდ და თვითნებურად: იმ რუს მოხელეთა მხრით, რომელთაც მინდობილი აქვთ მმართველობის აპარატის მოწყობა საქართველოში, ადგილი აქვს სისტემატურ ბოროტმოქმედებას—კანონების დარღვევას, ქონების მიივისებას, სახაზინო ფულის გაფლანგვას, მოსახლეობის შეიჭროვებას, თავაშვებულ მექრთამეობას და სხვა მსგავს უზნეო მოქმედებას. საერთოდ საქართველოში მოხელეებად გამწესებულ პირთა უმრავლესობას ახასიათებს დაბალი კულტურული და ზნეობრივი დონე. ამასთანავე მათ სრულიად არ იციან ადგილობრივი ენა, ზნეჩვეულება და ადათი. მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვან ერთადერთ საშუალებას, ამ მოხელეთა წარმოდგენით, ტლანქი ძალა და იარაღი შეადგენს. რუსული მმართველობა საქართველოში უმთავრესად ამ ტლანქ ძალასა და იარაღზეა დამყარებული.

5. საქმის ვითარებას ფაქტიურად არ ცვლის ის გარემოება, რომ მმართველობაში დაშვებულია ადგილობრივი ელემენტები მალალ წოდებიდან, რადგან ამ ელემენტებმა უმეტეს შემთხვევაში სრულიად არ იციან რუსული ენა და რუსული კანონები, და რადგან ისინი არსებითად არაფითარ როლს არ თამაშობენ მმართველობის საქმეში არა მარტო იმიტომ, რომ მათ არ იციან რუსული ენა და რუსული კანონები, არამედ იმიტომაც, რომ ისინი არ სარგებლობენ მთავრობის ნდობით. ამას გარდა ადგილობრივი ელემენტების დაშვება მმართველობაში, გამოწვეული პირველ ხანებში იმ მოსაზრებით, რომ რუსულ ხელისუფლებისათვის ადგილობრივად სოციალური დასაყრდენი შეიქნას, შემდეგში ერთობ შეზღუდულია და ამ ელემენტების ხვედრითი წონა თუ მნიშვნელობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში სრულიად უმნიშვნელოა. საქმის ვითარებას არ ცვლის აგრეთვე ისიც, რომ ნაწილობრივ (სამოქალაქო დარგში) ვახტანგის კანონებია ძალაში დატოვებული, რადგან იმის გამო, რომ ამ კანონებს ხეირიანად არაფერ იცნობს, მათი გამოყენება და ცხოვრებაში ვატარება უზრუნველყოფილი არ არის. საერთოდ ქართულ იურიდიკულ ნორმების



ერთ დარგში დატოვება და რუსულ ნორმების მეორე დარგში შემოღება ისეთ მდგომარეობას ქმნის მმართველმაჯულების სფეროში, რომელიც ყოველგვარ კანონების უქონლობას უდრის.

6. ყველა დასახელებულ მიზეზის გამო რუსულ მმართველობის შემოღებას საქართველოში თან სდევს მოსახლეობის ფარული ან აშკარა უკმაყოფილება, რომელიც ხშირად მასობრივ მოძრაობისა და აჯანყების ხასიათს ატარებს. ამ მოძრაობასა და აჯანყებაში მონაწილეობას იღებს საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. მაგრამ, როდესაც ეს აჯანყება კლასობრივ ხასიათს იღებს, მაშინ მის მამოძრავებელ ერთადერთ ძალად დებალი ფენის — გლეხობა რჩება: მეფის მთავრობა, რომელიც თვით რუსეთის მაღალ ფენის — თავადაზნაურობის ინტერესების დამცველი და გამომხატველია, ადვილად ახერხებს საერთო ფენის გამონახვას საქართველოს თავადაზნაურობასთან და ამის შემდეგ მმართველობაშიც შესაფერ კვლილებებს ახდენს იმისათვის, რომ ამ უკანასკნელის გული მოიგოს. მეორე მხრივ მთავრობა მკაცრი საშუალებებით აქრობს გლეხთა აჯანყებებს არაიშვითად თვით საქართველოს თავადაზნაურობის დახმარებით და ცდილობს მმართველობაში ამის შემდეგ ისეთი კვლილებები შეიტანოს, რომელიც შეუძლებელს გახდის გლეხთა აჯანყების განმეორებას. თუ რუსეთის მთავრობის მიერ, აღებულ პერიოდის სიგრძეზე გამოცემულ კანონებში, ერთის მხრივ მოცემულია ისეთი დებულებები, რომელიც უზრუნველყოფენ პრივილეგიურ წოდების უფლებებსა და ინტერესებს, მეორე მხრივ ამავე კანონებში მოცემულია ისეთი დებულებები, რომელიც სრულებით უგულბებელყოფენ გლეხობის ინტერესებს ან აუარესებენ მის მდგომარეობას. თავადაზნაურობა მთავრობას აშკარად თავის მფარველობისა და მეურვეობის ქვეშ ჰყავს აყვანილი; გლეხობა კი ძველებურად კანონის გარეშე დატოვებული და რუსეთის კოლონიალურ ბატონობის მთელი სიმძიმე არსებითად შხოლოდ მას აწევბა.

7. მთავრობის განსაკუთრებულ მფარველობის ქვეშ არიან აყვანილი აგრეთვე რუსი მოხელეები და საერთოდ რუსი ელემენტები. მათთვის საქართველოში შექმნილია შეღავათიანი პირობები, როგორც სამსახურისა, ისე ბინადრობისათვის იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს, ქვეყნის კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის მოსაზრებით, რუსული ელემენტების გაძლიერება ადგილობრივად. მაგრამ აღებულ პერიოდში მთავრობის კოლონიზატორული პოლიტიკა შედარებით ნაკლებ ეფექტს იძლევა: რუსული ელემენტი, მაგალითად, თბილისში 1840-იან წლებისათვის მოსახლეობის 2—3% არ აღემატება, ხოლო სხვა ადგილებში ეს ელემენტი გაცილებით უფრო ნაკლებია. ეს იხსნება იმ გარემოებით, რომ, ომიანობისა და მუდმივი აჯანყების პირობებში, ხელისუფლება ჯერ კიდევ ვერ ახერხებს კოლონიზატორულ და რუსიფიკატორულ გეგმების ფართოდ განხორციელებას. საქართველოში მოდიან უმთავრესად სამხედრო პირები (იძულებით), ან ავანტურისტები, ბედის მაძიებლები და სხვა შემთხვევითი ელემენტები განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ აქ ჩინ-ორდენები დაიმსახურონ, ანდა ქონება შეიძინონ.

8. მმართველობის საქმეც ფაქტიურად ამ სამხედრო პირთა და შემთხვევით ელემენტთა ხელშია. თუმცა საქართველოში რუსული სამოქალაქო კანონ-

ში (უმთავრესად სისხლის სამართლის საქმეებში) შემოღებულია, ვახტანგის კანონებიც (უმთავრესად სამოქალაქო საქმეებში) ძალაშია დატოვებული და სამოქალაქო მმართველობის ორგანოებიც არსებობენ, მაგრამ ფაქტიურად მართვა-გამგეობის სადევები მაინც სამხედრო პირთა და ჯარის ნაწილების განკარგულებაშია მოქცეული. თითქმის ყველა თანამდებობა რუს სამხედრო პირთა და ჯარის უფროსებს უკავიათ და ეს პირები წარმართავენ ქვეყნის საქმეს სამხედრო „არტიკულები“ მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში კი სრულიად თვითნებურად. მმართველობის მთელი აპარატი (გარდა სოფლისა და მიყრუებული ადგილებისა, სადაც ჯერ რუსის ჯარისკაცს შესვლა ვერ მოეხერხებინა) ვართუებული და გასამხედროებულია. ოფიციალურ ენად სახელმწიფო დაწესებულებასა და სასამართლოებში რუსული ენაა აღიარებული და ამ ენაზე წარმოებს საქმის გარჩევა-განხილვა. საქართველოში დიდის რაოდენობით თავმოყრილია რუსის ჯარი, პოლიცია და მოხელეობა.

9. ამის გამო საქართველო, მმართველობისა და ადმინისტრაციული მოწყობის მხრივ, მძიმე სურათს წარმოადგენს: საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახის დაწესებულებები და თანამდებობებია შემოღებული; ამ დაწესებულებათა და თანამდებობათა ფუნქციები, უფლებები და კომპეტენცია არ არის სათანადოდ განსაზღვრული, უმეტეს შემთხვევაში კი სრულიად გამოურკვეველია; ამასთანავე ეს დაწესებულებები და თანამდებობები დროებით ხასიათს ატარებს, მუდმივ ცვლილებებს განიცდის—რუსეთის შიდა გუბერნიებში არსებულ მმართველობისადმი უფრო მიახლოების ტენდენციით. საერთოდ, მთავრობის ნაბიჯებს მმართველობის მხარეში მუდმივი მერყეობა, ცვალებადობა და გაურკვეველობა ახასიათებს, რაც თვით ამ მთავრობის დაბალ კულტურულ დონესა და უფიცობას უნდა მიეწეროს.

10. მეფის რუსეთის მაშინდელ მესეფერთა ამ დაბალი კულტურული დონითა და უფიცობით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ რუსეთმა დაპყრობილ საქართველოში მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ვერ შესძლო კანონიერებისა და წესრიგის დამყარება. პირველმა ოთხმა ათეულმა წელმა საქართველოს დაპყრობიდან განვლო ისე, რომ მეფის მთავრობამ ვერ მოახერხა საქართველოს ათვისება არამცთუ კულტურულად და ეკონომიურად, არამედ ადმინისტრაციულად და პოლიტიკურადაც. 1840-იან წლებისათვის საქართველო ისევე ახლახან ოკუპირებულ ქვეყნის შთაბეჭდილებას უფრო ახდენდა, ვიდრე თუნდაც ოდნავ მოწესრიგებულ კოლონიისას: საქართველოს მართვა-გამგეობის საქმე ამ დროს კვლავინდებურად სამხედრო-ფეოდალურ დიქტატურის ხელში იყო და ამ დიქტატურის დასაყრდენ ძალას ისევე ჯარი და პოლიცია წარმოადგენდა.

ილია აბულაძე

## ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები

„შრავალთავის“ ზეგოჭთა თავის წყაბთ<sup>1</sup>

### III. მარტვლობა თეკლაძის

მორიგი აგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ძველს მრავალთავშია დაკული და ქვემოთ ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს, არის «მარტვლობა თეკლაძის».

მარტივობის წიგნის უძველესი ნუსხა XI საუკუნის ერთერთ მრავალთავს შემოუნახავს<sup>2</sup>. ხელნაწერი ნუსხა ხუცურითაა შესრულებული, წააგავს რამდენადმე პერგამენტზე ნაწერ სხვა, მასზე უფრო შედარებით მეტად ცნობილს, ე. წ. პარხალის მრავალთავის ხელნაწერს (საქართ. მუხ. ხელნაწ. A № 95). ჩვენი ნუსხა ნაწერია ქაღალდზე და ამ მხრივ იგი ერთი უძველეს ნიმუშთაგანია ჩვენამდე მოღწეული ქაღალდზე ნაწერი ხელნაწერებისა<sup>3</sup>.

სსენებულ ხელნაწერ კრებულში დაკული «თეკლას მარტივობის» ტექსტი ძველი ხელნაწერის გადანაწერი ნუსხაა. ამას მოწმობენ ის ცთომილებანი, რომლებიც აღმოცენებული არიან მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკულ ნიადაგზე, გადამწერის უგულისხმებობისა და დაუდევრობის გამო. ამის სამოწმოდ ერთი მაგალითიც კი საკმარისია. ერთ ადგილს მარტივობის წიგნში ვკითხულობთ: «აღექსანდრე, რამეთუ მძღავრი იყო, ეწია და შეზმა უყო და მოიხილა თეკლას ურაკპარაკსა მას შორის» (ნ. გვ. 108, 18). «მოიხილა თეკლას» არაა მართებული გამოთქმა. გადამწერს «მოიხილა-ში» უმართებულოდ აქვს წარმოადგენილი დედნის «მოეხვა». ეს რომ ასეა, ამას მარტივობის წიგნის გვიანდელი დროის ერთი სხვა ნუსხაც მოწმობს. იქ იკითხება: «შეიხვია ივია». «მოიხილა» დამახინჯებულად ამოკითხული მოეხვია ან მოეხვა-ა და, რაც საგულისხმოა, მრგლოვანი დაწერილობისა («ე წაკითხულ იქნა „ი“-დ, ხოლო „ე“ თუ „ჯ“-ლ“-და ბოლოსაც „ა“ მოდიოდა და ამრიგად გაჩნდა „მოიხილა“-ც). ასეთი და სხვა

<sup>1</sup> ნ. დასაწეისი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, გვ. 329—347, 1937 წ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეგმით არის დამუშავებული წინამდებარე ნაკვეთიც.

<sup>2</sup> საქართ. მუხუშუმის ხელნაწერთა H ფონდი № 341, გვ. 167—197.

<sup>3</sup> პროფ. კ. ქეკელიძე—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, «მომთმხილველი» I, გვ. 280 (ტფ. 1926 წ.).

მსგავსი ხასიათის შეცდომების არსებობა არც გადამწერისათვის ყოფილა შეუქმნეველი. იგი მას თავის ნახელავში ეგულება. თავის თავსაც გადამწერი არ უტყერის როგორც გაწვრთნილ მწიგნობარ მუშაკს. ეს კი იმ მოსახსენებლიდან ჩანს, რომელიც ჩვენი ტექსტის ბოლოს არის დართული თვითონ გადამწერის ხელით: «ლოცვა ყავთ იოვანესთჳს უცბად მხრეკალისათჳს და დაკლებული ყოველი შემინდვეთ».

უცბად მხრეკალ<sup>1</sup> იოანეს გადანაწერში, რომელიც, როგორც აღენიშნეთ, მრგლოვანი ხელით შესრულებული ხელნაწერის გადანაწერი ჩანს, ზემორე აღნიშნული მაგალითი ერთეული შემთხვევისა არ არის. შეიძლება კიდევ რამდენიმეს დასახელება. ასე მაგ.:

1. ნუსხაშია „იტყოდა“, უნდა იყოს „იტოდა“: «რამეთუ არა იტყოდა პავლს გორციელად» (გვ. 92, 5). აქაც მერმინდელ მოგვიანო დროის ნუსხაში (A № 643) უფრო სწორი წყაითხევა გვაქვს: «არღა იცოდა მან პავლე გორციელითა ხილვითა» (შდრ. სომხ. *ეს იჯ დასაჯკერ ნა ელსაკიი მარშიი*).

2. ნუსხაშია „დიდებასა“, უნდა იყოს „დედებსა“: «და დაუჯრდებოდა სარწმუნოებაჲ იგი მისი, უფროსლა რაჟამს ხელაენ მრავალსა დიდებასა, რომელნი შევლედ პავლსა» (გვ. 95, 3). მერმინდელი ნუსხა „დიდებასა-ს“ ნაცვლად მართებულად ხმარობს: „დედებსა“-ს (შდრ. სომხ.: *ს დაქარსანაკ ერჲ*

<sup>1</sup> „მხრეკალს“ გადამწერი ხშირად ეძახის ხოლმე თავის თავს ქართულ ძველ ხელნაწერთა მოსახსენებლებში. სიტყვა „მხრეკალი“, აკად. ივ. ჯავახიშვილის მართებული ახსნით, „ჩრეკა-საგან“ არის ნაწარმოები. „მხრეკა“ მკვლევრის განმარტების თანახმად (ნ. ივ. ჯავახიშვილი—ქართ. დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ. 1926 წ., გვ. 51), „ქვექას“ ნიშნავს. რადგან მეგრული „ჩხირკა“ თხრას ანუ გათხრას ნიშნავს „ამიტომ, — დასძენს ავტორი—საფიქრებელი ხდება, რომ ჩხრეკა წერითი ხელოვნების ძველი, წარწერათა გამოყვანის აღსანიშნავად განკუთვნილი, ტერმინი უნდა იყოსო“. ხელნაწერთა მინაწერ-ანდერძებში მოხსენებული „მხრეკაჲ“ და „დაჩხრეკაჲ“ პ.-ც. მკვლევარს „არასათანადო წევის, ან დამწერელისაგან თევმდაბლობით თავის ნაწარმის დასახასიათებლად და აღსანიშნავ ტერმინად“ მიიჩნია. მაგრამ ისეთ გამოთქმებში კი, როგორცაა—„ჰავად ჩხრეკაჲ“ და „უცბად ჩხრეკაჲ“—„ჩხრეკაჲ“ წერას ნიშნავსო, „თორემ ცუდად წერის მნიშვნელობა რომ ჰქონოდა, ჰავად ჩხრეკაჲ ხომ ორი ერთნაირი სიტყვის გამეორება იქნებოდა“-ო (იქვე, გვ. 52).

სხვაობს რითიმე ტერმინი „მხრეკალი“ ჩვეულებრივ გავრცელებულის „მწერალისაგან“, თუ ისინი ურთიერთის თანაფარდი არიან, ძნელია გადაწყვეტით თქმა, რადგან ქართული მასალა ამომწურავად არ არის შესწავლილი.

წარმოების მხრით ფარდი ტერმინი ქართული „მხრეკალისა“ სომხურში *ქერაკან*-ია, ხოლო ბერძნულში *კრამატაქი*. სომხური *ქერაკან*, რომელიც *ქერქ* „ჩხრეკა, ქეჭვა-საგან“ არის ნაწარმოები, ბერძნული *კრამატაქი*-ს ეტიმოლოგიის ზეგავლენით გამომუშავებულ ტერმინად ითვლება სომხურს სამეცნიერო ლიტ.-ში და ისიც ბერძენოფილური სკოლის მიერ (VI—VII სს.—ხ. Дионисий Фракийский... გვ. LXXII—LXXIII). ადრე ამ ტერმინის მაგონრად სომხურში *კეროქსან* (მწიგნობრობაჲ) იხმარებოდაო. უცხო და ქართულ ტერმინთა მსგავსი წარმოება უნებლიეთ გეგვარაუდებიანებს ისეთ შესაძლებლობას, რომ ეგვბის მთ შორის ფუნქციონალური მსგავსებაც სუფევდეს და „მხრეკალი“ „სამწიგნობრეში“ გაწვრთნილი ისეთი პირი იყოს, რომელიც თუ მწერალ-გამომთქმელი არა, მწერალ-გამმართველი მაინც იყოს თავისი ნაწერისა, ისე რომ იცავდეს ენის სისწორეს, შესაძლოა რომელიმე სკოლის ნორმების მიხედვით. ამის დადასტურება თუ უარყოფა ქართული მასალის ჯეროვან შესწავლაზე დამოკიდებული...

*ნათათა ზიჯა. მანსაზიჯ ექ თსისაზქე რაჟიამ კანსაკა ექ მითანსქნ ათ ჴაღიი).*

საფიქრებელია, რომ იიანე უცბად-მჩხრეკალი ძველ ნუსხას შეარყევდა არა მარტო ზოგიერთი სიტყვის ცული ამოკითხვით, რომელიც გრაფიკულ განორჩეულობას თან სდევს ხოლმე, არამედ ორთოგრაფიითაც. ამის არა ერთი და ორი შემთხვევა გვაქვს ჩვენს ძეგლში. აქ ერთი და იგივე სიტყვა ხშირად სხვადასხვანაირად არის დაწერილი. მაგ.: ოდესმე || უდესმე (92, 20—92, 19); თხოვილ || თხოვილ (94, 24—95, 13); არს || არის (95, 21—95, 27); ცოლად—ცულ (95, 18; 103, 24) და სხ. (ნ. დაწვრილებით ვარიანტებში). აქ, ცხადია, ერთერთი ძველი სახეა, რომელიც მას დედანში მოეპოვებოდა, ხოლო მეორე—მისი დროისაა. მთლიანად მისი დროის მართლწერაზე ვადაწერი არ ვადასულა.

მაგრამ ზოგიერთი სხვა ტექსტისადმი, რომელიც მის მიერ ვადაწერილ კრებულშია შესული, ეს არ ითქმის. მაგ., კრებულის 551—559 ფურცლებზე წარმოდგენილი ტექსტიდან, რომელიც შეიცავს «წმიდისა თეოდორეს ცხოვრებას», ჩანს, რომ რომელიმე ასეთი მოვლენა შემთხვევითი კი არაა, არამედ სისტემური ხასიათისაა. ასეთია მაგ., უი დიფთონგის გამოხატვა ორი ნიშნით. თუ რომელსამე სხვა მის მიერ ვადაწერილსა ანდა ამდროინდელ ვადანაწერ სხვა ნუსხებში, ეს დიფთონგი ჩვეულებრივი 4-თია წარმოდგენილი, აქ უკვე იგი უი-ს სახით გვაქვს. აქედან ნათელია, ჯერ ერთი ის, რომ ვადამწერი გარკვეული სკოლის ტრადიციების დამრღვევია და მეორეც ის, რომ იგი მისდროინდელი საერო ძეგლების მწერალთა ნორმების უარყოფელი არ არის. ამასთანავე უკანასკნელისადმი მიდრეკილება ვადამწერის მოღვაწეობის ხანის ვანმსაზღვრელიცაა. ასეთი მოვლენა მხედრული ხელით ნაწერ XI ს-ის ძეგლებს ახასიათებს. ამიტომაც სწორად მიგვაჩნია იმ მკვლევართა შეხედულება, რომლებიც ხელნაწერს XI ს-ად მიიჩნევენ<sup>1</sup>.

«თეკლას წამების» ტექსტს მოგვიანო დროის ხელნაწერებშიაც ვხვდებით. მათი ერთი წყება ხსენებული უძველესი ნუსხის ტიპისაა (საქართ. მუზ. ხელნაწ. A ფონდის № 643, S ფონდის № 2451), ხოლო მეორე<sup>2</sup> სხვისაა; იგი დამოუკიდებელია, ცალკე რედაქციას წარმოადგეს. უკანასკნელი წარმოქმნის მხრით პირველზე ადრინდელი არა ჩანს. ენობრივი მხარე და შინაარსობლივი რელიეფი საგნებით ასხვავებს მათ აღმოცენების დროის მიხედვით. ამრიგად, ჩვენს სიძველე თსაცავებში «თეკლას მარტვილობის» ორი დამოუკიდებელი წიგნი, ორი ურთიერთისაგან განსხვავებული რედაქცია, არსებობს. მეორე რედაქციას აქ ჩვენ არ ვხვებით. ამჟამად ჩვენთვის უფრო საგულისხმოა პირველი.

პირველი რედაქციის მოგვიანო დროის ხელნაწერები თითქმის თანხედენილია უძველესი ნუსხისა. ისინი მის ვადანაწერ ცალკეად შეიძლება მიგვეჩინა, რომ ერთი დაბრკოლება არ გველოებოდეს წინ. ეს ისაა, რომ ეს მო-

<sup>1</sup> პროფ. კ. კეკელიძე, «მიმომხილველი» I, გვ. 280.

<sup>2</sup> საქ. მუზ. A ფონდი № 70 და სხვაც მრავალია. № 70-ში იგი დასათურებულია შემდგენიარად: „ლუწლი წმიდისა და დიდებულისა და კულად მძლისა პირველმოწამისა თჳცლასის“ (ფ. 416—429).

გვიანო დროის ხელნაწერები ალაგ-ალაგ ზედმეტ ან დანაკლის ადგილებს შეიცავენ. შედარებით მეტია დანაკლისის შემთხვევა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ძირითადი ხელნაწერი, საიდანაც ისინი მომდინარეობენ, ჯერ კიდევ ძველ დროს ყოფილა ამ მხრივ განსხვავებული ჩვენი ნუსხისაგან. შეიძლება პირველადი ჩვენი ნუსხა არც კი იყოს, არამედ მათი ხელნაწერი დედანი და ზედმეტი ადგილები, რომლებიც ჩვენს უძველეს ნუსხას მოეპოვება, ინტერპოლაცია იყოს. ხოლო რაც შეეხება ზოგიერთი მცირე ადგილების დაკლებას, ეს გადაშენების, «უცბად მჩხრეკალის» იოანეს «მჩხრეკალობის» შედეგი იყოს. ასეა თუ ისე, ჩვენი ძეგლის დღეს ცნობილი უძველესი ნუსხა და მოგვიანო ნუსხებზე, მიუხედავად მათი მოცულობის სრული თანუხვედნლობისა, მაინც ერთი საერთო დედნისაგან მომდინარეობენ.

«თეკლას მარტვილობა» მოიპოვება სომხურადაცა და ბერძნულადაც. მარტვილობის სომხური, ისე როგორც ბერძნული წიგნიც გამოცემულია. წამების სომხური წიგნის გამოქვეყნება<sup>1</sup> იგი ბერძნულისათვის შეუდარებია და ზოგიერთი თვალში საცემი სხვაობა სქოლიოებში აქვს მოყვანილი. სომხურ ტექსტს ჩვენ ერთერთ ძველ სომხურ ხელნაწერშიაც ვიცნობთ. ეს ხელნაწერი «მრავალთავს» (*მარტვილობა*) წარმოადგენს, რომელიც 1204 წ. არის ტყავზე გადაწერილი, და ლიტერატურაში ცნობილია მუშის მრავალთავის სახელწოდებით<sup>2</sup>. იგი დღეს უკვენის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული (№ 78). მარტვილობის ტექსტს აქ ერთრავს ფურცლები: 546—557. იგი სავსებით თანმხედროშია გამოცემული ტექსტისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გამოცემულთან შედარებით ზოგიერთ უძველეს ორთოგრაფიულ მომენტს, რომლითაც საზოგადოდ ხასიათდება ამ კრებულში შესული მასალა. ჩვენთან მოყვანილი ტექსტი ორთოგრაფიულად მასთან არის შეფარდებული.

«თეკლას მარტვილობის წიგნი» უძველეს თარგმანად ითვლება სომხური აგიოგრაფიული ლიტერატურის ისტორიაში. V ს-ის პირველი ნახევრისად მიჩნეულ ძეგლთა შორის ნ. აკინიანს მარტვილოლოგიურ ნაწარმოებთა შორის მოქცეული აქვს «თეკლას მარტვილობაც»<sup>3</sup>. ხოლო ნორაირ ბიუზანდაცი ს ეს ძეგლი ამ ეპოქის მოღვაწეთა პირველი დასისაგან გამოსულ ნაწერთა რიცხვში აქვს შეტანილი<sup>4</sup>. ამასთან უკანასკნელი იმასაც შენიშნავს, რომ იგი თარგმნილია სირიულიდან და ერთგვარი მსგავსებაც მოეპოვება მარტვილობის ამ წიგნს კორიუნის ნაწარმოებთან.

როგორც ზემოთმოყვანილიდან ჩანს, «თეკლას მარტვილობის წიგნის» შესწავლის საქმე სომხურში ქართულთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია. იქ

<sup>1</sup> *შლარც და ქლკარანიოქსიანე სერიე, ზაოტნატი რაქსადე ქ ნაიტიორე, ზაოტი მ, ქსნსახი, 1874, გვ. 513—531.*

<sup>2</sup> ილია აბულაძე, ქართ.-სომხ. ფილოლოგიური შტუდიები: «მრავალთავის ზოგიერთი თავის წყარო», ტფილ. უნივ. შრომები VI, 1937 წ., გვ. 330 (შენიშვნა), 332—3.

<sup>3</sup> *სერსა მკიტხიანე, ზაოტნატი ნაქსედე და ქსნსახიანი მქსქარიქსანი დიდი-ე, ქსნსანი 1934, გვ. 47.*

<sup>4</sup> *ზორაიე რქადაკიანე, ზირანი ქარდაყსი და ზირანი ქარდაყსიანიქსანი, სქიქი, 1900, გვ. 28.*

ტექსტი გამოცემულია; გამოცემლის მიერ ზოგადად მაინც შედარებულია ბერძნულთან<sup>1</sup>; განსაზღვრულია ასე თუ ისე ძეგლის სომხურად თარგმნის დრო და ნაჩვენებია წყაროც, საიდანაც იგი მომდინარეობს სომხურში. სრულიად საწინააღმდეგო სურათი მოგვეპოვება ქართულში. არ არის გამოცემული ტექსტის არც ერთი რედაქცია; არ არის შედარებული სხვა ენებზე არსებულ ამავე მარტვილობის ტექსტებთან; არაა, ცხადია, გარკვეული არც დრო მისი ქართულად წარმოქმნისა და არც წყარო, საიდანაც ეს ძეგლი უნდა იყოს თარგმნილი, არც ისაა გადაწყვეტილი, თუ რა მიმართება სუფევს მარტვილობის ამ წიგნსა და რომელსავე ქართული ორიგინალური ლიტერატურის ამავე ხასიათის ნაწარმოებთა შორის. ეს არა მარტო ჩვენი ძეგლისადმი ითქმის, არამედ საზოგადოდ მრავალი ანალოგიური ქანრის ნაწარმოებთა მიმართ, რომლითაც მდიდარია ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურა, ეს ერთერთი მნიშვნელოვანი დარგი ძველი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა.

ქართულად შენახული «თეკლას მარტვილობის წიგნები», როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი რედაქციისა არიან. ერთდროული აღმოცენებისა ისინი არ არიან. პირველადია ის ტექსტი, რომელიც უძველეს ნუსხასა და მის მიმხრობ ზოგიერთ მოგვიანო დროის ხელნაწერს დაუცავს და ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს. მეორე რედაქცია, რომელიც უმეტესკლბოდ რამდენიმე ნუსხით არის აგრეთვე შენახული, ენობრივი ხასიათის მაჩვენებლებით პირველთან შედარებით მოგვიანო დროისაა. ამავე ნიშნეულობით იგი ბერძნულიდან ჩანს თარგმნილი. სომხური მარტვილობის წიგნის გამოცემლის მიერ საპირისპიროდ სქოლიოებში მოყვანილი ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი ბერძნულისა ყველა მოგვეპოვება უცვლელად ქართული მარტვილობის წიგნის მეორე რედაქციაში, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ეს რედაქცია ბერძნულიდან მომდინარეა ქართულში.

რატომ წარმოადგენს პირველი რედაქცია?

პირველი რედაქცია, როგორც ვთქვით, რამდენიმე ნუსხითაა ჩვენამდის მოღწეული. როდესაც მათ შორის უძველესს, XI ს-ის ნუსხას, ვადარებთ სომხურს, დიდ თანხედენილობასთან ერთად სხვაობასაც გვაწვდის იგი. სხვაობა შემხვედრ ადგილებში თუ ცალკეული სიტყვების ან ფრაზების სხვანაირ წაკითხვაში მდგომარეობს, სამაგიეროდ ტექსტის ბოლო ნაწილში ქართულის სიქარბესთან გვაქვს საქმე (ნ. გვ. გვ. 115—119; ქართულის ზედმეტი ადგილები სქოლიოებშია გატანილი). საწინააღმდეგო სურათს ვიღებთ, როცა სომხურ ტექსტს ამავე რედაქციის ქართულ მოგვიანო დროის ხელნაწერ ნუსხებს ვადარებთ. დაკლებულობა ან სიქარბე აქ ახლა თითქმის აღარ შეინიშნება, მაგრამ ცალკე სიტყვებისა და ფრაზების სხვანაირობა შედარებით მატულობს. ხოლო ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ქართული უძველესი ნუსხა, რომელიც მრგლოვანი ხუტურით ნაწერი დედნისაგან გადაწერილი აღმოჩნდა (ნ. ზემოთ გვ. 71), პირვანდელი სახით არ არის შენახული, იგი რამდენადმე გავრცობილია. რაც შეეხება მოგვიანო დროის ნუსხებს, ისინი, მართალია, ერთნაირ მოცულობას

<sup>1</sup> ამ მხრით შდრ. აგრეთვე *შ. ა. ჯ. ხ. ა. ნ., Արևածագի վարդ և վկայություններ*, VI, 460—464, შენიშვნები, *Ա. ნ. ხ. ა. ნ.*, 1813.



ამულაენებენ, მაგრამ ადგილ-ადგილ უძველესთან შეფარდებით ცალკე სიტყვებისა და ფრაზების მხრით, უნდა ვიფიქროთ, გადამწერთა ხელში შეცვლილი არიან. ამრიგად, ქართული და სომხური ძეგლები თანაბრად სხვაობენ ბერძნულისაგან, ხოლო ერთნაირი მოცულობითა (პირველი რედაქციის მოგვიანოდროის ნუსხებს თუ მივიღებთ მხედველობაში) და ტექსტის თითქმის მთლიანი თანხედენილობით ერთიდაიმავე წყაროდან მომდინარეობენ. სომხურისათვის წყაროდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (ნ. გვ. 74) სირიულია მიჩნეული. მაშინ ქართული, თუკი ბერძნულად სხვა რომელიმე მისებრი რედაქცია არ არსებობდა, იმავე წყაროდან იღებს თავის სათავეს.

უშუალოდ მომდინარეა თვითეული ამ ენებზე შენახული და თანხედენილი მარტივობის წიგნი სირიულიდან, თუ ერთი მათგანი მეორის საშუალებით არის წარმოქმნილი, ეს არის ახლა ჩვენი მორიგი საკითხი. ამ საკითხს ქართულისა და სომხური ტექსტების ერთიმეორესთან დაპარისპირებითი და გამოწვევლივითი შესწავლა გადაწყვეტს, კერძოდ კი რომელიმე non sens-ი, რომელიც აღმოცენებული აღმოჩნდება რომელიმე ადგილის ჯეროვანი გაუგებრობის ნიშნად. ასეთი რამ, მართლაც, აქ შეინიშნება. იგი ქართულს მოეპოება.

1. პავლე მოციქულის ქადაგებით მოხიბლული თემეროზის დანიშნული, თეკლა, პავლეს ერთი ნაცნობის სახლის სარკმელს არ შორდება, ყური აქვს მიპყრობილი მისი ქადაგებისათვის. ამ სურათს ასე გადასცემს თემეროზის სასიდედრო თავის სასიძოს: «აჰა ესერა სამი დღე და სამი ღამე არს, არა განეშორების სარკუმელთა ერთთა მთებან, არცა ჭამს, არცა სუამს კაცისა მისიჯს (B: კაცისა ვისთჳმე), არამედ თუალ უგიან და განჩუბრებული (B: განლივებული) ხედავს კაცსა ვისმე ერთსა... (ანა აკუ ხესხ აჩუკ ხუ ლ ხესხ ფხუხუ იქ იჯ მსქსჩ ქ აჟათიანანქ მიიჯქ, იჯ ილთქ ლ იჯ რმთქ ლ იჯ კაიანქ ანა აჩ, აკუ ჟაჟი ქ ჩხროკ ხესალ აჯიჯესალ ზაჟი ღუჯ აკუ მქ ააჟაჟ...).

თუ დავუკვირდებით ქართულს, შევნიშნავთ, რომ გრამატიკულად ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შინაარსობლივ რაღაც დისონანსი შეაქვს ხაზგასმულ სიტყვებს: «კაცისა მისთჳს». ამ კაცს, ე. ი. პავლეს, ქვემოთ აცნობს თემეროზს მისი სასიდედრო. ასე წარმოადგენა ჯერ უცნობი პირისა (კაცისა მისთჳს) უჩვეულოა. პირველად ხსენების დროს იგი წესიერად არის მოცემული იქვე, ცოტა ქვემოთ: «ხედავს კაცსა ვისმე ერთსა უცხოსა». მოყვანილ ციტატში რაღაც არა ჩანს თავის რიგზე. სომხურთან დაპარისპირებით ირკვევა, რომ «კაცისა მისთჳს» მცდარი თარგმანია სომხურისა: «*ლ იჯ კაიანქ ანა აჩ*»-ისა. უკანასკნელი კი ნიშნავს: «არცა აღდგების მიერ». ამას თუ ჩავსხამთ მცდარად გადმოცემულის «კაცისა მისთჳს»-ის ნაცვლად, ვითარება სწორდება: «არცა ჭამს, არცა სუამს, არცა აღდგების მიერ», ე. ი. განუშორებლად სარკმელთან არისო. ფრაზის, *იჯ კაიანქ ანა აჩ*-ს, თარგმნის დროს ქართულად მთარგმნელს ანგარიში არ გაუწევია ნამდვილი ვითარებისათვის, არამედ შეუფერებელი სიტყვა-სიტყვაობით გადმოუღია. *შაიანქ* ზმნად კი არაა გაგებული, სახელდობრ აწმყოს მესამე პირის ფორმად *კაიანქ* («აღდგომა») ზმნისა, არამედ სახელად. იგი დაწყებითი ბრუნვის (ablatif) ფორმად არის მიჩნეული *აკუ* («კაც») სახელისა. ასეთმა მცდარმა გაგებამ მეორე სიტყვის «*ანა აჩ*»-ის უჯერო გაგებას შეუწყო ხელი.



იგი ზმნისზედად (adverbe) კი არა, არამედ მსაზღვრელი ნაწევრის მონაცვლედ იქმნა წარმოდგენილბ, რაც მართლაც ასეთ ხოლმე, თუ ის სახელის დაწყებითი ბრუნვის ფორმასთან მოდის.

ნონსენსისებრია მეორე შემთხვევაც. მარტილობის წიგნის დასაწყისში აგიოგრაფი ამბობს: «თანამოგზაურად შეუდგეს [პავლეს] დემა და ეროგინე. პილენძის-მოქმედნი და მკედელნი, რომელნი სავსე იყვნეს სიღრმი თა მანკიერებისადათა, მდიდრად იტყოდეს და შესცხრებოდეს პავლეს, ვითარცა საყუარელსა თვსსა» (*მაცქ ანსხსაქ ცნოჯ ზამა ზხმასა ლ ზეძინიქსა აყნააიციბოქ ლ ღაქცქნქ ირ ქ ხინ სიიიქიქსხამქ, მსბარანსხინ ლ სიასხინ ცნოჯ ჟაღიქს ქრის ცნოჯ სხრსიქ ქცქსანქ*). ყველაფერში თანხვედნილობაა, მხოლოდ ხაზგასმული «სიღრმი თა მანკიერებისადათა» და «*სიიიქიქსხამქ*» არ ხვედნიან. *სიიიქიქსხან* — «აღრვეა, შფოთი, აღძრვა, შეძრწუნება, შეზრუნება»-ა. არც ერთი ამათგანი ქართულად მთარგმნელს არ გამოუყენებია. ჩანს, სომხურის იმ ნუსხაში, რომელიც მთარგმნელს ჰქონია ხელთ, *სიიიქიქსხამქ*-ის ნაცვლად სხვა რამ არსებულა. თუ რა აზრითაა ნახმარი ქართულში «სიღრმი თა მანკიერებისადათა», ამას ერთი სხვა ანალოგიური ადგილი ნათელს ჰფენს. ეს ადგილია: «ხოლო დემა და ეროგინე მკედელნი იგი, რომელნი სავსე იყვნეს ზაკუვეებითა (B: ზრზინებითა), თანა მიუდგეს თემეროზს და ჰრქუეს» (*სხქ ზხმასა ლ ზეძინიქსა აყნააიციბოქ ირ სიიიქიქსხამქ ქ ხინ, მასხან აი ზა ლ ახან*— 99, 32). აქ თითქმის ერთიდაიგივე კონტექსტია. ორივეგან აღნიშნულია, რომ დემა და ეროგინე აღსავსე იყვნენ *სიიიქიქსხამქ*-ითო, რაც პირველ შემთხვევაში გადმოცემულია «სიღრმი თა მანკიერებისადათა»-თი, ხოლო მეორეში—«ზაკუვეებითა»-თი (v. ზრზინებითა-თი). უკანასკნელი იმაზე მიგვიითებებს, რომ აქ სომხურს დედანში ქართულად მთარგმნელს უნდა ჰქონოდა, ანდა ამოკითხა—*სიიიქიქსხამქ*, რაც, მართლაც «ზაკუვეებითა»-ს ანუ «მზაკუვარებითა»-ს ნიშნავს. აქ ეს სიტყვა მარჯვე შესატყვისით, ერთივე სიტყვით, გადმოვლია, ხოლო პირველ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვით გადმოვლია ეს კომპოზიტი: *სიი* (=ღრმა) + *მასიქიქსხან* (=მანკიერება)—«სიღრმი თა მანკიერებისადათა». ამრიგად, ეს ორიოდ შემთხვევაც ნათლად ამტკიცებს, თუ ამ თანხვედნილ ტექსტთაგან რომელი რომელზეა დამოკიდებული. ქართული სომხურზე ჩანს დამოკიდებული, იგი მის თარგმანს წარმოადგენს.

სომხურიდან თარგმნობას უნდა მოწმობდეს აგრეთვე ის ადგილიც, რომელიც ქართულში წარმოდგენილი ჩანს სხვანაირად. დედნის ერთი სიტყვის გრაფიკულ ნიდაგზე მეორენაირად წაკითხვის გამო ამ სიტყვის თარგმანი არ ხვედბა მას, რაც სწორად წაკითხვის შემთხვევაში იყო მოსალოდნელი. ეს სიტყვა—*იციი*, რომელიც *აყიი*-ად წაკითხვით (*ი* და *ა* გრაფიკულად მსგავსი ასოებია) გადმოთარგმნილია «წმიდათა»-დ. წინადადება, სადაც ეს სიტყვა იხმარება ასეთია: «მამაო (მიმართვაა ღმრთისადმი), რომელმან შეჰქმენ ცა და ქუეყანა, შენ ხარ მამაა წმიდათა» (*ჯაქ ირ აყაქსი გხქსა ლ გხქსა, ლ ღი სი ზაქ იციი*). შედარებიდან ნათლად ჩანს, რომ ვითარება სომხურში უფრო სწორადაა წარმოდგენილი, ვიდრე ქართულში. მის მსგავსთა და თავის

თავზე თეკლას «ოზოლი» (*იერ*) უფრო ეთქმოდა, ვიდრე «წმიდა» (*აიერ*). ამრიგად, ეს მომენტიც იმის მანიშნებელია, რომ ქართული ტექსტი სომხურიდან არის ნათარგმნი.

სომხურზე დამოკიდებულების დამამტკიცებელ ერთერთ საბუთად სხვა მონაცემებთან ერთად შესაძლოა მივიჩნიოთ აგრეთვე მასთან საერთო ხმარების სიტყვების არსებობაც ჩვენს ტექსტში<sup>1</sup>; ეს მაშინ განსაკუთრებით, როდესაც შემთხვევათა უმეტესობა ორივე ტექსტში თანხედენილად არის წარმოდგენილი. შემთხვევების უმცირესობა, სადაც ყოველთვის უკანასკნელი პირობა დაცული არ არის, იმას მოწმობს, რომ ქართულში მოსალოდნელი ფონეტიკურად მსგავსი საბადლო სიტყვა ან განსხვავებული შინაარსისაა ქართულში და მით არის გამოწვეული გადახრა, ანდა მოსალოდნელი ფონეტიკურად მსგავსი სიტყვის ნაცვლად ქართულს მოეპოება სხვა უფრო მარჯვე სიტყვა, რომელიც უფრო ბუნებრივია ქართულისათვის. ხოლო ის ამბავი, რომ საერთო ხმარების სიტყვა ქართულშია იქ, სადაც სომხური საბადლო არც გვაპარაუდებინებდა მას, იმას მოწმობს, რომ ასეთი სიტყვები ქართულისათვის შემთხვევითი კი არ არის, არამედ მკვიდრი.

**ა. ქართული და სომხური ტექსტებით შემხვედრი საერთო ხმარების სიტყვებია:**

1. [ჰ]ამბორი—*համբորյ* თეკლა... ჰამბორს უყოფდა (ვ. ჰკუცინია A)—*ჩხկղ հამბორქერ* (101, 32); შეიტკბო იგი და [ჰ]ამბორს უყოფდა (ვ. აკოცებდა მას—B)—*գիբկա արկსաղ հამბორქერ գნա* (120, 23).

2. ამენ—*ամեն*<sup>2</sup> უკუნითი უკუნისამდე, ამენ — *յաւիտեանս յաւիտենից, ամեն* (124, 14).

3. აპრამი—*ապրիսամ*<sup>3</sup> ზოგნი აკუმევედეს საკუმეველსა (ვ. საკუმეველთა) აპრამსა—*և կէսքն [արქանხին] խունիս ապրիսამա* (117, 11).

4. ატიანი—*ատისან*<sup>4</sup> ღალატყვეს ატიანსა (ვ. ატიანსა B) მას წ<sup>5</sup>ე—*բողբ բარձին ատაլի ատისին* (109, 21).

5. ბილწი—*պղծ*<sup>6</sup> რადთა გივსნენ თქუნ... ბილწებისაგან — *գլ... ի պղծութիւնէ արեցից* (100, 26); შეიქმოლა მის თანა ბილწებასა — *ուր կամէր ատისը ընդ նա պղծութիւն* (110, 28).

6. ზუარაკი—*զուարակ*<sup>7</sup> მიღვან მელა (ვ. მე B) ორნი (abs. A) ზუარაკნი (ვ. კურონი B)—*են իմ կրկու զուարակք* (117, 20); მობმად სცნა ზუარაკნი იგი (ვ. ძნელნი A)—*ևս անկ զզուարակսն* (118, 1)...

7. თარგმანი—*թարգման*<sup>8</sup> სიტყუათა უფლისათა მოძღურებათა მათ და გამოთარგმანებათა (ვ. მოძღურებითა გამოუთარგმანებდა B)... მიუთხრობდა მათ—*գամնատեսանն գլխողապետութիւնն և գլխարգմանութիւնն... պատմէր նոցա* (91, 17).

<sup>1</sup> შდრ. წინა ნაკვეთი: «ქართ.-სომხ. ფილ. შტუდიები», ტფილ. უნივ. შრომები VI, გვ. 346.

8. თეატრონი—*ქტაოინ* წარწყმილდეთ უგუნური ეგე შორის თეატრონსა მავას—*ტიოინტე დანაქინ* *ქ მქ ქტაოინიქ* (103, 32); რაჟამს უკუე (v. და რაჟამს B) შეაყენეს (v. მოიყვანეს B) მვეცნი იგი თეატრონსა მას—*ქრეს მარს დაყანდნ* *ქ ქტაოინს* (110, 5) და სხ...

9. კეისარი—*კაკარ* და გვრგვნი იგი საკეისროდ... მოხეთქა—*დ დყასან დოსიქ დკაკინრასქრე...* *ნანქრ* *ქ ნამანქ* (108, 33); მიჰვადა გვრგვნი იგი საკეისროდ—*დნქტე დყასანს* *კაკინრასან* (110, 26)...

10. კიც—*კტე* იყო იგი... წარბითა შეკიცულ—*კანასქტე* (92, 17).

11. პილენძი — *აქინძ* პილენძის-მოქმედნი და მქედელნი—*აქინძაყიძე* *დ დარქნე* (91, 6).

12. ტაძარი—*თანარ* ტაძარ ღმრთისა ითქუნენ — *კიჯისქინ* *თანარ* *სათობიქ* (93, 16).

13. ურაკპარაკი—*რეაყარაკ* და მირბიოდა ურაკპარაკად—*დნქსაცსაქ* *ქ რეაყარაკს* (97, 16); მოეზა (v. შეიზია) თეკლას (v. იგი) ურაკპარაკსა მას შორის—*დქრსა არქ* *ქ მქ რეაყარაკს* (108, 18).

14. ქალაქი—*გაყაქ* მი-რად-ვიდოდა პავლე იკონია ქალაქსა—*ქრეს ნქსაქ* *ნქრქაქ* *ყადღი* *ქქინქინ* *გაყაქ* (91, 3) და სხ...

15. ქერობინი — *ქხეიქ* ზის საყდართა ზედა ქერობინთასა — *ნასქ* *კაქნი* *ქ* *ქხეიქქტე* (123, 15).

16. შანდური — *ჯამქიქ* აჭურვებდეს იგინი შანდურთა (v. შანთსა B). *ქნიიქქინ* *დჯამქიქან* (118, 6).

17. ქეშმარიტი—*ჯამარქა* და ცნან... სიყუარული ქეშმარიტებისად (v. ქეშმარიტისად)—*ჯანქინ* *დქრ...* *ჯამარქიქსანს* (101, 4). სრულიად დამტკიცებოდეს და განქეშმარიტდებოდეს — *კიქ* *ნასთათქინ* *დ* *ჯამარქსინ* (122, 7).

18. ხავარტი—*ქასარო* და მოართუა [წულმან] ხუთი ჯუგზად პური და ხავარტი—*დ ნქრ* *ნიყა* *ყათანსანს* *ჩქნქ* *ნქანასქ* *ნაყ* *დ* *ქასაროქ* (107, 15).

### ბ. ტექსტებით ალაგ-ალაგ შემხვედრი ხაერთო ხმარების სიტყვები:

1. ზარი—*ან* იყოს მათ ზედა ზარი და შიში—*სიქქე* *ქ* *ნიის* *ან* *დ* *სიქქე* (101, 2); ზარი განჰქ და ყოველსა მას ქალაქსა—*დითყ* *ამსნანქ* *გაყაქ* (118, 23).

2. ჯამი—*ჯამ* მომივსენე მე (v. ქ<sup>შ</sup> A) მვევალი ესე შენი ამას ჟამსა—*ქქხა* *დაყაქს* *ქ* *ქ* *ჯამიქს* *კაკამქ* (114, 16);

ჟამა არს ნათლისღებისად—*ჯამანასქ* *ქ* *მქრსიქ* (115, 28);

მას ჟამსა აღიგოს გულისწყრომითა—*კაკანქამ*... *ქ* *სიქ* *დ* *ყამამქ* (97, 15);

მაშინ აღიმალოა ჯამად თვისი—*კაკანქამ* *სქრარქ*... *დქყქ* *ქ* *ქ* (100, 17);

დროდ მიეცა სიღედრსა მას მისსა—*ჯამათასქ* *ჯამათიქ* *სიქ* *ნამ* *დ* *ყანანქ* *ქ* (98, 23);

მუნთქუეს ვე ახლდა (აღდგა—b) თეკლა—*ნიქ* *ჯამანქ* *კარხაქ* *ქ* *დ* *ქ* *დ* *ქ* (111, 27).

3. მოგვ—*მიე* წარმოითრეთ (წარმოითრენით B) მოგვ ეგე—*ჟარუხუტე* *ჟამი* ე (99, 27);  
 წარწყმედი გრძნეული ეგე—*ზირისტე* *ჟამი* ე *ჟაქ* (103, 18).  
 4. სასტიკი—*ასათიქ* წვამდ სასტიკი ზეციით (abs. B) გარდამოვიდოდა—*ანბრე* *ასათიქ* *ქსტიქ* *ნეიქ* (105, 16);  
 ლაუაწლი დიდ არს—*შათხრაქ* *ასათიქ* ე (107, 21).  
 5. ტანჯვა—*თანჯეს* იწყეს გუემად და ტანჯვად მეკარისა—*თანჯესენ* *ჟღანაყან* (102, 13).

გ. ტექსტობრივ მოსალოდნელი საერთო ხმარების სიტყვები:

- ა) ქართულშია მხოლოდ, სომხურში არა:  
 1. ამბოხი—*აჟმილ* ამბოხი გველისადა (v. ზახილისადა B) შეიქმნა—*სეს* *აჟმილ* *აჟაჟასქ* (113, 16).  
 2. ხისტი—*იძიქენ* მიდგან მელა ორნი ზუარაკნი ხისტნი—*სენ* *ქმ* *სეკილ* *ჟილარასქ* *იძიქენ* (117, 20).  
 3. *მსხან*—ბაგინი: ერქუნ თეკლას ბაგინის მძუარცუველ კერბთა—*სარ* *ჟაჟესქ* *ჟქსქ* *მსხან* *საყიოს* *ჟქენ* (110, 25).

ბ) ქართულში მოსალოდნელის ნაცვლად სხვაა:

